სპორტი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
№092 (12771) 22 აპრილი ოთხშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



## პანიონიოსი გამოირიცხა, მილიონი ევრო კლუბისგან
3

# ორი ტრავმა სამშაბათობაზე



როინ კვასხვაძე გუშინდელ ვარჯიშზე

ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებთა სამშაბათობა » 2

# ენფილდის სიგიჟე




ანდრეი არშავინი

**საოცარი** სპექტაკლი გვაჩუქეს წუხელ „ლივერპულმა" და „არსენალმა", მაგრამ არა იმდენად „არსენალმა", რამდენადაც ერთმა პერსონამ...

მოკლედ, ვნახეთ ის, რისთვისაც ფეხბურთი გვიყვარს და ერთხელაც დავრწმუნდით, რომ მინიმუმ გაზვიადებულია, როცა ამბობენ - ფეხბურთი კვდებაო. კვდება იმისთვის, ვისთვისაც ბურთაობა ოდენ შედეგია და მეტი არაფერი...

ბოლო ერთ კვირაში „ლივერპულისთვის" ეს მეორე 4:4 იყო. ერთი კვირის წინათ რაფა ბენიტესის გუნდი ჩემპიონთა ლიგიდან გავარდა, გუშინ კი შანსი ჰქონდა, თუნდაც ერთი დღით ქულებით გადაესწრო „მანჩესტერ იუნაიტედისთვის"...

მაგრამ ეს გეგმა ანდრეი არშავინმა ჩაშალა, ერთმა რუსმა ბიჭმა, რომელმაც განსაკუთრებული ქომაგობით სახელგანთქმული „ენფილდ როუდი" ოთხჯერ (!!!!) დაადუმა...

ტექნიკური შედეგები » 15

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ნაკრები

# კირი, მუშა და სახაზავი

## ორი ტრავმა გუშინდელ სამშაბათობაზე



გიორგი ლომაია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ბოლო სანაკრებო ბატალიების შემდეგ ჩვენი ეროვნული გუნდის თავკაცი **ჰექტორ კუპერი** საქართველოში დაბრუნდა და გუშინ საგურამოში მორიგი „სამშაბათობაც" გამართა.

- რა არის ეს „სამშაბათობა"? რისთვის მოიგონეს ეს ყველაფერი?

- ეს არის ერთ-ერთი მაგალითი იმისი, რომ კუპერი მუშაობს!

- და რა უნდა გამოვიდეს ამ „სამშაბათობიდან"?

- თუ კუპერს საქართველოს ჩემპიონატიდან ახალი ფეხბურთელი დასჭირდება, ისინი ნაკრებისა და კუპერისთვის მზად უნდა იყვნენ, ნაკრები და კუპერი მათთვის უცხო არ იქნება.

- რა უნდა ისწავლოს ფეხბურთელმა „სამშაბათობაზე" ისეთი, რასაც კლუბში არ ასწავლიან?

- ფაქტობრივად, არაფერი.

- კონკრეტულად რა უნდა ისწავლოს ფეხბურთელმა „სამშაბათობაზე"?

- ბევრი ვერაფერი.

- ზოგადად, შესაძლებელია, რომ ზრდასრულმა ფეხბურთელმა „სამშაბათობებზე" რამე ისწავლოს?

- ზოგადად, ზრდასრული ფეხბურთელი ისეთს ვერაფერს ისწავლის, რომ ოსტატობაში მოსამატებლად გამოადგეს.

- მაშ, რისი მაქნისია „სამშაბათობა"?

- კუპერი მუშაობს და გეთაყვა, ინტრიგანობას თავი დაანებე...

მოკლედ, ვინც „სამშაბათობაზე" კრინტს დაძრავს, ის წააგებს, თუნდაც იმიტომ, რომ უმრავლესობის აზრს დაუპირისპირდება და დემოკრატიაც ეგ არის, - უმრავლესობის აზრის გამარჯვება.

გუშინ კი კუპერმა, როგორც ყოველთვის, ბევრი იყვირა, ბევრი დარიგება მისცა ფეხბურთელებს და, რაც მთავარია, იმუშავა.

ვარჯიშის დასაწყისში განსაკუთრებული ვერაფერი ვნახეთ, ერთი ეგ იყო, რომ ეგრეთ წოდებული „კვადრატი" კუპერმა ლამის ნახევარ მოედანზე გააშლევინა ფეხბურთელებს. წვრთნის მეორე ნახევარში კი არგენტინელმა ქართველებს გამახალისებელი ვარჯიშის შესრულება დაავალა - ფეხბურთელები წყვილებად დაიყვნენ, ერთი შემტევი იყო, მეორე - მცველი (მერე როლები გაცვალეს), კარის წინ 12-13 მეტრში განივად ოთხი ბურთი იყო გამწკრივებული, ერთ ფეხბურთელს მეორე უბურთოდ უნდა დაეჯაბნა ცრუ მოძრაობებითა და სისწრაფით, მერე კი რომელიმე ბურთამდე უნდა მისულიყო და ერთი შეხებით მეკარისგან დაცულ კარში დაერტყა. ამ ვარჯიშმა მართლაც ჟინი და ჟრიამული შემატა გუშინდელ „სამშაბათობას". ასეთ შეჯიბრში ყველაზე კარგად უგუნდოდ მყოფმა **დავით სირაძემ** წარმოაჩინა თავი. ყველაზე მეტად კი **ალექსანდრე კვახაძეს** არ გაუმართლა - ფეხი ისე გადაუტრიალდა, ვარჯიში ველარ გააგრძელა. რა თქმა უნდა, „ვიტ ჯორჯიაში" გულზე შემოეყრებოდათ, კაპიტნის დაშავების ამბავს რომ გაიგებდნენ. ამას გარდა, გუშინ კიდევ ერთი ფეხბურთელი დაშავდა - ზესტაფონელმა **ბუბა დაუშვილმა** წვრთნის მიწურულს კუნთი იტკინა და ვარჯიში დროზე ადრე მიატოვა...

კლუბები ვალდებულნი არ არიან, ფეხბურთელები „სამშაბათობაზე" გაუშვან. უკვე იყო იმის პრეცედენტიც, რომ ერთმა მოწინავე გუნდმა ფეხბურთელები საგურამოში არ გაუშვა. ზოგადად კი, ურიგო არ იქნება, თუ „სამშაბათობაზე მიწვეული მოთამაშეები ტრავმებს მოერიდებიან და შეძლებისდაგვარად დაზოგავენ თავს - ამით ყველა კმაყოფილი დარჩება, კლუბებსაც არ ექნებათ საბაბი, რომ ფეხბურთელები „სამშაბათობაზე" არ გაუშვან. კუპერის ეს წვრთნაც ხომ მეტწილად ტაქტიკურ ასპექტებს ეხება და არ გვგონია, არგენტინელი „სამშაბათობებით" არჩევდეს, რომელი ფეხბურთელი რომელს სჯობია.

კუპერის წვრთნას ახალგაზრდული ნაკრების სამწვრთნელო შტაბიც დაესწრო - **კახა ცხადაძე, ზაურ სვანაძე** და **დავით გვარამაძე** შემაღლებული ადგილიდან დასცქეროდნენ არგენტინელსა და მის რჩეულთ. ცხადია, მათი ინტერესი სავსებით ნორმალურია, მიუხედავად იმისა, რომ კუპერი შორს დგას ახალგაზრდული და საერთოდ ყველა ასაკობრივი ნაკრებისგან.

გუშინდელ „სამშაბათობას" თბილისის „ლოკომოტივის" მწვრთნელებიც დაესწრნენ - **გიორგი კიკნაძე** და **ზაზა ზამთარაძე**. უწინდელ „სამშაბათობებს" უფრო მეტი სტუმარი ჰყავდა მწვრთნელთა კორპუსიდან. თუმცა ეს მაინცდამაინც იმის მანიშნებელი არ უნდა იყოს, რომ ქართველმა მწვრთნელებმა ცნობისმოყვარეობა უკვე ბოლომდე დაიკმაყოფილეს და კუპერის სამწვრთნელო მეთოდიკა აღარ აინტერესებთ - საგურამო ძნელად მისადგომი ადგილია და ესეც რომ არა, კუპერზე არანაკლებ იციან იმ ფეხბურთელების შესაძლებლობები, არგენტინელს ნაკრებისთვის რომ შეუგულებია.

და კიდევ: ფეხბურთის ფედერაცია თავს იმით იწონებს, რომ ეროვნულ ნაკრებს საორგანიზაციო საკითხები მაღალ დონეზე აქვს მოგვარებული, მაგრამ გუშინ ნაკრებმა დაუხაზავ მოედანზე ივარჯიშა. მოგვწონს თუ არა კუპერის „სამშაბათობები", ვფიქრობთ, მწვრთნელი და ნაკრების წევრ-კანდიდატები იმის ღირსნი კი არიან, დახაზულ მინდორზე რომ გამართონ ვარჯიში. კირი, მუშა და სახაზავი - არ უნდა იყოს დიდი პრობლემა ეროვნული გუნდისთვის...

**დავით თავართქილაძე**



ბუბა დაუშვილი



ალექსანდრე კვახაძე

U 21

# ცხადაძე რეზერვსაც აკვირდება



მარცხნიდან: ზაზა ზამთარაძე, დავით გვარამაძე, გიორგი კიკნაძე, კახა ცხადაძე, ზაურ სვანაძე

საგურამოს ბაზამ გუშინ ერთდროულად ორ ნაკრებს უმასპინძლა. ეროვნული გუნდის შემდეგ ახალგაზრდულმა ივარჯიშა, თუმცა დათქმულ დროზე დაგვიანებით. შემდეგ კი ვიხილეთ ნაცნობი სცენები საწვრთნელი პრაქტიკიდან - უმთავრესად, ტექნიკურ-ტაქტიკური ხასიათის.

მოთელვის შემდეგ **კახა ცხადაძემ** მოთამაშეები ჯგუფებად დაყო და ჯერ კვადრატით დატვირთა, ხოლო შემდეგ ორი სახის ტაქტიკური დავალება მისცა - პირველი იყო „რვა შვიდის წინააღმდეგ", ხოლო მეორე - „შვიდი რვის წინააღმდეგ". პირველი ვარჯიში დაცვაში გუნდური, შეთანხმებული და ორგანიზებული თამაშის დახვეწას ითვალისწინებს. მეორე შემთხვევაში კი - შეტევის სწორად წარმართვას. ბოლოს გაჩაღდა „ორკარა", რომელიც სულ რაღაც 15 წუთში დასრულდა. ვარჯიშზე მხოლოდ ზუგდიდის „მგლების" თავდამსხმელი **გიორგი ჭედია** არ ყოფილა - მას მცირე ტრავმა ჰქონდა და თბილისში არ ჩამოსულა. ამჯერად, ცხადაძე ძირითადად სარეზერვო ფეხბურთელებს დააკვირდა. ჯერჯერობით, უცნობია, თუ როდის გაიმართება ახალგაზრდული ნაკრების შემდგომი „სამშაბათობა".

*„ეროვნული ჩემპიონატის კალენდარი იმდენად მჭიდროდ არის შედგენილი, რომ შემდეგი სამშაბათისთვის მოთამაშეთა გამოძახებას ვერ ვახერხებთ. ეს ზუსტად შემიძლია გითხრათ. შემდეგ კი კალენდარში „ფანჯარას" ვიპოვით და მოთამაშეებს კიდევ გავსინჯავთ. ოფიციალურ შეხვედრებამდე ოპტიმალური შემადგენლობა აუცილებლად უნდა შემოვსაზღვროთ და ყველა საინტერესო მოთამაშეს დავაკვირდებით",* - გვითხრა ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა **ზაურ სვანაძემ**.

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49**. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი დანიშვნა




თემურ ქეცბაიას თემა უცხოურ პრესაშიც აქტუალურია

# პანიონიოსი გამოირიცხა, მილიონი ევრო კლუჟისგან

## წვეულება ლარნაკაში და ქეცბაიას ვერცხლის ნავი

როგორც ჩანს, „პანიონიოსის" ვიცე-პრეზიდენტი **გეორგიოს აპეგიტოსი** საბერძნეთიდან კვიპროსში ტყუილად ჩაფრინდა. ხუთშაბათს საინფორმაციო სააგენტოები წერდნენ, რომ პატივცემული აპეგიტოსი ჩვენებურ სპეციალისტს აღდგომის შემდეგ უნდა შეხვედროდა. შედგა თუ არა ეს შეხვედრა, დეტალურად კი არა, ბერძნულენოვან ვებგვერდებს გაკვრითაც არაფერი უწერიათ. სამაგიეროდ, ცნობილი გახდა, რომ „პანიონიოსს" არა ქეცბაია, არამედ 42 წლის ბელგიელი **ემილიო ფერერა** უთავკაცებს. ახალი დამრიგებელი ათენურ კლუბთან 3-წლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ამასობაში კი, ქეცბაიას ფრონტზე კვლავ გააქტიურდა ბერძნულ სუპერლიგაში დაბრუნებული „ატრომიტოსი", რომლის მესვეურებმაც განაცხადეს, რომ მთავარი მწვრთნელის პოსტზე მათი მთავარი კანდიდატი 41 წლის ქართველია. აი, რას ამბობს „ატრომიტოსის" პრეზიდენტმა **გეორგიოს სპანოსი**:

*„თემურ ქეცბაიასთან ინტენსიური კავშირი გვაქვს. ჩვენ შორის მოლაპარაკებები გრძელდება. ახალი სეზონიდან სუპერლიგაში ვიასპარეზებთ და ბუნებრივია, ეს ახალ მწვრთნელთან ერთად წარმოგვიდგენია. ჩვენი ამბიციები იზრდება. ამჟამინდელ მწვრთნელ დრაგან კოკოტოვიჩის შემცვლელად მთავარი კანდიდატი თემურ ქეცბაიაა. იმედი მაქვს, აპრილის ბოლომდე თუ ვერა, მაისის დასაწყისში მაინც, ახალ მწვრთნელთან ერთად უკვე ახალი ფეხბურთელების დამატებაზე დავიწყებთ ზრუნვას".*

ეს კი ბატონო, მაგრამ თუ რუმინელებიც დაფაცურდნენ, ეგებ აჯობონ კიდეც ბერძნებს. საქმე ისაა, რომ გუშინ ერთბაშად რამდენიმე რუმინულმა ვებგვერდმა გაავრცელა ეს ინფორმაცია - ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის „კლუჟის" ხელმძღვანელობა ახლანდელ მწვრთნელს, პორტუგალიელ **ანტონიო კონსეისაოს** ახალი კონტრაქტის პირობებზე ვერ შეუთანხმდა. ამ კლუბის თავკაცობას ქეცბაიას გადაბირება სურს და ქართველის დასაყოლიებლად, თურმე, გვარიან თანხასაც ჩამოდის.

*„კლუჟის" ხელმძღვანელობამ ახალ კონტრაქტზე ანტონიო კონსეისაოს წინადადება არ მიიღო და მისი შემცვლელის ძიებას შეუდგა. უმთავრეს კანდიდატად თემურ ქეცბაია სახელდება. მის გადასაბირებლად „კლუჟი" მილიონ ევროს გაიღებს. კლუბის მესვეურები უკვე დაუკავშირდნენ 41 წლის ქართველს და მოლაპარაკებებიც წამოიწყეს. „კლუჟის" მიზანია, მომავალ სეზონშიც ევროთასების ტურნირებზე ისპარეზოს და თანაც - წარმატებით. კლუბის ბოსებს სჯერათ, რომ ქეცბაიას შეძლებს ამ ჩანაფიქრის განხორციელებას"*, - წერენ რუმინული „სპორტი", „სპორტურილორი", ბერძნული „გაზეტა" და სხვა სააგენტოები.

„სპორტექშენის" ინფორმაციით კი, თუ „კლუჟმა" ქეცბაია დაითანხმა, არც ისაა გამორიცხული, ამ სეზონშივე გამოჩნდეს კლუბში, ოღონდ, არა მთავარი მწვრთნელის, არამედ კონსულტანტის რანგში. ამას გარდა, ის ზაფხულისთვის დროსაც მოიგებს - გაიცნობს ფეხბურთელებს და დაგეგმავს სატრანსფერო კამპანიას.

დღესდღეობით, 18-გუნდიან უმაღლეს ლიგაში „კლუჟს", „ტიმიშოარას" დარად, 46 ქულა აქვს და ამ გუნდთან III-IV ადგილებს იყოფს. ის ქულით ჩამორჩება მეორე ადგილზე მყოფ „უნირეას" და ექვსით - ლიდერ ბუქარესტის „დინამოს", რომელსაც ერთი მატჩით მეტი აქვს ჩატარებული. „კლუჟი" დღეს „სტიაუას" სტუმრობს და გამარჯვების შემთხვევაში, ლიდერთან ქულათა სხვაობას სამამდე შეამცირებს. რუმინეთის პირველობის დასრულებამდე 8 ტურია დარჩენილი და შესაბამისად, „კლუჟს" აქვს კარგი შანსი, ჩემპიონის ტიტული დაიცვას.

ამ დროს კი თემური ლარნაკაში ისვენებს. „ანორთოსისის" ხელმძღვანელობამ მას ლვანლი დაუფასა და სპეციალური წვეულება მოუწყო. ამას გარდა, კლუბის თავკაცობამ მას ვერცხლის ნავიც უსახსოვრა.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონი

# დემეტრაძეს დებიუტი ჩაუშნარდა

ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი დათმო ქართველთა „ბაქიმ" აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში, ლენქორანში „ხაზართან" დიდი ანგარიშით წააგო - 0:3. ახლა „ბაქი" ლიდერ „ინტერს" 2 ქულით ჩამორჩება. ლენქორანში თამაშს 10 ათასი მაყურებელი დაესწრო. სამივე ქართველი სასტარტოში იყო, **გიორგი დემეტრაძე** (წლეულს ჩემპიონატში პირველად ითამაშა) შესვენებისას შეცვალეს, **ამირან მუჯირი** - 64-ე წუთზე, **გიორგი ადამიამ** კი ბოლომდე ითამაშა. პირველ ტაიმში მუჯირმა ყვითელი ბარათი მიიღო. ზაქათალის „სიმურგმა" ბაქოში „ოლიმპიკს" აჯობა - 2:0. პირველი გოლი პირველი ტაიმის მიწურულს **დავით ბოლქვაძემ** გაიტანა. სტუმართა ქართველები, ტრავმირებული **გრიგოლ დოლიძის** გარდა, სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ. ბოლქვაძე მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე შეცვალეს, **მიხეილ მახვილაძემ და კახა ჩხეტიანმა** კი შეუცვლელად ითამაშეს. სამმა ქართველმა ითამაშა მასპინძლებშიც, **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** - შეუცვლელად, **რევაზ გეწაძე** 42-ე წუთზე გავიდა მოედნიდან, ხოლო **რომან ახალკაცი** 59-ეზე შევიდა. „სიმურგი" 44 ქულით მესამე ადგილზეა, „ოლიმპიკი" 37 ქულით მე-6 ადგილზეა. ზედიზედ მესამე მატჩი წააგო **ბადრი კვარაცხელიას** „სტანდარდმა", ბაქოური კლუბი ამჯერად „გაბალას" ესტუმრა და 1:2 დამარცხდა. სტუმართა რიგებში შეუცვლელად ითამაშეს **დავით ჭიჭვეიშვილმა** და **ლევან სილაგაძემ**, ხოლო მასპინძლებში - **გოგა ბერაიამ** და **თორნიკე აფციაურმა**. „სტანდარდს" 30 ქულა აქვს და მე-7 ადგილი უკავია, „გაბალა" სამი ქულით ნაკლებით მეცხრეა. „ქარვანმა" სალიანის „მუღანს" 3:1 სძლია. **ალექსანდრე ინწკირველმა** და **მიხეილ მესხმა** შეუცვლელად ითამაშეს, მესხმა 90-ე წუთზე მატჩის ბოლო გოლი გაიტანა. „ქარვანი" 26 ქულით მე-10 ადგილზეა. სტუმართა შორის 90 წუთი ითამაშა **გივი ჩხეტიანმა**, „მუღანი" 11 ქულით მე-11 ადგილზეა.

სომხეთში პირველი მარცხი იწვნია თბილისის „დინამოსა" და ეროვნული ნაკრების ექსთავკაცმა **ივო შუშაკმა**. „მიკა" შინ 2:3 „ბანანცთან" დამარცხდა. **სოსო გრიშიკაშვილი** სათადარიგო იყო, **ირაკლი ცანავა** შუშაკმა 52-ე წუთზე შეცვალა. „ულისემ" 3:0 მოუგო „შირაკს". მასპინძელთა რიგებში შეუცვლელად ითამაშეს **თენგიზ უგრეხელიძემ** და **ლევან აკობიამ**, „განძასარიდან" გადასული **გაგა თიბილაშვილი** კი 81-ე წუთზე შეცვალეს. კაპანის „განძასარი" „კილიკიას" ესტუმრა და 1:2 დამარცხდა. სტუმართა რიგებში მეორე ტაიმში გამოჩნდა **დავით ხანიშვილი**, მეკარე **ლევან ბუბუტეიშვილი** კი სათადარიგო იყო. „არარატმა" 0:2 დათმო „პიუნიკთან", **გიორგი კრასოვსკიმ** და **ბიძინა ცინცაძემ** სრულად ითამაშეს.



ზურაბ მენთეშაშვილი

### ალარც გოლები, ალარც სამკლაური

ლატვიურ ვირსლიგის მე-6 ტურში ქართველთა „სკონტო", რომელიც აქამდე ქულადაუკარგავად ასპარეზობდა, ლიეპაიაში ადგილობრივ „მეტალურგსთან" შერცხვა - 0:4. 90-90 წუთი ითამაშეს **დავით გამეზარდაშვილმა** და **ლადო დვალიშვილმა**. ალსანიშნავია, რომ კაპიტნის სამკლაური გამეზარდაშვილს ალარ ეკეთა. ჩემპიონი „ვენტსპილსი" შინ 0:0 დაუზავდა **თამაზ პერტიას** „დინაბურგს". მასპინძელთა ნახევარმცველი **ზურაბ მენთეშაშვილი** 74-ე წუთზე შეცვალეს. **გაგა გუგუნაშვილის** „იურმალა" „დაუაგავას" დაუზავდა - 1:1. გუგუნაშვილი სათადარიგო იყო.

ლიტვაში დებიუტანტი „ტაურასი" სტუმრად „ვეტრასთან" დამარცხდა - 0:1. სტუმართა მცველმა **დავით ჭილლაძემ** პირველ ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო.

ბელარუსის უმაღლესი ლიგის მესამე ტურში „მტზ-რიპო" სოლიგორსკს ეწვია და 0:1 დამარცხდა. **გივი კვარაცხელიამ** 90 წუთი ითამაშა, მაგრამ სტუმრებს იგი ვერაფრით შეეწია. ამ ჩემპიონატში მოასპარეზე სხვა ქართველებს მე-3 ტურში არ უთამაშიათ.

მოლდოვის ნაციონალურ დივიზიონში კიშინოვის „დაჩიამ" „ოლიმპიას" 2:0 სძლია. შეუცვლელად ითამაშეს **კახა მჟავანაძემ** და **ჯაბა დვალმა**, **ლევან კორღალიძე** კი არ ყოფილა. პირველი გოლი დვალის პასით გავიდა. „დაჩია" ამაოდ იბრძვის, კონკურენტი „შერიფიც" გამარჯვებული გამოვიდა, ტირასპოლელებმა შინ ასეთივე ანგარიშით ბენდერის „დინამო" დაამარცხეს. გუნდი, ტრადიციულად, **ვაჟა თარხნიშვილმა** გამოიყვანა კაპიტნის სამკლაურით. „შერიფი" 65 ქულით პირველია და „დაჩიას" 12 ქულით უსწრებს.

ყაზახეთში **ლაშა ჭელიძის** „ეტისუმ" დიდი ანგარიშით დაამარცხა „ყიზილჟარი", ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა მარჯვენა ფლანგზე. აი, **ზვიად ჯელაძის** „ვოსტოკი" კი „ყაზახმისთან" 2:3 დამარცხდა. ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია „ვოსტოკის" ქართველ კაპიტანს. **გიორგი ფეიქრიშვილის** „ატირაუმ" 2:0 მოუგო ყარაღანდის „შახტიორს", ჩვენებურმა 90 წუთი ითამაშა. 6 ტურის მერე ყაზახურ პრემიერლიგაში „ეტისუს" და „ატირაუს" 8-8 ქულა აქვთ, „ვოსტოკს" კი მხოლოდ - 2.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ

ბადრი კვარაცხელია

# ზოგს ჩემი გაშვება უნდოდა



ბადრი კვარაცხელია

**44 წლის ქართველმა მწვრთნელმა ბადრი კვარაცხელიამ დატოვა ბაქოს „სტანდარდის" მთავარი მწვრთნელის პოსტი, მიზეზი „გაბალასთან" საგარეო მარცხია - 1:2. გადადგომის შემდეგ მას აზერბაიჯანული „ზერკალო" გაესაუბრა...**

**- ხომ ვერ გვეტყოდით თქვენი უეცარი გადადგომის მიზეზებს?**

- გუნდის ბოლოდროინდელი შედეგები არც მე და არც გუნდის ხელმძღვანელობას არ გვაკმაყოფილებდა. ამის გათვალისწინებით, ჩავთვალე, რომ უპრიანი პოსტის დატოვება იქნებოდა.

**- ანუ მიზეზი მხოლოდ ეს წაგებებია?**

- დიახ, ჩვენ ზედიზედ წავაგეთ „ხაზართან", „ბაქისთან" და „გაბალასთან" და დავკარგეთ ხუთეულში მოხვედრის ყველა შანსი. გუნდი ვერ თამაშობდა, თანაც მსაჯები აშკარად ხელს გვიშლიდნენ.

**- მიგაჩნიათ, რომ „სტანდარდის" წინააღმდეგ უსამართლოდ მოქმედებდნენ?**

- რა თქმა უნდა, „ხაზართან" მატჩში ეს ყველამ დაინახა. შეხვედრის არბიტრი ხომ გრძელვადიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ნახეთ მატჩების ვიდეოჩანაწერები.

**- აზერბაიჯანულ ფეხბურთში ასეთი რამ ხდება, მაგრამ მსაჯების მიკერძოების გამო თქვენ რატომ უნდა გადამდგარიყავით?**

- კარგად ვერ გამიგეთ, გადადგომის მიზეზი მსაჯობა კი არა, ის არის, რომ გუნდი ვერ თამაშობდა სათანადოდ.

**- კლუბის ხელმძღვანელობამ რა გითხრათ?**

- კლუბის ხელმძღვანელობას ხვალ ან ზეგ დაველაპარაკები, როცა ბაქოში დავბრუნდები.

**- „გაბალასთან" მატჩის შემდეგ ამის დრო არ იყო?**

- მატჩის შემდეგ მადლობა გადავუხადე კლუბის პრეზიდენტს და ვუთხარი, რომ თანამდებობას ვტოვებ. ვალიარე, რომ ვერ შევძელი დასახული მიზნის მიღწევა. ეს საუბარი წუთზე მეტს არ გაგრძელებულა. შემდეგ მანქანაში ჩავჯექი და საქართველოში დავბრუნდი.

**- ხომ არ ფიქრობთ ეს გაქცევა გუნდზე უარყოფითად აისახება?**

- არა, რადგან კლუბში გონიერი მწვრთნელები მუშაობენ. უარესი ნამდვილად არ იქნება.

**- გაბალაში თქვენი გუნდის წევრებმა სამი ძალიან უხეში შეცდომა დაუშვეს, რომელთაგანაც ორი გოლით დასრულდა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს მათ განზრახ გააკეთეს?**

- არ მინდა ჩემი წასვლა ფეხბურთელებს გადავაბრალო. როგორც ითამაშეს, მათ სინდისზე იყოს. თუკი ზოგიერთი ცდებოდა, პენალტს „იჩალიჩებდა", სხვები მოედანზე ომობდნენ. ანუ, ზოგიერთს ალბათ მართლა უნდოდა ჩემი წასვლა გუნდიდან.

**- „სტანდარდის" მაქსიმუმი ესაა?**

- არა, გუნდს აქვს ხუთეულში მოხვედრის პოტენციალი, ოლონდ სინდისიერი ბრძოლის და ბოლომდე დახარჯვის შემთხვევაში.

**- აზერბაიჯანში ისევ თუ გიხილავთ?**

- ახლა დასვენება მსურს, მაგრამ თუკი აზერბაიჯანიდან წინადადებებს მივიღებ, სიამოვნებით განვიხილავ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საქართველოს XX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

XXVIII ტური. მიმოხილვა

# დამცველთა ზეიმი

პროგნოზის გაკეთება ერთობ რთული საქმეა, განსაკუთრებით ჩვენს ჩემპიონატში! ჰო, აბა, ვინ იფიქრებდა, რომ უკვე ყველასგან გამოტირებული და... უუყველაფრო „ბორჯომი" თავის შეხვედრას ფრედ დაასრულებდა? არადა, ფაქტია, რომ ჩემპიონატის უიმედო აუტსაიდერმა ზედიზედ ექვსი წაგების მერე ერთი ქულა მოიპოვა (რაც მეორე ეტაპი დაიწყო, მეორე შემთხვევა); და ვინ გაიტანდა გოლს „ბორჯომის" შემადგენლობაში, თუ არა - **ილია პავლიაშვილი!** 19 წლის ფორვარდი მეორე ეტაპიდან გამოჩნდა აუტსაიდერ გუნდში და უკვე ოთხი გოლი გაიტანა. სხვათა შორის, ამ პერსპექტიულ ბიჭს გარჯა დაუფასდა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების „სამშაბათობაზეც" უხმეს...

ისე, „ბორჯომი"-"ლოკომოტივის" შედეგი დიდ სენსაციად არ უნდა მივიჩნიოთ: ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ **გიორგი კიკნაძისა და ზაზა ზამთარაძის** გუნდს ჩემპიონატში მოტივაცია აღარ დარჩა. ამასთან, ეტყობა, „დინამოსთან" თასის ნახევარფინალურმა შეხვედრამაც დიდი ენერგია წაიღო და აუტსაიდერთან „მოსალოდნელი" გამარჯვებაც, ალბათ, მაგიტომ ვერ მოიპოვეს. კიდევ შეიძლება რაიმე მიზეზის მოძებნა, თუნდაც ის, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო სტუმრებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი (**გიორგი ლომაია, ნიკა გუშარაშვილი, ზაალ ელიავა**) აკლდათ; თუმცა უმთავრესი მაინც ის გახლავთ, რომ უმწვრთნელო და უხელფასო „ბორჯომმა" ძლიერ მეტოქესთან მატჩში ის ერთი ქულა ალალად დაიმსახურა. როგორც ამჩნევთ, სატურნირო ცხრილს... ქვემოდან მოვყვებით და, რაღა თქმა უნდა, ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი უნდა ვახსენოთ. ჰო, ტურის წინათქმაშიც აღვნიშნეთ, რომ „გაგრა"-"სპარტაკის" დაპირისპირებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მასპინძლები გამარჯვების შემთხვევაში ხომ „გადამრჩენელ" მერვე ადგილზე დამკვიდრდებოდნენ; მოგების შემთხვევაში არანაკლებ გამოასწორებდა სატურნირო მდგომარეობას „სპარტაკიც", მით უმეტეს, რომ **სერგო გაბელაიას** გუნდს ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული. საბოლოოდ კი, მატჩი ფრედ (1:1) დასრულდა და ეს შედეგი კი ყველაზე მეტად „მესხეთს" აძლევდა ხელს! როგორც მოსალოდნელი იყო, აუტსაიდერების დაპირისპირება დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა; ორივე გუნდის მეკარეებსაც - **რევაზ თევდორაძესა და ბესარიონ კოდალაევს** არაერთხელ მოუხდათ საკუთარი ოსტატობის გამომჟღავნება. თუმცა ზოგ ეპიზოდში ორივე გუნდის შემტევებს დამაგვირგვინებელ ფაზაში აშკარად მეტი სიზუსტე მართებდათ; ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთელი ორი მეტრიდან (ან მეკარესთან პირისპირ დარჩენილი) გოლს რომ ვერ გაიტანს, მთლად უიღბლობის ბრალი არ უნდა იყოს. ის, რაც შემტევმა ნახევარმცველებმა და ფორვარდებმა ვერ შეძლეს, მცველებმა მოახერხეს - ამ შეხვედრაში ორივე გოლი ხომ უკანახაზელთა (**დავით გიგაური, ვაჟა ქორიძე**) ანგარიშზეა. საერთოდაც, ამ ტურში მცველების „თემა" ერთობ აქტუალური იყო: თითქმის ყველა შეხვედრაში საკუთარი გუნდის ფორვარდებს რომ „ასწავლიდნენ" გოლის გატანას. ეგ კი არა, ძალიან დიდი შანსი იყო, რომ მცველის მიერ შესრულებული „ჰეთ-თრიქი" ან „დუბლი" გვენახა: **გურამ კაშიამ** „მესხეთს" ერთი გოლი ხომ გაუტანა, ორჯერ კიდევ ჰქონდა ჩინებული შანსი! სხვათა შორის, „დინამომ" ორივე გოლი „სტანდარტულებიდან" გაიტანა, და ასე გრძელდება მთელი სეზონის განმავლობაში; თუმცა მოქმედი ჩემპიონის მეტოქეები, ეტყობა, ამ ფაქტს არ ითვალისწინებენ. ისე, ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, რომ „მესხეთი" ტოლი-ტოლზე შესძლებდა ფავორიტ მეტოქესთან თამაშს. პირველი ტაიმიც ასეთი სცენარით წარიმართა: **კახა კაჭარავას** გუნდის უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ მხოლოდ ერთი გოლი ვიხილეთ. მეორე ტაიმში სიტუაცია შეიცვალა და ერთი-ორჯერ სტუმრებმა მწვავედ შეუტიეს „დინამოს". თანაც, ჩვენი აზრით, სწორი და თამამი გადაწყვეტილება მიიღო „მესხეთის" მთავარმა მწვრთნელმა **კობა თედიაშვილმა,** ვინც მოედანზე მეორე ფორვარდი შემოუშვა (ნახევარმცველის მაგივრად). ეს მეორე ფორვარდი კი გამოცდილი **ბორის გონჩაროვი** გახლდათ - ხანგრძლივი მკურნალობის მერე რომ დაუბრუნდა საკუთარ გუნდს. „დინამომ" „დაგეგმილი" გამარჯვება მაინც უპრობლემოდ მოიპოვა და კარგად დასვენებული (მომდევნო ტურს ტოვებს) შეხვდება ორ უპრინციპულეს შეხვედრას: ჯერ - ბოლნისის „სიონთან", მერე კი - „ვიტ ჯორჯიასთან". ამ უკანასკნელს კი უშუალო კონკურენტთან შედარებით აშკარად მძიმე მატჩი ჰქონდა; თუმცა **რამაზ მუმლაძის** გუნდი აღარც „მალავს" რომ ამ სეზონში ძირითად აქცენტს მხოლოდ ჩემპიონატზე აკეთებს. კი, „დუბლი" ვის არ უნდა (აი, „დინამო" ხომ ახერხებს ერთდროულად ორივე ფრონტზე წარმატებულ სვლას), მაგრამ საკუთარი შესაძლებლობებიც რეალურად უნდა შეაფასო და სატურნირო... ტაქტიკა-სტრატეგიაც! „ვიტ ჯორჯიას", მართლაც, სერიოზული მეტოქე ჰყავდა - „ზესტაფონის" ამბიციურობაზე ახალი რაღა უნდა ვთქვათ. თუმცა, ახლა ისეთი სიტუაციაა, რომ „ვეტერინართათვის" მნიშვნელობა აღარ აქვს, ვის ეთამაშებიან - ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელს თუ აუტსაიდერს; ჰო, საჩემპიონო რბოლა ისევ გრძელდება და ალბათ, 10 მაისამდე („დინამო"-"ვიტ ჯორჯიას" მატჩის თარიღია) არც არაფერი შეიცვლება. ისევ, ერთპიროვნული ლიდერისა და „ზესტაფონის" დაპირისპირებას დავუბრუნდეთ; სხვათა შორის, სტუმართა გუნდი ერთობ სახეშეცვლილი იყო - ორი წამყვანი ფეხბურთელი (**ირაკლი ძარია, მურთაზ დაუშვილი**) დისკვალიფიცირებული იყო. ზოგიც... სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა! თუმცა, **გია გეგუჩაძის** გუნდს ვერც საკადრო გადაადგილებებმა უშველა და ზედიზედ მეორე მარცხის მერე „ზესტაფონმა" მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. დაძაბული და საინტერესო მატჩი გამოდგა, ამასთან, ხშირად იყო ხისტი ორთაბრძოლებიც, თუმცა „ვიტ ჯორჯიასგან" და „ზესტაფონისგან" თამაშის ასეთ სტილს მიჩვეულნიც ვართ. ამ შეხვედრაშიც ვიხილეთ მცველის გოლი - **დავით ლომაიას** დარტყმა სულაც გადამწყვეტი აღმოჩნდა. „ვიტ ჯორჯია" კი ის გუნდი არ არის, ორბურთიანი უპირატესობა ქარს გაატანოს (ერთხელ იყო მხოლოდ ამ სეზონში, როცა 2:0-ის მერე მხოლოდ ფრეს დასჯერდა - „დინამოსთან") და ერთადერთი, რისი გაკეთებაც სტუმრებმა შეძლეს, **ნიკოლოზ გელაშვილის** პენალტიდან გატანილი გოლი იყო. ამ გოლით გელაშვილი საუკეთესო ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა. თუმცა „ზესტაფონის" ფორვარდისთვის ეს დიდი შვება ვერ იქნება - „ვიტ ჯორჯიასთან" ხომ ამ ჩემპიონატში მესამედ დამარცხდნენ. აღსანიშნავია, რომ სამივე შეხვედრა „ვიტ ჯორჯიამ" ერთი და იმავე ანგარიშით (2:1) მოიგო და სამივეჯერ „ზესტაფონიდან" გოლის ავტორი... გელაშვილი გახლდათ (სხვათა შორის, ყოფილი „ვეტერინარი"). რახან პარალელებზე ვსაუბრობთ, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ამ გუნდების პირველი და მეორე წრის შეხვედრების მერე - „ტურის მწვრთნელად" რამაზ მუმლაძეს ვასახელებდით. „ვიტ ჯორჯიას" თავკაცმა ეს პატივი ახლაც დაიმსახურა - ასეთ პრინციპულ მატჩს რომ მოიგებ (თანაც ზედიზედ მესამედ რომ დაამარცხებ), ვფიქრობთ, ალტერნატივა არ უნდა ჰყავდეს.

დაბოლოს, ტურის იმ ერთადერთ შეხვედრაზეც, სტუმრების გამარჯვებით რომ დასრულდა: ჩემპიონატში ზედიზედ ორი წაგების მერე „ოლიმპმა" გაიმარჯვა და მესამე ადგილზეც გადაინაცვლა. **ვარლამ კილასონიას** გუნდს არცთუ რთული კალენდარი აქვს და აქედან გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ „ოლიმპი" აღებულ ტემპს შეინარჩუნებს და ჩემპიონატს ბრინჯაოსმედალოსნის რანგში დაასრულებს. სხვათა შორის, „მგლებთან" მატჩში „ოლიმპის" შემადგენლობაში ახალწვეულიც გამოჩნდა - **გიორგი ქუცურუა,** ვინც პირველ ეტაპზე... ზუგდიდურ კლუბში თამაშობდა.

**გია ტუხაშვილი**

## XXVIII ტურის სიმბოლური ნაკრები




### XXVIII ტური

**17 აპრილი, პარასკევი**

| | |
|---|---|
| გაგრა-სპარტაკი | 1:1 |

**18 აპრილი, შაბათი**

| | |
|---|---|
| ბორჯომი-ლოკომოტივი | 1:1 |
| მგლები-ოლიმპი | 1:2 |
| დინამო-მესხეთი | 2:0 |
| ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი | 2:1 |

**სულ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 26 | 17 | 8 | 1 | 45-15 | 59 |
| 2. დინამო | 26 | 18 | 4 | 4 | 56-18 | 58 |
| 3. ოლიმპი | 25 | 12 | 9 | 4 | 29-17 | 45 |
| 4. ზესტაფონი | 25 | 13 | 4 | 8 | 30-21 | 43 |
| 5. სიონი | 25 | 10 | 9 | 6 | 28-21 | 39 |
| 6. ლოკომოტივი | 25 | 8 | 7 | 10 | 27-26 | 31 |
| 7. მგლები | 26 | 8 | 6 | 12 | 30-33 | 30 |
| 8. მესხეთი | 25 | 5 | 8 | 12 | 15-33 | 23 |
| 9. გაგრა | 26 | 5 | 7 | 14 | 20-41 | 22 |
| 10. სპარტაკი | 25 | 4 | 7 | 14 | 24-40 | 19 |
| 11. ბორჯომი | 26 | 2 | 7 | 17 | 19-58 | 13 |

**შინ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 13 | 11 | 2 | 0 | 36-10 | 35 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 13 | 8 | 4 | 1 | 23-9 | 28 |
| 3. ზესტაფონი | 12 | 8 | 0 | 4 | 18-10 | 24 |
| 4. ოლიმპი | 12 | 6 | 5 | 1 | 14-5 | 23 |
| 5. მგლები | 14 | 7 | 1 | 6 | 20-12 | 22 |
| 6. ლოკომოტივი | 13 | 5 | 3 | 5 | 13-9 | 18 |
| 7. სიონი | 12 | 4 | 5 | 3 | 14-10 | 17 |
| 8. გაგრა | 14 | 4 | 5 | 5 | 15-18 | 17 |
| 9. მესხეთი | 11 | 3 | 4 | 4 | 10-11 | 13 |
| 10. სპარტაკი | 12 | 2 | 4 | 6 | 12-18 | 10 |
| 11. ბორჯომი | 14 | 1 | 5 | 8 | 11-25 | 8 |

**სტუმრად**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 13 | 9 | 4 | 0 | 22-6 | 31 |
| 2. დინამო | 13 | 7 | 2 | 4 | 20-8 | 23 |
| 3. ოლიმპი | 13 | 6 | 4 | 3 | 15-12 | 22 |
| 4. სიონი | 13 | 6 | 4 | 3 | 14-11 | 22 |
| 5. ზესტაფონი | 13 | 5 | 4 | 4 | 12-11 | 19 |
| 6. ლოკომოტივი | 12 | 3 | 4 | 5 | 14-17 | 13 |
| 7. მესხეთი | 14 | 2 | 4 | 8 | 5-22 | 10 |
| 8. სპარტაკი | 13 | 2 | 3 | 8 | 12-22 | 9 |
| 9. მგლები | 12 | 1 | 5 | 6 | 10-21 | 8 |
| 10. გაგრა | 12 | 1 | 2 | 9 | 5-23 | 5 |
| 11. ბორჯომი | 12 | 1 | 2 | 9 | 8-33 | 5 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 14 |
| მერებაშვილი (დინამო) | 13 |
| თოდუა (მგლები) | 11 |
| ვაწაძე (დინამო) | 10 |

### მომდევნო ტური

**24 აპრილი, პარასკევი**

სპარტაკი-სიონი
ლოკომოტივი გაგრა

**25 აპრილი, შაბათი**

ოლიმპი-ბორჯომი
ზესტაფონი-მგლები
მესხეთი-ვიტ ჯორჯია

*დინამო ისვენებს*



დინამო-მესხეთი 2:0

ალექსანდრე კოტრაშვილის ფოტო

ტურის მწვრთნელი

რამაზ მუმლაძე



რამაზ მუმლაძე

# როდის იქნება მეექვსე?

## ყველაზე გემრიელი შანსის მოლოდინში

**ტურის მთავარი მატჩი „ვიტ ჯორჯია"-"ზესტაფონი" იყო და ტურის მწვრთნელადაც გამარჯვებული გუნდის თავკაცი დავასახელეთ. თუმცა მხოლოდ შედეგში როდია საქმე - „ვიტ ჯორჯიამ" კარგად ითამაშა და 3 ქულაც ჩვეულ სტილში, შეუპოვარი ბრძოლით მოიპოვა.**

**რამაზ მუმლაძე** ის მწვრთნელია, გუნდში მაღალი დონის შემსრულებლები რომ არ ჰყავს და მაინც ჩემპიონობისთვის იბრძვის. პირველ რიგში, მუმლაძე ამას ბრძოლისუნარიანი, ჟინიანი გუნდით ეშურება. „ვიტ ჯორჯიას" ბრძოლა მართლაც შეუძლია - მასზე ფულიან „დინამოს" ჯერჯერობით ტოლს არაფერში უდებს და ქულით უსწრებს კიდეც. მუმლაძე და „ვიტ ჯორჯიას" საკლუბო პოლიტიკა ერთმანეთს კარგად ერწყმის, ეს წარმატებული სინთეზი კი მნიშვნელოვნად განაპირობებს გუნდის სიძლიერეს.

„ვიტ ჯორჯია" და „ზესტაფონი" - ეს იყო შეხლა ჩამოყალიბებულ და ჩამოსაყალიბებელ გუნდებს შორის. „ზესტაფონში" **გია გეგუჩაძის** მისვლით ბევრი რამ შეიცვალა, პირველი და მეორე გუნდი, ფაქტობრივად, ხელახლა იწყობა, „ვიტ ჯორჯია" კი უკვე აწყობილი მექანიზმია. მუმლაძეს ასეთი უპირატესობა კი ჰქონდა გეგუჩაძესთან, თუმცა გამარჯვებისთვის მხოლოდ ეს ვერ იქნებოდა საკმარისი. ერთ თამაშში ხშირად რომელიღაც ერთი ფაქტორი, ერთი წამი, ერთი მოძრაობა წყვეტს ყველაფერს.

მუმლაძეს „ზესტაფონთან" აკლდა ამ სეზონში ვიტჯორჯიელთა საუკეთესო მეგოლე **ვახტანგ კვარაცხელია** - მაღალი, ღონიერი ცენტრფორვარდი. ასეთი ტიპის თავდამსხმელი მუმლაძეს სხვა არ ეგულება „ვიტ ჯორჯიაში" და მწვრთნელმაც **ჯაბა ლიპარტიას გიორგი ბერიაშვილი** შეუწყვილა. ორივემ კარგად ითამაშა, ლიპარტიაც და ბერიაშვილიც, ფაქტობრივად, ერთნაირი სტილის თავდამსხმელები არიან, ბურთს კარგად ფლობენ და დრიბლინგი ეხერხებათ. ტანდემმა წარმატებით იმუშავა, „ზესტაფონის" ცენტრალურ მცველებს - **სევასტი თოდუასა** და **უჩა ლობჟანიძეს**, არცთუ ცოტა პრობლემა შეუქმნა...

ნახევარდაცვაშიც უპირატესობა „ვიტ ჯორჯიას" მხარეს იყო - ორთაბრძოლებში ვიტელები უკეთ გამოიყურებოდნენ, თუმცა რამდენიმე ეპიზოდში ზესტაფონელმა **შოთა გრიგალაშვილმა** „ვიტ ჯორჯიას" შუა ხაზს კარგი დღე არ აყარა.

კარგად იდგა მუმლაძის გუნდის დაცვაც, **დავით ლომაიამ** კი სულაც იქით გაუტანა გოლი „ზესტაფონს". ყველა რგოლში უპირატესობა ვიტელებს დარჩათ. მუმლაძე ჯორჯიელთა მეკარე **გრიგოლ ბედიაშვილმაც** ასახელა. ფეროელები ლიდერის მომრევები არ იყვნენ - მუმლაძეს უფრო შეკრული და შეთამაშებული გუნდი ჰყავს.

„ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელის განკარგულებაში არ არის ბაზა და შესაშური სავარჯიშო პირობები, საშინაო მატჩებსაც კი გუნდი გორში მართავს და იქ თბილისიდან თამაშის დღეს ჩადის. სამაგიეროდ, მუმლაძის გუნდი ნაყოფიერად ემზადება სეზონისწინა და შუასასეზონო პერიოდში - მიდის უცხოურ შეკრებებზე და საკონტროლო მატჩებსაც უხვად მართავს, კლუბის ხელმძღვანელობა საამისოდ თანხებს არ იშურებს. მუმლაძეც ამის მიხედვით ანაწილებს ძალებს, ამის მიხედვით აყალიბებს გუნდის სტრატეგიას.

„ვიტ ჯორჯიაზე" ამ სეზონში ხინჯად დაგვრჩება საქართველოს თასის ნახევარფინალი, რომლის პირველ შეხვედრაში რუსთავის „ოლიმპს" სათადარიგო შემადგენლობა გაუყვანა, მანამდე კი ამავე მეტოქეს სტუმრად 3:1 მოუგო ჩემპიონატში... ამ ყველაფერზე ბევრი დაიწერა და ითქვა, ეს ისეთი რამ იყო, მუმლაძეს დონეზე ვერ გადაწყდებოდა, მაგრამ მაინც...

მუმლაძის გუნდი პირველ ადგილზეა და ვიტჯორჯიელთა დამრიგებელი „ლელომ" ამ სეზონში მეხუთედ დაასახელა ტურის მწვრთნელად. და როდის იქნება მუმლაძე მეექვსედ ტურის მწვრთნელი? საამისოდ, ყველაზე გემრიელი შანსი მას 10 მაისს, 31-ე ტურში ექნება, როცა მისი გუნდი თბილისის „დინამოსთან" საჩემპიონო ფინალს ითამაშებს.

„ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელებს სჯერათ მუმლაძის და ამითიც არის ეს გუნდი სხვაზე მეტი. ვიტელებს ზესტაფონთანაც ეტყობოდათ კარგი ფსიქოლოგიური მომზადება. მუმლაძემ და მისმა გუნდმა გეგუჩაძის კრებულთან დაპირისპირებისას ინერვიულეს და სხვაგვარად ვერც იქნებოდა - მეტოქე სუსტი და უნიათო ნამდვილად არ ყოფილა...

**დავით თავართქილაძე**

## საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ლიგა. XXVI ტური

### აღმოსავლეთი

**დილა-ჩიხურა 1:1**

1:0 ბარამიძე (48), 1:1 ნოზაძე (61)

*დილა:* კეჩხუაშვილი, ცოცხალაშვილი, შარანგია, თარგამაძე, ჩიხრაძე, სორდია, მინდიაშვილი (46. ცერცვაძე), თოდუა, ბარამიძე (77, მეტრეველი), ფაილოძე, იჩქითი (62. ბეგლარიშვილი).

*სათადარიგო:* დგებუაძე, ტიელიძე, ქარდავა, ანდღულაძე

*მთავარი მწვრთნელი:* პაატა მეტრეველი

*ჩიხურა:* დოლაძე, დოლონაძე, ცარციძე, ზივზივაძე, ტყებუჩავა, ზაბახიძე, ჭილლაძე (77. ქამუშაძე), ნოზაძე, პეტრიაშვილი, მიქაძე, კობახიძე.

*სათადარიგო:* მნყერაშვილი, მაჭარაშვილი, ივანიშვილი, დეკანოიძე, ენუქიძე, ჩიკვაიძე.

*მთავარი მწვრთნელი:* სოსო ფრუიძე

*გაფრთხილება:* თარგამაძე, ცერცვაძე

*არბიტრი:* ლ. სილაგავა

**პერეთი-ნ. დინამო 4:0**

1:0 ტაკაშვილი (34), 2:0 მურმანიშვილი (51), 3:0 ყაველაშვილი (54), 4:0 ტაბატაძე (64)

*პერეთი:* ჯალიაშვილი, მაჭარაშვილი, ტაკაშვილი, ხარაიშვილი, წვერავა, ყორლანაშვილი, მურმანიშვილი (75. კურტანიძე), ტაბატაძე (65. ოქრუაშვილი), თანდაშვილი, რეხვიაშვილი (41. ბ. ფოფხაძე), ყაველაშვილი.

*სათადარიგოები:* კურტანიძე, მანაგაძე, კობერიძე

*მთავარი მწვრთნელი:* კარლო წვერავა

*ნ.დინამო:* გაბრიჩიძე, კამლაძე, ტოსტიაშვილი, ჯორჯიკია, მამარდაშვილი (58. ხიზანიშვილი), ედიშერაშვილი, მამულაშვილი, ი. ქავთარაძე, აფხაზავა (72. დაბრუნდაშვილი), ჩუთლაშვილი, ბოკუჩავა (56. კობახიძე).

*სათადარიგო:* თურმანიძე

*მთავარი მწვრთნელი:* რევაზ ბარამიძე

*გაფრთხილება:* ყორლანაშვილი, კამლაძე, ი. ქავთარაძე.

*გაძევება:* ედიშერაშვილი

*არბიტრი:* ა. ნონიკაშვილი

**კახეთი-დინამო 2 1:7**

0:1 ქავთარაძე (7), 0:2 სიხარულიძე (25), 0:3 გეთიაშვილი (26), 1:3 გენგაშვილი (46), 1:4 ქანთარია (61), 1:5 ქანთარია (65), 1:6 მამრაში (66), 1:7 ჩადუნელი (82)

*კახეთი:* კობრიაშვილი, ხამხაძე, ტარულაშვილი (46. მეკუთნიშვილი), მურველიშვილი, მჭედლიშვილი, გენგაშვილი, კობაიძე (24. ზურომვილი), ხუციშვილი (46. ბიძინაშვილი), ტეტიაშვილი, იმერლიშვილი, ძამუკაშვილი.

*სათადარიგო:* ნინიკელაშვილი, ბორჩაშვილი

*მთავარი მწრთნელი:* გივი კობაიძე

*დინამო 2:* ბრაჭული, კეკელია, გეთიაშვილი, იამანიძე, ოთარაშვილი (46. ჩიკვაძე), ჩადუნელი, ხაზალია, ქავთარაძე (57. მამრაში), ჯოხაძე, ქანთარია (70. ლობჟანიძე), სიხარულიძე.

*სათადარიგო:* ჭყონია, მინდორაშვილი, ლექვთაძე, ისიანი

*მთავარი მწვრთნელი:* დავით კევლიშვილი

*გაფრთხილება:* მჭედლიშვილი

*არბიტრი:* ზ. ასკაროლლი

**ამერი-სიონი 2 3:0**

1:0 ჯანელიძე (31), 2:0 ჯანელიძე (38), 3:0 სუხიაშვილი (50)

*ამერი:* ნადირაშვილი, გვაძაბია, ნადირაშვილი, ხატიაშვილი, კაკაბაძე, ხუციძე, მჭედლიშვილი (27. სუხიაშვილი), ჩიაკაძე (77. სანიკიძე), ტიკურიშვილი, ბენდელიანი, ჯანელიძე (64. ქებაძე).

*სათადარიგო:* ბასილაური, ლაფერაშვილი, ცხოვრებაშვილი, ბოჯგუა

*მთავარი მწვრთნელი:* გიორგი ჩიხრაძე

*სიონი 2:* ბობლიაშვილი, ჩხეტიანი, პატარქალიშვილი, გიორბელაძე, კახნიაშვილი, გაბრიჭიძე, ბუბუტეიშვილი (60. არლევიანი), ალფაიძე (60. გოგოლაძე), უგრეხელიძე, გიგინეიშვილი (46. გოგიბერიშვილი), ოქროპირიძე.

*სათადარიგო:* გურგენიძე, რუსიეშვილი, ჯოხაძე, მესხი

*მთავარი მწვრთნელი:* ჯონი ჯაგიდისი

*გაფრთხილება:* ბობლიაშვილი, ჩხეტიანი, სუხიაშვილი

*არბიტრი:* კ. ჭაჭუა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი სამძიმარს უცხადებს ვეტერან ფეხბურთელს ოთარ კორლალიძეს

**მამის**

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ს.კ. თბილისის „დინამოს" უსაფრთხოების ოფიცერს გია ისიანს

**მამის**

გარდაცვალების გამო.

*პანაშვიდი: 22.04, გურამიშვილის 12ა. IV კორპ. I სადარბაზო*

*გამოსვენება: 23.04, 14 საათზე ანტონ მარტყოფელის ტაძრიდან (საბურთალოს 45).*

**თბილისი-გაგრა 2 3:1**

1:0 გურეშიძე (15), 1:1 ჩხაიძე (21), 2:1 ბროლაძე (38), 3:1 დევდარიანი (89)

*67-ე წუთზე კორიფაძემ ვერ გაიტანა პენალტი*

*თბილისი:* გიორგობიანი, ამისულაშვილი, ჭაფოძე, სებისკვერაძე, გურეშიძე, ხოხონიშვილი (65. გოგოხია), ბროლაძე, ტორონჯაძე, ზვიადაძე (59. კორიფაძე), კბილცეცხლაშვილი (84. დევდარიანი), სარაჯიშვილი.

*სათადარიგოები:* გედენიძე, შუშიაშვილი, ოდიშარია, ჯაში

*მთავარი მწვრთნელი:* გელა გომელაური

*გაგრა 2:* ხომერიკი, ტეტუნაშვილი, სეფიაშვილი, ქანთარია, გედენიძე, ბელქანია (63. სხირტლაძე), კილაძე (46. დემეტრაშვილ), ოქრიაშვილი, ჩხაიძე (46. ძაგანია), ნავერიანი, მოსიაშვილი.

*სათადარიგოები:* ნაჭყებია, გ. კალანდაძე, მარგიანი, ფანცხავა

*მთავარი მწვრთნელი:* თეიმურაზ ჩხაიძე

*გაფრთხილება:* მოსიაშვილი, ოქრიაშვილი, კორიფაძე

*არბიტრი:* თ. გვანცელაძე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი | 24 | 17 | 5 | 2 | 44-11 | 56 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 23 | 15 | 5 | 3 | 39-8 | 50 |
| 3. ჩიხურა | 23 | 14 | 6 | 3 | 41-14 | 48 |
| 4. დინამო 2 | 23 | 12 | 8 | 3 | 41-17 | 44 |
| 5. დილა | 24 | 9 | 8 | 7 | 32-22 | 35 |
| 6. თბილისი | 24 | 10 | 3 | 11 | 38-36 | 33 |
| 7. სიონი 2 | 24 | 7 | 5 | 12 | 27-51 | 26 |
| 8. გაგრა 2 | 24 | 6 | 3 | 15 | 31-50 | 21 |
| 9. პერეთი | 23 | 3 | 8 | 12 | 20-46 | 17 |
| 10. კახეთი | 24 | 3 | 6 | 15 | 16-47 | 15 |
| 11. ნ/დინამო | 24 | 2 | 7 | 15 | 23-50 | 13 |

**მომდევნო ტური**

**23 აპრილი, ხუთშაბათი**

ნ/დინამო-გაგრა 2
დინამო 2-პერეთი
თბილისი-სიონი 2
ამერი-კახეთი
ჩიხურა-ვიტ ჯორჯია 2

*დილა ისვენებს*

### დასავლეთი

**მარტვილი-ხობი 2:1**

1:0 იობაშვილი (10), 2:0 ჩომახიძე (15), 2:1 ლომაია (49)

*მარტვილი:* შეროზია, ფარცვანია, ჩხიკვაძე, იობაშვილი, კვიტატიანი, წოწორია, ილურიძე, ჩომახიძე (85. დ. თოდუა), ლ. ტორაძე, ძველაია (65. სილაგავა), ო. ტორაძე (90. არდაშელია).

*სათადარიგოები:* ჩაველაშვილი, ჩალაძე, პაპადოპულოსი, ქვილითაია

*მთავარი მწვრთნელი:* მალხაზ ჟვანია

*ხობი:* ჭურღულია, მ. შონია, ლ. გომენია, კვირკველია, ჩაჩიბაია, ჩარგაზია (62. ლატარია), კ. გომენია, ჩიტაია, ფიფია (46. გრიგოლია,) გელა ლომაია (60. ლ. თოდუა), წულაია.

*სათადარიგოები:* გელაშვილი, ცომეხია, ბ. ბუკია

*მთავარი მწვრთნელი:* ლევან ნოდია

*გაფრთხილება:* გელა ლომაია, წულაია, კვიტატიანი

*არბიტრი:* გ. კიკაჩეიშვილი

**სამტრედია-გურია 4:1**

1:0 ბოხუა (18), 2:0 ძაგანია (30), 3:0 ბაკურაძე (50), 4:0 ჯიქიძე (73), 4:1 კვერენჩხილაძე (85)

*სამტრედია:* ი. შენგელია, ნინუა, გოგია (78. მუკბანიანი), შალიკაშვილი, ძაგანია, ეცადეიშვლი, ბაკურაძე (71. გუბელაძე), ბოხუა, ბეგოიძე (60. ა. თელია), ჯიქიძე, ხაჭიპერიძე.

*სათადარიგოები:* გიორგაძე, სალდაძე, დარჯანია

*მთავარი მწვრთნელი:* ვალერიან ჩხარტიშვილი

*გურია:* გოგუაძე, ბრეგაძე, გოგიბერიძე, იმნაიშვილი, ქურიძე (72. ურუშაძე), შენირული, კილაძე, ხ. მგელაძე, ლ. ციკოლია (46. ჯაყელი), კუკულაძე, კვერენჩხილაძე.

*სათადარიგოები:* კეკელიძე, ლ. ჯორბენაძე, ნილოსანი, უგლავა, სულაბერიძე

*მთავარი მწვრთნელი:* ავთანდილ ნარიაშვილი

*გაფრთხილება:* ნინუა

*არბიტრი:* მ. ბეუქლიშვილი

**კოლხეთი (ფ)-ტორპედო 3:2**

1:0 გელაჭეიშვილი (9), 2:0 ცხვიტარია (15), 3:0 ნიქარიშვილი (51), 3:1 იმედაძე (53), 3:2 ქუთათელაძე (72)

*კოლხეთი:* გ. შენგელია, ლვანია, ცხვიტარია, თურქია, გელაჭეიშვილი, გოგონაია, აბურჯანია, გოგნაძე (88. ლემონჯავა), გ. ციკოლია (89. გეგელია), გვალია (64. გულუა), ნიქარიშვილი.

*სათადარიგოები:* ჩემია, გვიჩია, ლორია.

*მთავარი მწვრთნელი:* დავით მახარაძე

*ტორპედო:* კუჭუხიძე, ხარებავა, ჭანკვეტაძე, ვაჩიბერაძე, გურული, ბ. ჩხეტიანი (79. ლომაშვილი), ჩხარტიშვილი, კირკიტაძე (30. ჩიხლაძე), ქაშიბაძე (44. კობერიძე), იმედაძე, ქუთათელაძე.

*სათადარიგოები:* ოდიშარია, დანელია, ღლონტი, ცაგარეიშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* იასონ ბზიკაძე

*გაფრთხილება:* თურქია, გოგონაია, ჩხარტიშვილი, ჩიხლაძე

*არბიტრი:* ხ. გაგნიძე

**მეშახტე-ბათუმი 3:1**

1:0 ჯოხაძე (21), 2:0 გოდერიძე (25), 3:0 მაჩალაძე (54), 3:1 მ. ჯორბენაძე (83)

*მეშახტე:* მემარნიშვილი, გოგუა, ბოჭორიშვილი (77. რ. კალანდაძე), მაჩალაძე, დონაძე, ჯიშიაშვილი, კუტალია (81. ხაბურზანია), გიზო სიჭინავა, გოდერიძე, ჯოხაძე (67. მერკვილაძე), გ. გვენეტაძე.

*სათადარიგოები:* თევზაძე

*მთავარი მწვრთნელი:* დავით გვენეტაძე

*ბათუმი:* კაკალაძე, ფარტენაძე, გოგიტაური (46. მალაზონია), თედორაძე, ლ. რამიშვილი, გოგიტიძე, ბ. მახარაძე (37. ზოიძე), ზვ. ლობჟანიძე, მ. ჯორბენაძე, ლ. კალანდაძე, ტულუში (55. მამეიშვილი).

*სათადარიგოები:* მერაბიშვილი, თოთლაძე

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან გოგიტიძე

*გაფრთხილება:* გ. გვენეტაძე, დონაძე, ფარტენაძე, ზოიძე, მ. ჯორბენაძე

*არბიტრი:* ი. ურუშაძე

**ბაია-ჭიათურა 3:0**

1:0 ლ. წურწუმია (32), 2:0 ეხვაია (61), 3:0 სიხარულია (77)

*ბაია:* ზარქუა, კვეკვესკირი (46. კაკუშაძე), ქვარცხავა, ნ. შონია, (74. ვართაგავა), ძალამიძე, სიხარულია, გუგუჩია (66. რაფავა), ეხვაია, კ. შონია, ლ. წურწუმია, აფაქიძე.

*სათადარიგოები:* ჯალაღონია, პაჭკორია, გ. ჟვანია, ქირია

*მთავარი მწვრთნელი:* ელგუჯა ქომეთიანი

*ჭიათურა:* დარბაიძე, ტატაშიძე, დ. შეყილაძე, აბესაძე, ცუცქირიძე, ვაშაძე, ნ. ტყემალაძე, რობაქიძე, ასანიძე (46. იობიძე), ლაშხი, ლ. ბარათაშვილი.

*სათადარიგოები:* ცერცვაძე, სარალიძე, პაპიძე

*მთავარი მწვრთნელი:* დავით იობაშვილი

*გაფრთხილება:* ვაშაძე, რაფავა

*არბიტრი:* ო. ხეცაძე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 24 | 17 | 2 | 5 | 45-19 | 53 |
| 2. ბაია | 24 | 16 | 5 | 3 | 45-14 | 53 |
| 3. მარტვილი | 23 | 14 | 6 | 3 | 33-17 | 48 |
| 4. კოლხეთი | 24 | 10 | 5 | 9 | 33-26 | 35 |
| 5. ხობი | 24 | 10 | 3 | 11 | 26-37 | 33 |
| 6. ჭიათურა | 24 | 9 | 2 | 13 | 31-39 | 29 |
| 7. ტორპედო 2008 | 23 | 9 | 2 | 12 | 23-19 | 29 |
| 8. გურია | 24 | 8 | 4 | 12 | 32-39 | 28 |
| 9. ბათუმი | 23 | 8 | 4 | 11 | 26-35 | 28 |
| 10. ზესტაფონი 2 | 23 | 6 | 5 | 12 | 20-31 | 23 |
| 11. მეშახტე | 24 | 2 | 4 | 18 | 14-52 | 10 |

**მომდევნო ტური**

**23 აპრილი, ხუთშაბათი**

ტორპედო 2008-მერანი
ბათუმი-ზესტაფონი 2
ხობი-ჭიათურა
ბაია-გურია
სამტრედია-კოლხეთი

*მეშახტე ისვენებს*

ლეგიონი

# აშვეთიამ დაიწყო, აბრამიძემ დაასრულა



მიხეილ აშვეთია

რუსეთის მეორე დივიზიონში მოასპარეზე ბარნაულის „დინამომ" თურქეთში მოსამზადებელი შეკრება დაასრულა. **მიხეილ აშვეთიასა და ვალერი აბრამიძის** გუნდმა ეს კამპანია მაჟორულ ნოტზე დაასრულა. ბოლო მატჩში ბარნაულელები ადგილობრივ ქვედალიგოსანს გაეჯიბრნენ და 3:1 მოუგეს. აბრამიძე და აშვეთია ძირითად შემადგენლობაში იყვნენ. მეტიც - ქართულმა დუეტმა ამ გამარჯვებაში საკუთარი წვლილიც შეიტანა. ანგარიში აშვეთიამ გახსნა, საბოლოო ანგარიში კი აბრამიძემ დააფიქსირა.

**დავით ცაბაძე**



ვალერი აბრამიძე

სკანდალი

# იტალიაში რასიზმი მძვინვარებს

## სკუადრა აძურაში ბარვუა არ სჭირდებათ

დიდ იტალიურ დერბიში „იუვენტუსის" გულშემატკივრების რასისტულმა გამოხდომებმა აპენინებზე დიდი რეზონანსი გამოიწვია. შეგახსენებთ, რომ „ბიანკონერის" ტიფოზებმა მიზანში „ინტერის" შავკანიანი თავდამსხმელი **მარიო ბალოტელი** ამოიღეს და მისი მისამართით შეურაცხმყოფელი შეძახილების კორიანტელი დააყენეს. განური წარმოშობის ფეხბურთელს დიდი წნეხის ქვეშ მოუწია თამაშმა, რიგ შემთხვევებში გულშემატკივრები ორგანიზებულად სკანდირებდნენ რასისტულ ლოზუნგებს და მღეროდნენ კიდეც.

ბუნებრივია, ეს ფაქტი უყურადღებოდ არც ფედერკალჩოს დაუტოვებია. სადისციპლინო კომიტეტმა მომხდარზე გუშინ იმსჯელა და „იუვენტუსს" სანქციაც გამოუტანა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტურინელები იოლად გამოძვრენ - „იუვე" უახლოეს საშინაო თამაშს ცარიელი ტრიბუნების ფონზე გამართავს. იტალიური საფეხბურთო საზოგადოება მიიჩნევს, რომ „ვეკია სენიორასთვის" უფრო მკაცრი სანქცია უნდა გამოეტანათ, მაგრამ ტურინული კლუბის მესვეურები ამ მოსაზრებას არ ეთანხმებიან. მეტიც, ისინი სადისციპლინო კომიტეტში აპელაციის შეტანას აპირებენ, რომ მათზე დაწესებული სანქცია გაუქმდეს.



მარიო ბალოტელი

კლუბის ტექნიკური დირექტორი **ჟან-კლოდ ბლანი** მიღებულ გადაწყვეტილებას აბსურდულს უწოდებს: *„ჩემი აზრით, „იუვენტუსი"-"ინტერის" შეხვედრაში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა და სანქციების დაწესება საჭირო არ იყო. სამწუხაროდ, ევროპაში რასიზმი კვლავაც მძვინვარებს და გამონაკლისი არც იტალია და ტურინია. ჩვენი ტიფოზების საქციელს გამართლება არ აქვს და ამისთვის ბოდიშიც მოვიხადეთ, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მსგავსი რასისტული გამოხდომები თითქმის ყველა იტალიურ ქალაქში გვხდება. „იუვენტუსი" ამ პრობლემას ნებისმიერი გასვლითი პაექრობისას აწყდება, თუმცა ამის გამო არავის სჯიან. თუნდაც ჩვენი მალელი ლეგიონერი, მოჰამედ სისოკო ავილოთ, ვინც არაერთხელ გამხდარა ტიფოზთა აგრესიის ობიექტი".*

ამ მოსაზრებას ეთანხმება **კლაუდიო რანიერიც.** „იუვეს" მწვრთნელის აზრით, იმ დღეს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა:

*„რასიზმი ფეხბურთში იშვიათი მოვლენა არ გახლავთ და გაუგებარია, რატომ ატყდა ამხელა აჟიოტაჟი. ჩემი აზრით, აქ იმან იქონია გავლენა, რომ ბალოტელი იტალიის მოქალაქეა და მას მომავალში ეროვნული ნაკრების ღირსების დაცვაც შეუძლია. როგორც ჩანს, ბევრს არ მოსწონს ის ფაქტი, რომ შავკანიანი ფეხბურთელი, რომელსაც იტალიური ფესვები არ აქვს, შესაძლოა აძურაში მოხვდეს. სწორედ ეს ქვეტექსტი აქვს მთელ ამ აჟიოტაჟს. სხვას ვერაფერს დავაბრალებ, რადგან რასისტული შეძახილები პირადად მე ყოველ კვირას მესმის სტადიონების ტრიბუნებიდან".*

იტალიის ნაკრები და ბალოტელის აძურული პერსპექტივა ცალკე სალაპარაკო თემაა. ძალიან ხშირად, „ინტერის" გასვლით პაექრობებზე იფინება ბანერები და პლაკატები, რომლებიც ბალოტელის იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებში ასპარეზობას ეხმაურება. ალბათ მიხვდით, რომ ტიფოზები მისი აძურინიდან მოკვეთას ითხოვენ და რაც არ უნდა საოცარი იყოს, ეს ყველაფერი 21-ე საუკუნეში ხდება. იტალიელი ჟურნალისტი იხსენებს „ნერაძურის" გასვლით პაექრობას კატანიაში, სადაც გულშემატკივრებმა ბანერი გამოფინეს. მასზე ეწერა: მარიო ბარვუა და არა მარიო ბალოტელი. ბარვუა ბალოტელის წარმოშობის გვარია და სწორედ ამაზე გაამახვილეს მაშინ ტიფოზებმა ყურადღება. „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტი მიიჩნევს, რომ ასეთი ცნობიერებით, იტალიელები თავს იჭრიან მსოფლიოს მასშტაბით. **ნიკოლა ჩეკერე** დარწმუნებულია - რომ არა ასეთი წნეხი, მარიოს დებიუტი ეროვნულ გუნდში უკვე შედგებოდა.

ალშფოთებულია **მასიმო მორატიც.** „ინტერის" პრეზიდენტი ნანობს, რომ შეხვედრისას ტრიბუნაზე არ იმყოფებოდა: *„სამწუხაროდ, იმ დღეს ტურინში გამგზავრება ვერ მოვახერხე და თამაშს ტელევიზიით ვუყურე. შესაბამისად, ვერც ვხვდებოდი თუ რა ხდებოდა მოედანზე. სტადიონზე რომ ვყოფილიყავი, შესვენებისას გასახდელში ჩავიდოდი და გუნდს თამაშის შეწყვეტისკენ მოვუწოდებდი. რასიზმი დაუშვებელია და მას ყველა მეთოდით უნდა ვებრძოლოთ. რაც შეეხება "იუვესთვის" გამოტანილ სანქციას, ვშიშობ, რომ ეს პრობლემას ვერ აღმოფხვრის. უფრო მკაცრი, გადამჭრელი ზომების მიღებაა საჭირო".*

**ლაშა ნიკლაური**

ამომავალი ვარსკვლავი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფედერიკო მაკედა

# ოქროს ბიჭი თეატრის სცენაზე

17 წლის ბიჭუნას 45 წუთში „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში 2 გოლი გააქვს - შეუძლებელია ფეხბურთზე მწერალმა ადამიანმა ასეთ მოვლენას გვერდი გულგრილად აუაროს. მეორე მხრივ, ფეხბურთელზე, რომლის პრემიერლიგური კარიერა სულ რაღაც 45 წუთს ითვლის, დაწერო რამე საინტერესო, გარდა ბიოგრაფიული ცნობებისა და თარიღებისა, ძნელი საქმეა. მოდი, ვცადოთ.

ჯერ კიდევ ერთი თვის წინ **კიკო (ფედერიკო) მაკედას** თავად მანჩესტერშიც ნაკლებად იცნობდნენ. ვილას ახსოვდა ორიოდე წლის წინ რომის „ლაციოს" პრეზიდენტის **კლაუდიო ლოტიტოს** განრისხება (როგორც ჩანს, საფუძვლიანი), წყეულმა „ეშმაკებმა" 15 წლის უნიჭიერესი ბიჭი ცხვირწინ ამაცალესო? ეს ისტორია ყველას დავიწყებული ჰქონდა, რადგან განა ცოტაა მსოფლიოში ნიჭიერი ბიჭი? ზოგი ამართლებს ავანსს, უმრავლესობა კი უკვალოდ იკარგება. აი, ეს ისტორია, კი არ იყო სტანდარტული, იტალიელთა შეფასებით, მას კრიმინალური შუქჩრდილებიც კი დაჰკრავდა.

ლოტიტო დღემდე ვერ ინელებს წყენას. აი, რას აცხადებს ის: *„ისეთი კლუბები, როგორიც „მანჩესტერ იუნაიტედია", ნიჭიერ ბავშვებს სხვებს ისე ართმევენ, თითქოს ჩვეულებრივი მოვლენა იყოს. ისეთი ღარიბი ოჯახები კი, როგორიც მაკედებისა იყო, მდიდრულ წინადადებაზე უარს ვერასოდეს ამბობენ. აგენტები მიდიან ნიჭიერი ბიჭების ოჯახებში, სთავაზობენ მათ ფულსა და პრესტიჟულ სამსახურს, სამაგიეროდ ხელში ტალანტი უვარდებათ. ასეთ წინადადებას ოჯახებზე ზრუნვით არ იძლევიან... ეს უფრო მსხვილფეხა საქონლის შეძენის პროცედურას ჰგავს. ნიჭიერ ფეხბურთელებს სწორედ საქონლად განიხილავენ და არა ცოცხალ ადამიანებად. ასე მოხდა ფედერიკოს შემთხვევაშიც. მათ ფეხბურთელს იუნიორული კონტრაქტი შესთავაზეს მიზერული ანაზღაურებით, მის მშობლებს კი სამსახური „იუნაიტედის" სისტემაში. რაღა დასამალია, მათ კარგად გამოიყენეს იტალიური კანონმდებლობის სუსტი მხარე, რომელიც კლუბს 17 წლის ასაკს მიუღწეველ ფეხბურთელთან კონტრაქტის გაფორმებას კრძალავს".*

იქამდე, ვიდრე მაკედათი „მანჩესტერ იუნაიტედი" დაინტერესდებოდა, ფედერიკო მშვიდად ცხოვრობდა რომში, დადიოდა „ლაციოს" სკოლაში და ფეხბურთის ანაბანას ეუფლებოდა. „ბიანკოჩელესტეში" უხაროდათ ნიჭიერი აღსაზრდელის პროგრესი. ის ყოველ ასაკობრივ ტურნირში ულაპარაკოდ ხდებოდა საუკეთესო ბომბარდირი. ერთ-ერთ ასეთ ტურნირზე კიკო ინგლისელებმა შეამჩნიეს (ანდა, რა შემჩნევა უნდოდა?!) მას შემდეგ, რაც ინტერესი საბოლოოდ დადასტურდა, ყველა მიხვდა, რომ მაკედას ინგლისში გადაბარგება მხოლოდ დროის საკითხი იყო. კიკომ გუნდური იერარქია სულ ასკინკილათი გაიარა. ჯერ იყო „იუნაიტედის" საფეხბურთო აკადემია, შემდეგ 18-წლამდელთა გუნდი, რომელსაც სათავეში **პოლ მაკგინესი** ედგა. პოლის განკარგულებაში ფედერიკო მაშინ მოხვდა, როცა ის 16 წლისაც არ იყო. 2009 წლის დასაწყისში მისი სამსახურით „იუნაიტედის" რეზერვისტთა მთავარი მწვრთნელი **ოლე გუნარ სოლსკიაერი** დაინტერესდა. რეზერვისტებიდან ძირითად გუნდამდე ყველას ერთი ნაბიჯიღა რჩება ხოლმე გადასადგმელი, მაგრამ სწორედ გადამწყვეტი ნაბიჯია ყოველთვის ყველაზე რთული. თუმცა გააჩნია, ვისთვის... იტალიელ ვუნდერკინდს არც ეს გასჭირვებია. მას ამაში ხელი დიდად შეუწყო „მანიუსა" და „ნიუკასლის" რეზერვისტთა შეხვედრამ, რომელიც მარტის შუაში შედგა. ამ შეხვედრაში 17 წლის ბიჭმა „კაჭკაჭებს" სამი გოლი გაუტანა - ერთი პენალტით, ორი კი თამაშიდან. თავდამსხმელებთან დაკავშირებული მწვავე საკადრო პრობლემების გამო („ეშმაკებს" **რუნი** და **ბერბატოვი** აკლდნენ) სოლსკიაერმა სერ **ალექს ფერგიუსონს** მისი შეგირდის განაცხადში შეყვანა ურჩია. ასეთი რეკომენდაციები კი ძვირად ფასობს. ნორვეგიელმა ხომ მშვენივრად იცის ნიჭიერი ფეხბურთელების ფასი. „ასტონ ვილამ" მეორე ტაიმში ანგარიში წაიყვანა, შოტლანდიელს ვუნდერკინდის დახმარება დასჭირდა. კიკომ ჯერ კიდევ გოლამდე რამდენჯერმე ისე თავისუფლად ითამაშა, გეგონებოდათ, „ოლდ ტრეფორდზე" ჭიპი ჰქონდა მოჭრილი. 90-ე წუთზე კი მისი საათმა დაჰკრა. ურთულესი პოზიციიდან შორეულ ცხრიანში გოლის გატანა ყველა დებიუტანტის ხვედრი რომ არ არის, ყველამ იცით. *„უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში!"* - სხვა რაღა უნდა ეთქვა 17 წლის ბიჭს, რომელმაც ასეთი გუნდის შემადგენლობაში ასეთი მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა?

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ფერგიუსონმა შეაქო შეგირდი, რაც იშვიათად სჩვევია, და იქვე მიუთითა, სჯობს მიწაზე ფეხით იარო, ფრენას ნუ ეცდებიო. გენიალურმა ფსიქოლოგმა ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგაში „პორტუსთან" შეხვედრაში განაცხადში შეიყვანა, მაგრამ 90 წუთის განმავლობაში მინიშნებაც კი არ ყოფილა საიმისოდ, რომ ის კიკოს მინდორზე შეშვებას აპირებდა. მაკედამ პრემიერლიგის მომდევნო შეხვედრაშივე დაამტკიცა, რომ პირველი წარმატება არ იყო შემთხვევითი - „სანდერლენდთან" ბურთთან პირველივე შეხება გოლით დასრულდა. კიკოს მთელი კარიერა წინ აქვს. გამოცდილი მანჩესტერელები ხმამაღლა აცხადებენ, რომ მას ვარსკვლავური სტატუსით ტკბობის საშუალებას არ მისცემენ. **რაიან გიგზსა** და **პოლ სქოულზს** კი ნამდვილად დაეჯერებათ.

„ოცნებათა თეატრში" „ოქროს ბიჭუნასგან" მომავალში უფრო შთამბეჭდავ სპექტაკლებსაც ელიან.

**შალვა ბიბილაშვილი**

ლაციო

# როსის დარჩენა უნდა, მაგრამ... მაძარი?

„ლაციოს" თავკაცი დელიო როსი, მიიჩნევს რომ მიმდინარე სეზონში გუნდი კარგად ასპარეზობს და შეგირდებთან სასაყვედურო ბევრი არაფერი აქვს. „ბიანკოჩელესტეს" მთავარი მწვრთნელი ბოლოდროინდელ აღმავლობას ლოგიკურს უწოდებს, მისი თქმით, მუხლჩაუხრელმა შრომამ შედეგი გამოიღო და გუნდმა ქულების მოგროვება დაიწყო. როსის „ლაციოში" მუშაობა კიდევ დიდი ხნით სურს და არსად წასვლის სურვილი არ გააჩნია. მოვუსმინოთ რომაელთა დამრიგებელს:

*„ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ ვიასპარეზებთ თასის განმეორებით პაექრობაში. „იუვენტუსს" პირველ შეხვედრაში მინიმალური ანგარიშით (2:1) მოვუგეთ, რითაც შემდგომ ეტაპზე გასვლის კარგი შესაძლებლობა მოგვეცა. თასის მოგება ჩვენი პრიორიტეტია და იმედია, მიზანს მივაღწევთ. კარგად მესმის ისიც, რომ „იუვენტუსთან" პაექრობა, ჩემთვის, როგორც „ლაციოს" მწვრთნელისთვის შესაძლოა გადამწყვეტიც აღმოჩნდეს. წარუმატებლობის შემთხვევაში, არ გამოვრიცხავ, რომ კლუბიდან წასვლამ მომიწიოს, რისი სურვილი ნამდვილად არ მაქვს. მჯერა „ლაციოს" მომავლის და დარწმუნებული ვარ, რომ დიდი გუნდის მშენებლობას ჩავუყარეთ საფუძველი. სწორედ ამიტომ მსურს მუშაობის გაგრძელება და საკუთარი საქმის ბოლომდე მიყვანა. სამწუხაროდ, არ გვაქვს იმის რესურსი, რომ ვარსკვლავები შევიძინოთ და გუნდი ასე გავაძლიეროთ, თუმცა არსებობს სხვა გზაც და სწორედ ამ გზაზე ვდგავართ. მომავალ სეზონში გუნდი აუცილებლად იბრძოლებს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის".*

ამ თემას ეხმაურება ინფორმაცია, რომელიც გუშინ გავრცელდა. მას მერე, რაც „სამპდორიას" მწვრთნელ **ვალტერ მაძარის** ახალი სეზონიდან „ლაციოში" გადასვლა უწინასწარმეტყველეს, გენუური კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ბეპე მაროტამ** ასეთი კომენტარი გააკეთა - მაძარის შეუძლია, წავიდეს „ლაციოში", თუკი მას ამის სურვილი აქვსო. მოკლედ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, როსი მართლაც დატოვებს „ფორმელოს"...

**ლაშა ნიკლაური**

მილანი

# გატუზო ბრუნდება

გუშინ იტალიურმა პრესამ „მილანის" გულშემატკივრებისთვის მეტად სასიხარულო ინფორმაცია გაავრცელა. **ჯენარო გატუზო** ტრავმისგან განიკურნა და ხვალიდან გუნდთან ერთად ივარჯიშებს. შეგახსენებთ, რომ რინო გასული წლის დეკემბერში დაშავდა და მას შემდეგ მოედანზე აღარ გამოჩენილა. „როსონერის" ექიმები გატუზოს ჯანმრთელობის მდგომარეობას დამაკმაყოფილებლად აფასებენ და ფეხბურთელს ვარჯიშის განახლების უფლება ამადაც დართეს. ბუნებრივია, რინო ჯერ მსუბუქად ჩაერთვება წვრთნებში, თუმცა რამდენიმე დღეში დატვირთვებს გაზრდის.

ჯენაროს გამოჯანმრთელების ამბავმა, ძალიან გაახარა იტალიის ნაკრების თავკაცი **მარჩელო ლიპი**. „აძურას" მესაჭემ იმედი გამოთქვა, რომ ჟინიან ნახევარმცველს კონფედერაციათა თასზე იახლებს:

*„გატუზო ნაკრებს ძლიერ აკლდა და მიხარია, რომ გამოჯანმრთელდა. ძალიან კარგი იქნება თუ სეზონის დარჩენილ შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებს და ოპტიმალურ ფორმას აკრეფს. კონფედერაციათა თასზე მისი წაყვანის სურვილი დიდია და იმედია, ამის შესაძლებლობა მომეცემა. რინოს დარი მებრძოლი ფეხბურთელი გუნდისთვის დიდ ძალას წარმოადგენს და ეს მის არყოფნაში ნათლად დავინახე".*

**ლაშა ნიკლაური**

ესპანეთი. ლიგა BBVA XXXII ტური

# გადამწყვეტი ბრძოლა განდიდებისა და გადარჩენისთვის

| დღეს | |
|---|---|
| ოსასუნა-მალაგა | 22:00 |
| დეპორტივო-ალმერია | 22:00 |
| ბეტისი-ვალენსია | 22:00 |
| ბარსელონა-სევილია | 00:00 |
| **ხვალ** | |
| ვილიარეალი-რეკრეატივო | 22:00 |
| სპორტინგი-ესპანიოლი | 22:00 |
| მალიორკა-ვალიადოლიდი | 00:00 |
| რასინგი-ბილბაო | 00:00 |

იმის გათვალისწინებით, რომ ესპანეთის ფეხბურთის პროფესიულმა ლიგამ და სამეფო ფედერაციამ 32-ე ტური შუა კვირაში დანიშნა, პრიმერადივიზიონურ კლუბებს ფაქტობრივად, ფორსმაჟორულ სიტუაციაში მოუხდათ მზადება. გადატვირთული კალენდარი ფეხბურთელებს ისედაც უამრავ პრობლემას უქმნის. ზედიზედ რამდენიმე მატჩის ჩატარება განსაკუთრებულად რთული იმ კლუბებისთვისაა, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე იბრძვიან. ეს პირველ ყოვლისა „ბარსელონაზე" ითქმის. ამ ორი კვირის განმავლობაში კატალონიელებს მეხუთე შეხვედრის გამართვა მოუწევთ. დაგვეთანხმებით, ეს ყველაფერი მართლაც კოლოსალურ ენერგიას მოითხოვს. დიდი დატვირთვის მიუხედავად, „ბარსა" საკმაოდ კარგად გამოიყურება. მიმომხილველები ამას **პეპ გვარდიოლას** მიერ დანერგილი როტაციების პრინციპით ხსნიან. მოსალოდნელია, რომ ახალგაზრდა სპეციალისტი შემადგენლობას „სევილიასთან" მატჩშიც გადაახალისებს. თუმცა პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე, გვარდიოლამ მისი გეგმები არ დააკონკრეტა.

გუშინდელი მონაცემებით „ბარსელონაში" სერიოზული ტრავმა არავის ანუხებდა, თუმცა თითქმის მთელი შემადგენლობა სხვადასხვა სახის პრობლემებს უჩივის: ზოგს კოჭი სტკივა, ზოგი გაცივდა, ნაწილი კი გადაიღალა. ყველა პრობლების მიუხედავად, „ბარსელონა" უკან დახევას არ აპირებს. ამჯერად კატალონიელთა მეტოქე ის „სევილიაა", რომელიც ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის. ანდალუსიელებს მეორე ადგილზე გასვლა და საკვალიფიკაციო რაუნდისთვის თავის არიდება სურთ. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ **მანოლო ხიმენესის** ბიჭები უკან არაფერზე დაიხევენ.

„ხეტაფესთან" მატჩის შემდეგ პეპ გვარდიოლამ სრულ შემადგენლობასთან მუშაობა მხოლოდ ერთხელ მოახერხა. მწვრთნელი კარგად ხედავდა, რომ ფეხბურთელებს პრობლემები აწუხებდათ. ამიტომ ახალგაზრდა სპეციალისტმა არ გარისკა და შეგირდები მძიმე დატვირთვებით კიდევ უფრო არ დალალა. კატალონიელები გასული დღეების განმავლობაში მსუბუქი ვარჯიშებით კმაყოფილდებოდნენ. ექიმების დახმარება ყველაზე მეტად **ლეო მესის, ანდრეს ინიესტას, ტიერი ანრისა** და **კარლეს პუიოლს** დასჭირდათ, თუმცა „ბარსას" სამედიცინო შტაბი აცხადებს, რომ სერიოზული ტრავმა არც ერთ მოთამაშეს არ აღენიშნება. გვარდიოლა ოპტიმისტურადაა განწყობილი, მაგრამ როგორც ყოველთვის, მეტოქის მისამართით საქებარ სიტყვებს არ იშურებს:

*„ჩვენ კიდევ ერთი მძიმე მატჩი უნდა ჩავატაროთ. ხშირად ვამბობ, მაგრამ ახლაც გავიმეორებ, რომ სეზონის მიწურულს განსაკუთრებით რთული თამაშები იმართება ხოლმე. სწორედ ახლა უნდა დავამტკიცოთ, რომ საუკეთესოთა შორის საუკეთესოები ვართ. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი წლის შრომა წყალში ჩაგვეყრება. „სევილია" არაჩვეულებრივი გუნდია. წინა ტურში ისინი ვალენსიასთან დამარცხდნენ და დარწმუნებული ვარ, ახლა გაორმაგებული ენერგიით დაგვიპირისპირდებიან. ჩვენ ისევ ჩვენი გზით უნდა ვიაროთ და სტუმრებს ჩვენი ფეხბურთი მოვახვიოთ თავს. თუ ამას შევძლებთ, აუცილებლად მოვიგებთ".*

სევილიელთა მთავარ მწვრთნელს, **მანოლო ხიმენესს** წინა დღეებში მასმედიასთან ურთიერთობა სისტემატურად უწევდა. ამის მიზეზი „ვალენსიას" დამრიგებელთან, **უნაი ემერისთან** წარმოქმნილი კონფლიქტი გახლდათ. წინა ტურის შემდეგ სენიორ ხიმენესმა განაცხადა, მსაჯს რომ არ დავეჩაგრეთ, გავიმარჯვებდითო. ემერიმ ამის პასუხად თქვა, ეტყობა, მე და ხიმენესი სხვადასხვა თამაშს ვუყურებდითო. ანდალუსიელთა თავკაცმა კოლეგას არაფერი დაუთმო და საგანგებო პრესკონფერენციაზე კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა - ეტყობა, ემერის საქმე გამოელია და ვურჩევ, საკუთარ გუნდს მიხედოსო. „ბარსელონასთან" პრინციპული დაპირისპირების წინ გუნდში ჯანსაღი ატმოსფეროს დამყარება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ხიმენესის რადიკალური განცხადებები კი ამ მიზანს არ ემსახურება. ამიტომ მწვრთნელმა პრეზიდენტ **დელ ნიდოსგან** მკაცრი საყვედური მიიღო. „ვალენსიასთან" მატჩში **ადრიანომ** წითელი ბარათი მიიღო. სევილიელებმა მსაჯის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში გაასაჩივრეს. ვერდიქტი დღეს გახდება ცნობილი.

„ატლეტიკო" „რასინგს" სტუმრობს. მადრიდელები ამ პრინციპულ შეხვედრას უძლიერესი შემადგენლობით ჩაატარებენ.

ჯერ კიდევ გუშინ დილით **დიეგო ფორლანსა** და **სერხიო აგუეროს** ტრავმები აწუხებდათ, მაგრამ ურუგვაელმა და არგენტინელმა ვარსკვლავებმა ტრავმები მოიშუშეს. საღამოს მათ სრული დატვირთვით იმუშავეს. „ნუმანსიასთან" დიდი ანგარიშით (3:0) გამარჯვების შემდეგ **აბელ რესინო** ოპტიმისტურადაა განწყობილი და სჯერა, რომ მისი ბიჭები „ელ სარდინეროზეც" გაიმარჯვებენ:

*„ეს თამაში ნებისმიერ ფასად უნდა მოვიგოთ. სეზონის დასრულებამდე ძალიან ცოტა დროა დარჩენილი. ახლა მაქსიმალური მობილიზება და ძალისხმევა გვმართებს. მიუხედავად იმისა, რომ კონკურენტები რამდენიმე ქულით გვისწრებენ, ყველაფერი მაინც „ატლეტიკოზეა" დამოკიდებული. თუ სეზონის დასრულებამდე დარჩენილ მატჩებს მოვიგებთ, ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერავინ შეგვეცილება. ასე რომ, „ატლეტიკომ" შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა გამოამჟღავნოს. ბიჭები არაჩვეულებრივ განწყობაზე არიან. ისინი პირობას დებენ, რომ „რასინგთან" თავს არ დაზოგავენ და 3 ქულას მოიპოვებენ".*

სენიორ **რესინომ** კონკურენტებთან ქულათა სხვაობა ახსენა. „ატლეტიკოს" უპირველესი კონკურენტი კი „ვალენსიაა". როგორც იცით, „ღამურებმა" წინა ტურში „სევილიას" დამაჯერებლად მოუგეს. ახლა მათ „ბეტისთან" გასვლითი დაპირისპირება ელით. უნაი ემერიმ ამ შეხვედრისთვის შემადგენლობის სერიოზულად მომზადება ორშაბათს დაიწყო. მთავარი მწვრთნელი კმაყოფილია და იმედოვნებს, რომ მისი ბიჭები ანდალუსიაშიც მაღალ ტემპში იასპარეზებენ და მეტოქეს საკუთარ თამაშს მოახვევენ თავს. ვალენსიელები ტრავმებს არ უჩივიან. პრობლემები მხოლოდ და მხოლოდ **ალბიოლს** ჰქონდა, მაგრამ ექიმების ძალისხმევით დროულად გამოჯანმრთელდა. „ვალენსიას" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი გვატყობინებს, რომ **რაული** „მანუელ რუის დე ლოპერაზე" აუცილებლად ითამაშებს.

„ესპანიოლს" გამარჯვება ჰაერივით სჭირდება. კატალონიელებმა წინა ტურში „რასინგს" **ივან ალონსოს** გოლის წყალობით 3 ქულა აართვეს, მაგრამ მიმდინარე ამოცანების გადასაჭრელად ეს საკმარისი არ არის. **მაურისიო პოჩეტინოს** ბიჭებს მორიგი გამარჯვება სჭირდებათ. „ესპანიოლმა" რომ მოიგოს და მისმა ყველა კონკურენტმა წააგოს, ამ ტურის შემდეგ გასავარდნ ზონას თავს მაინც ვერ დააღწევს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ გუნდი უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება. მიუხედავად ყველაფრისა, პოჩეტინო იმედს არ კარგავს. ახალგაზრდა მწვრთნელი ფიქრობს, რომ მისი გუნდი დარჩენილ შეხვედრებს არნახულად კარგად ჩაატარებს და პრიმერა დივიზიონში დარჩენისთვის საჭირო ქულებს მოიხვეჭს. ესპანური პრესის ინფორმაციით, **ივან დე ლა პენია** ძირითად შემადგენლობაში იასპარეზებს. სამაგიეროდ, **ბელენგერის** თამაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. დე ლა პენიამ ბოლო ორი მატჩი მარჯვენა ბარძაყის კუნთის დაჭიმულობის გამო გამოტოვა. ამ შეხვედრას კატალონიელებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან „სპორტინგი" „ესპანიოლის" უშუალო კონკურენტია. ბუნებრივია, ხიხონელებიც მთელი სერიოზულობით ემზადებიან. **მანოლო პრესიადოსა** და მის ბიჭებს პრობლემები შეექმნათ, რადგან „ბეტისთან" წინა ტურის ჩატარების შემდეგ მშობლიურ ქალაქში 12-საათიანი დაგვიანებით დაბრუნდნენ. ბუნებრივია, ამის გამო სენიორ პრესიადოს გეგმები შეეცვალა. მან შეგირდები განსხვავებული მეთოდიკით მოამზადა, მაგრამ მაინც კმაყოფილი დარჩა და გულშემატკივრებს პირობა მისცა, რომ „სპორტინგი" „ესპანიოლთან" მატჩს განსაკუთრებული მონდომებით ჩაატარებს. ხიხონელებს კარგად ესმით, რომ აღნიშნულ შეხვედრაში ქულების დაკარგვა, შესაძლოა, ფატალური შედეგის მომტანი გახდეს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### გუშინ

**რეალი-ხეტაფე 3:2**

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, პეპე, კანავარო (60. ხავი გარსია), მარსელო, გაგო, გუტი, იგუაინი, ვან დერ ვაარტი (46. რობენი/63. დრენტე), რაული, ჰუნტელაარი.

**ხეტაფე:** სტოიკოვიჩი, კორტესი, მარიო (46. ბელენგერი), დანიელ დიასი, რაფა ლოპესი, პოლანსკი, კასკერო, გავილანი, გრანერო, მანუ (58. ალბინი), სოლდადო (79. უჩე).

**გოლები:** 0:1 სოლდადო (10), 1:1 იგუაინი (45), 1:2 ალბინი (83), 2:2 გუტი (86), 3:2 იგუაინი (90)

*89-ე წუთზე კასკერომ (ხეტაფე) ვერ გაიტანა პენალტი*

**გაძევება:** პეპე (87. რეალი)

**გაფრთხილება:** 6-4; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 20-15; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 18-12 (6-4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 75 000

**ნუმანსია-ბილბაო 1:2**

**ნუმანსია:** ხუან პაბლო, ხუანრა, ბორისი, სერხიო ორტეგა, დომინგო (54. კერო), ნაგორე, დიმასი (54. გორკა ბრიტი), დელ პინო (79. ჟუნიორი), ბარკერო, ბელვისი, გოირია.

**ბილბაო:** ირაისოსი, ირაოლა, ოსიო, ამორებიეტა, კოიკილი, ხავი მარტინესი, იესტე, სუსაეტა, დავიდ ლოპესი (27. გურპეგი/62. ეჩეიტია), ტოკერო (80. ველესი), ლორენტე.

**გოლები:** 1:0 დომინგო (10), 1:1 ტოსკერო (30), 1:2 ლორენტე (48)

**გაძევება:** ოსიო (19. ბილბაო), ბორისი (68. ნუმანსია)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 22-10; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 14-10 (2-4); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 6 500

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 31 | 25 | 3 | 3 | 88-24 | 78 |
| 2. რეალი | 32 | 24 | 3 | 5 | 73-33 | 75 |
| 3. სევილია | 31 | 17 | 6 | 8 | 44-30 | 57 |
| 4. ვალენსია | 31 | 15 | 7 | 9 | 58-44 | 52 |
| 5. ატლეტიკო | 31 | 14 | 7 | 10 | 63-48 | 49 |
| 6. ვილიარეალი | 31 | 13 | 10 | 8 | 45-42 | 49 |
| 7. მალაგა | 31 | 13 | 8 | 10 | 48-48 | 47 |
| 8. დეპორტივო | 31 | 13 | 7 | 11 | 40-42 | 46 |
| 9. ვალიადოლიდი | 31 | 12 | 4 | 15 | 42-49 | 40 |
| 10. ალმერია | 31 | 10 | 7 | 14 | 38-49 | 37 |
| 11. ბეტისი | 31 | 9 | 10 | 12 | 46-49 | 37 |
| 12. ბილბაო | 32 | 10 | 7 | 15 | 42-53 | 37 |
| 13. მალიორკა | 31 | 9 | 9 | 13 | 37-49 | 36 |
| 14. რასინგი | 31 | 9 | 9 | 13 | 38-39 | 36 |
| 15. ოსასუნა | 31 | 8 | 11 | 12 | 35-38 | 35 |
| 16. ხეტაფე | 32 | 8 | 10 | 14 | 42-50 | 34 |
| 17. სპორტინგი | 31 | 11 | 0 | 20 | 38-66 | 33 |
| 18. რეკრეატივო | 31 | 7 | 9 | 15 | 27-44 | 30 |
| 19. ესპანიოლი | 31 | 6 | 11 | 14 | 29-46 | 29 |
| 20. ნუმანსია | 32 | 8 | 4 | 20 | 34-64 | 28 |

ბარსელონა




ბარსელონა ჩემპიონობისთვის ემზადება

# ისტორიული გამოწვევის წინაშე

## ესპანური გრანდის ბედს მომდევნო 7 შეხვედრა გაარკვევს

„ბარსელონა" უდიდესი ამოცანების წინაშე იმყოფება. ამ გუნდის ბრწყინვალებასა და უნიკალურობაზე უამრავი სპეციალისტი ლაპარაკობს. აღსანიშნავია, რომ კატალონიურ გრანდს არა მხოლოდ ესპანეთში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განადიდებენ. სეზონის დასაწყისში ვერავინ წარმოიდგენდა, რომ გამოუცდელი **პეპ გვარდიოლა** ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ჩამოაყალიბებდა. ახალგაზრდა სპეციალისტმა გულშემატკივრების, ერთი შეხედვით, უტოპიური ოცნება რეალობად აქცია. სეზონი როგორც უნდა დამთავრდეს, უდავოა, რომ „ბარსა" დღესდღეობით ევროპაში ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობს. კატალონიელ ინჩასებს კი ეს ფაქტი ტიტულებზე არანაკლებ ახარებთ. თუმცა ცხოვრებაში ყველაფერი მაინც იმისთვის ხდება, რომ ადამიანმა რაღაც შედეგს მიაღწიოს. ბუნებრივია, გვარდიოლასა და მის ბიჭებს ყველა ტიტულის მოპოვება სურთ. 22 აპრილამდე „ბარსა" ღირსეულად მოვიდა. მცირე პრობლემების მიუხედავად, გუნდს 3 ტიტულის მოპოვების შანსი აქვს. „ბარსელონა", რა თქმა უნდა, ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს სეზონი ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწეროს...

მაგრამ ყველამ ვიცით, ცხოვრება ვარდის ფურცლებით არ არის მოფენილი. ყველა წარმატება შრომით, ოფლის ღვრითა და ტანჯვით მიიღწევა. განვლილ შეხვედრებს თუ გავიხსენებთ, აღმოვაჩენთ, რომ კატალონიელებმა არაერთი მძიმე მატჩი ჩაატარეს, მაგრამ საკვანძო შეხვედრები მათ წინ ელით. ამ კლუბის ბედი მომდევნო 7 შეხვედრაში გაირკვევა. გვარდიოლას ბიჭები დღეს „სევილიას" დაუპირისპირდებიან, შემდეგ „ვალენსიას" ესტუმრებიან, სამხრეთიდან დაბრუნებულები კი საჩემპიონთალიგო შეხვედრაში „ჩელსის" უმასპინძლებენ. პირველ ნახევარფინალურ დაპირისპირებას „სანტიაგო ბერნაბეუზე" მადრიდის „რეალთან" სუპერკლასიკო მოსდევს. მოსისხლე მტერთან დაპირისპირებიდან რამდენიმე დღეში „ბარსელონა" ლონდონში უნდა ჩავიდეს და „სტემფორდ ბრიჯზე" „ჩელსისთან" ფინალის საგზურისთვის იბრძოლოს. იქიდან დაბრუნებულს „ვილიარეალი" დაუპირისპირდება. ამის შემდეგ კი „მესტალიაზე" „ბილბაოსთან" ესპანეთის სამეფო თასის ფინალია სათამაშო...

როგორც ხედავთ, კატალონიელები მართლაც უდიდესი გამოწვევების წინაშე დგანან. ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი გრანდი და საოცრად თავმოყვარე გუნდი უნდა იყო, რომ ასეთი გამოწვევების არ შეგეშინდეს. პირიქით, „ბარსელონა" და ბარსელონელები ყველაზე დიდ სიამოვნებას მაშინ იღებენ, როდესაც ურთულესი ამოცანების გადაჭრა მართებთ. კატალონიური საფეხბურთო სამყარო დიდი ხანია შეგუებულია, რომ მათ წინააღმდეგ ყველა გაორმაგებული ენერგიით და არნახული შემართებით იბრძვის. გუნდში არსებულ ატმოსფეროზე **ჩავი ერნანდესმა** ისაუბრა და ინჩასები ოპტიმიზმით აღავსო:

*„სილამაზე, ბრძოლა, გამარჯვება და ტიტულები „ბარსელონას" ბედისწერაა. ეს გუნდი მხოლოდ და მხოლოდ ამისთვის შეიქმნა. უკან დიდი გზა მოვიტოვეთ, მაგრამ ახლა დაღლილობასა და გამოფიტვაზე ლაპარაკის დრო არ არის. წინ ყველაზე პრინციპული და გადამწყვეტი მატჩები გველის. მე და ჩემი თანაგუნდელები ამ შეხვედრებს მოუთმენლად ველოდებით. ჩვენ დიდი ხელფასები გვაქვს, მაგრამ ფეხბურთს პირველ რიგში იმისთვის ვთამაშობთ, რომ ეს საქმე სიამოვნებას გვანიჭებს. სიამოვნებას, რომელსაც ფულით ვერასდროს იყიდი. არაფერი შეედრება იმ გრძნობას, როცა გადაჭედილ სტადიონზე გადიხარ და დაუვიწყარი მატჩის მონაწილე ხდები. ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. არაჩვეულებრივი შანსი გვაქვს, რათა ერთ სეზონში სამივე ტიტულს დავეუფლოთ. დარწმუნებული ვარ, „ბარსას" ეს შეუძლია. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ 2008/09 სეზონის გუნდმა ისტორიაში სამუდამოდ დაიმკვიდროს ადგილი. რამდენიმე დღის წინ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ - „ბარსელონა" ახლა ისე ძლიერია, როგორც არასოდეს".*

**ილია ნიკოლაიშვილი**

ამბები

## დალგლიში ლივერპულში

**კენი დალგლიში** „ლივერპულში" ბრუნდება. შეგახსენებთ, რომ ლეგენდარული შოტლანდიელი ფეხბურთელი მერსისაიდულ კლუბში 1977/1990 წლებში თამაშობდა, სადაც მან 515 შეხვედრაში 172 გოლის გატანა მოახერხა. აქტიური კარიერის დასრულების შემდეგ, 1985/1991 წლებში გუნდის მთავარ მწვრთნელადაც მუშაობდა. სწორედ მის ანგარიშზეა „წითლების" ბოლო საჩემპიონო ტიტული 1989/90 წლების სეზონში. დალგლიში კლუბში ბავშვთა საფეხბურთო აკადემიისა და იუნიორთა გუნდების კურატორი გახდება. „გარდიანის" მტკიცებით, კონტრაქტი მხარეთა შორის მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე გაფორმდება.

შეგახსენებთ დალგლიშის სამწვრთნელო კარიერას: 1991/1995 „ბლექბერნ როვერსი", 1997/1998 „ნიუკასლ იუნაიტედი", 2000 „სელტიკი". ამას გარდა შოტლანდიელი ოთხჯერ არის დასახელებული წლის საუკეთესო მწვრთნელად 1985/86, 1987/88, 1989/90 და 1996/97 წლების სეზონში.

## ჩელსიმ ვუნდერკინდი შეიძინა

„ჩელსიმ" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა 16 წლის ავსტრიელ **ფილიპ პროსენიკთან**. თინეიჯერი ლონდონელებმა ვენის „რაპიდიდან" გადაიბირეს. ალსანიშნავია, რომ ფილიპი ავსტრიული ფეხბურთის ვარსკვლავ **კრისტიან პროსენიკის** ვაჟია. ფეხბურთელი მთელი ბავშვობა მიუნხენში ცხოვრობდა. ის „მიუნხენ 1860"-ის საფეხბურთო აკადემიის აღზრდილია, თუმცა პროფესიული კარიერის განვითარებისთვის მაინც სამშობლო ამჯობინა და „რაპიდის" დუბლებში ჩაირიცხა. ფეხბურთელით აქტიურად იყვნენ დაინტერესებულები „მილანი", „იუვენტუსი", „რომა" და „ბაიერნი", თუმცა „არისტოკრატთა" სკაუტებმა ყველას დაასწრეს. ფილიპი ლონდონში საცხოვრებლად ივლისიდან გადავა.

აქვე გეტყვით, რომ ასაკის მიუხედავად, ის გიგანტური გაბარიტებისაა - 188 სმ და 78 კგ.

## სანტას ბლექბერნი აღარ უნდა

პარაგვაის ნაკრებისა და „ბლექბერნის" ფორვარდმა **როკე სანტა კრუსმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მან უკვე აცნობა კლუბის მესვეურებს, სეზონის ბოლოს აუცილებლად დავტოვებ კლუბსო. სამხრეთამერიკელ ფორვარდს, ვინც ამჟამად მუხლზე ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს გადის, უფრო ამბიციურ კლუბში თამაში სურს.

ფეხბურთელის ანგარიშზე „ბლექბერნის" რიგებში 57 შეხვედრაში გატანილი 23 გოლია.

## ლე მანის პრეზიდენტი დისკვალიფიცირებულია

საფრანგეთის საფეხბურთო ასოციაციამ „ლე მანის" პრეზიდენტი **ანრი ლეგარი** ერთთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ის ერთი თვის განმავლობაში ვერ შეძლებს მოვალეობათა შესრულებას. ალსანიშნავია, რომ მისი დასჯის საფუძველი მსაჯების კრიტიკა გახდა.

## კრანჩარი დაშავდა

„პორტსმუთი"-„ბოლტონის" შეხვედრის 75-ე წუთზე ხორვატმა **ნიკო კრანჩარმა** კოჭის ტრავმა მიიღო. როგორც ჩანს, დაზიანება საკმაოდ სერიოზულია, „პომპების" თავკაცის **პოლ ჰარტის** თქმით, სამედიცინო გამოკვლევა საბოლოო დიაგნოზს დასვამს, თუმცა მისთვის ისედაც ცხადია, რომ ფეხბურთელი მიმდინარე სეზონში თამაშს ველარ შეძლებს.




დაპირისპირება

# ფერგიუსონი vs ბენიტესი



ფერგი რაფას მეტოქის უპატივცემულობას ვერ აპატიებს

**სერ ალექს ფერგიუსონმა რაფაელ ბენიტესს** აშკარა ომი გამოუცხადა, როცა მას „ცუდად აღზრდილი ადამიანი" უწოდა. შოტლანდიელის უკმაყოფილების მიზეზი გახდა „ბლექბერნთან" მატჩისას მეორე გატანილი გოლის შემდეგ გაკეთებული ჟესტი, რომლითაც მან ფეხბურთელებს ანიშნა, ჩვენთვის თამაში დამთავრებულიაო. სხვათა შორის, ამავე მიზეზით მასზე ნაწყენი დარჩა **სემ ელერდაისიც**.

„ბენიტესის ჟესტი უბრალოდ შეურაცხმყოფელი იყო. ამის დავიწყება შეუძლებელია. გეკითხებით, ნახეთ რა გააკეთა? სემ ელერდაისმა ფეხბურთს უამრავი ნიჭიერი ფეხბურთელი აღუზარდა და ასეთ დამოკიდებულებას უბრალოდ არ იმსახურებს. დარწმუნებული ვარ, „ლივერპულის" არც ერთი წინა დამრიგებელი ამას არ იკადრებდა. ეს აღმაშფოთებელია. სემმა მითხრა, რომ ვიდეოჩანაწერი რამდენჯერმე ნახა და დარწმუნდა, რომ ეს ჟესტი მისი და მისი ფეხბურთელების მისამართით იყო გამოყენებული. ეს კი მეტოქის უპატივცემულობაა," - აცხადებს ფერგიუსონი.

„ვფიქრობ, თუკი ეპიზოდს ყურადღებით დააკვირდებით, მისი სხვაგვარად ინტერპრეტაცია გაგიჭირდებათ. ეს იყო აშკარად გამოხატული უპატივცემულობა ჩემი და ჩემი გუნდის მიმართ. სიმართლე გითხრათ, იმედგაცრუებული და აღშფოთებული ვარ. დიახ, „ლივერპული" მინდორზე ჩვენზე ერთი თავით ძლიერი აღმოჩნდა, თუმცა ეს სულ სხვა საკითხია. დაბოლოს, ის ფაქტიც, რომ თამაშის დასრულების შემდეგ რაფამ ჩემთან გასაუბრება არ მოისურვა, მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანს ვუცადე, თავისთავად მეტყველებს, რა ადამიანიც არის ის," - განაცხადა თავად „დიდმა სემმა".

გარდა ამ ორი ადამიანისა, აღშფოთებულია ლივერპულის „ლურჯი ნაწილიც". ფერგიუსონზე საუბრისას მან სასაუბრო თემა „ევერტონზე" გადაიტანა და მას „პატარა კლუბი" უწოდა. ბუნებრივია, მას აქვს საკუთარი მოსაზრების ქონის უფლება, მაგრამ არ გვგონია, ასეთი გამოხდომები მას სახელსა და ავტორიტეტს მატებდეს ვინმეს თვალში.

მანჩესტერ სიტი

# ჰიუზი ოპტიმიზმს ასხივებს

## ბელამი სეზონის ბოლომდე

„მანჩესტერ სიტის" თავკაცი **მარკ ჰიუზი** „ჰამბურგთან" უეფას თასზე მოგებული შეხვედრის შემდეგ (2:1) კლუბის პრეზიდენტ **ჰალდუნ ალ მუბარაქს** შეხვდა და მოლაპარაკება გამართა. შეგახსენებთ, რომ მიუხედავად გამარჯვებისა, „ქალაქელები" ევროტურნირს დაემშვიდობნენ. შეხვედრის შემდეგ უელსელმა სპეციალისტმა განაცხადა, რომ კლუბის ხელმძღვანელები მას ბოლომდე ენდობიან და შესაბამისად, გადადგომის საკითხი არც განხილულა.

შეგახსენებთ, რომ აგვისტოს ბოლოს „სიტი" არაბმა მილიარდერმა, შეიხმა **მანსურმა** შეიძინა. ის კომპანია Abu Dhabi United Group-ის მესაკუთრეა. კლუბის გასაძლიერებლად უკვე დახარჯულია სერიოზული თანხები, თუმცა ამან სწრაფი ეფექტი ჯერჯერობით ვერ გამოიღო. გარდა უეფას თასზე განცდილი მარცხისა, „სიტის" სახარბიელო მდგომარეობა არც პრემიერლიგაში აქვს, 33 ტურის შემდეგ ის მე-10 ადგილზეა. შესაბამისად, კლუბს მომავალ წელს ევროტურნირებზე თამაშის პრაქტიკული შანსი უკვე აღარ აქვს. ამის მიუხედავად, მარკ ჰიუზი მომავალს ოპტიმიზმით უყურებს.



მარკ ჰიუზი

„ყველაფერი კარგად არის, ჯერ კიდევ „მანჩესტერ სიტიში" ვარ. დარწმუნებული ვარ, „ჰამბურგთან" შეხვედრა ჩვენთვის გარდამტეხი მატჩი აღმოჩნდება. თუკი მომავალშიც ასე ვითამაშებთ, ჩვენი დამარცხება ყველას გაუჭირდება. თამაში ცუდად დავიწყეთ, გავუშვით გოლი, თუმცა ამან ვერ გაგვტეხა და კონკრეტული შეხვედრის ბედი მაინც შემოვაბრუნეთ. მართალია, საბოლოოდ დასახულ მიზანს ვერ მივაღწიეთ, მაგრამ მაინც მოვახერხეთ იმის დამტკიცება, რომ კლუბი ცოცხალია და ის პროგრესის გზას ადგას," - აცხადებს ჰიუზი.

კლუბის ექიმების განცხადებით კი **კრეიგ ბელამი** მიმდინარე სეზონში ტრავმის გამო ველარ ითამაშებს. მან მცირე ტკივილის მიუხედავად ზედიზედ სამი თამაში ჩაატარა, რამაც მისი მუხლის მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. „კრეიგს ორი კვირის განმავლობაში არათუ ბურთთან ვარჯიში, ზოგადად დატვირთვაც კი ეკრძალება. ამ ვადის გასვლის შემდეგ მას შეეძლება მსუბუქი დატვირთვების მიღება. პრინციპში, ბელამიმ სეზონის მიწურულს თამაშიც უნდა შეძლოს, თუმცა არანაირი სურვილი არ გვაქვს, მისი ჯანმრთელობა კიდევ ერთხელ გავრისკოთ," - განუცხადა „სიტის" ოფიციალურ საიტს „სიტის" თავკაცმა ჰიუზმა.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

უემბლი

# აშკარა პრობლემა

„უემბლით" უკმაყოფილოთა რიცხვი იზრდება და ამ უკმაყოფილებას ობიექტური საფუძველი აქვს. **არსენ ვენგერი** შეუერთდა სერ **ალექს ფერგიუსონისა** და **დევიდ მოიესის** უკმაყოფილებას და განაცხადა, რომ:

„ასეთ მინდორზე თამაში შეუძლებელია. „უემბლიზე" თამაშის ვალდებულება ისეთივე სულის შემხუთავი პერსპექტივაა, როგორიც სტომატოლოგთან ვიზიტი, ვისაც მოძველებული და უვარგისი აპარატურა აქვს. პირდაპირ გეტყვით, ამაზე უარესი მინდორი ინგლისში არასოდეს მინახავს. დღევანდელი მდგომარეობით ამ სტადიონზე არ შეიძლება არც ჩემპიონთა ლიგის, არც ინგლისის თასის ფინალის ჩატარება. ლაპარაკი აღარ მაქვს ოლიმპიადის მასპინძლობაზე. მაინტერესებს, როგორ მივიდა მინდორი ასეთ კონდიციამდე?

»»» 9



სახელგანთქმულ უემბლის ბალახის საფარი არ უვარგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი

# ჩვეულებრივი სასწაული




„სტემფორდ ბრიჯზე“ „ჩელსისა“ და „ლივერპულის“ დაპირისპირებამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა მთელი მსოფლიო, რომ **ფრენკ ლემპარდი** თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩეული ვარსკვლავია. ის ყოველთვის იდეალურ ფიზიკურ ფორმაშია, რაც შეეხება ტექნიკას... ვეჭვობთ ამ თემაზე სიტყვის გაგრძელება კიდევ ღირდეს - ის იდეალურია. ფრენკი უცნაური ადამიანია - არასოდეს ცდილობს საზოგადოების კეთილგანწყობის მოპოვებას. და კიდევ, ის ნაკლებემოციურია. ალბათ, ეს ორი მიზეზი შეიძლება მოვიყვანოთ იმის ასახსნელად, თუ რატომაა ის მის პირდაპირ კონკურენტ **სტივ ჯერარდზე** ნაკლებად პოპულარული. ოჰ, ეს ინგლისელებიო, იტყვით თქვენ. განა ფრენკის სამშობლოში პოპულარობა აკლია? არა... კი, მაგრამ რა ხდება ევროპაში? ბევრს ლაპარაკობდნენ მისით იტალიური და ესპანური კლუბების დაინტერესებაზე. ეს ხმები ვრცელდებოდა სწორედ მაშინ, როცა ფეხბურთელი „ჩელსისთან“ ახალ კონტრაქტზე აწარმოებდა მოლაპარაკებას. შეიძლება ვინმემ იფიქროს, 29 წლის ფეხბურთელს შეეშინდა უცხო ჩემპიონატში ადაპტაციის ძნელი პროცესის და ამიტომაც დარჩა სახლში, თუმცა საქმე ბევრად უფრო მარტივად არის - „ჩელსის“ არც ერთი კონკრეტული წინადადება არ მიუღია ფრენკის ტრანსფერთან დაკავშირებით.

ფეხბურთელის სტატისტიკა, ზუსტი პასის, შედეგიანი გადაცემების, მოწინააღმდეგის გადაცემების ჩაჭრის, 90 წუთის განმავლობაში დაფარული მანძილის და ასე შემდეგ, ისეთივე შთამბეჭდავია, როგორიც მისი საგოლე ალლო. ლემპარდს აქვს განსაკუთრებული ნიჭი, ყოველ სათამაშო ეპიზოდში სული და გული ჩადოს. ყოველთთვის რჩება შთაბეჭდილება, რომ ის არ ილლება. აშკარაა, მისი დარი ფიზიკური მომზადებით ბევრი ფეხბურთელი ვერ დაიკვეხნის მსოფლიოში. პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში მის ანგარიშზე 32 შეხვედრაა და თანაც ყველა ძირითად შემადგენლობაში. მან ყველა ტურნირზე 18 გოლი გაიტანა, რაც თავისთავად მეტყველებს, რომ ფანტასტიკურ სეზონს ატარებს. „ლივერპულის“ კარში გატანილი გოლები კლასიკა იყო და არა მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა შემთხვევაში „ჩელსი“ შემდეგ ეტაპზე ვერ გავიდოდა. პირველი გოლით მან დაამტკიცა (ეს უკვე მერამდენედ), რომ მაქსიმალურად ელტვის ბურთის იდეალურ კონტროლს და მისთვის კარის ალება ერთობ სანუკვარი მიზანია. მეორე გოლით კი გვიჩვენა, რომ ბურთს ისეთივე ფილიგრანული სიზუსტით ურტყამს, როგორც **რონი ოსალივანი**.

აშკარაა, ლემპარდი მიმდინარე სეზონში ახალ მწვერვალებს ეპოტინება. ამაში გარკვეული დამსახურება **ფაბიო კაპელოსაც** აქვს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ გარდამტეხი მომენტი ზაგრებში, ხორვატიასთან შეხვედრა გამოდგა, სადაც იტალიელმა მაესტრომ ფეხბურთელს უწინდელზე მეტი ფუნქციები დააკისრა, რაც ფეხბურთელმა სათანადოდ დააფასა და ითამაშა ისე, როგორც მისგან ელოდნენ. დაგვეთანხმებით, კაპელოს გუნდში ძირითადში ადგილის მყარად დამკვიდრება რთული ამოცანაა. ამისთვის საჭიროა, დაამტკიცო, რომ გუნდური მოთამაშე ხარ. ფრენკმა ეს მოახერხა.

დაბოლოს, რამდენიმე დღის წინ გაცნობებდით, რომ პრემიერლიგის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელების სიაში 5 მანჩესტერელი და... ჯერარდი არიან. სტივი ჯი გასაგებია, ასეთ პატივს იმსახურებს, მაგრამ სად არის ამ სიაში ლემპარდი? იმედია, ეს მხოლოდ გაუგებრობაა. ხომ ვთქვით, ფრენკი საგანგებოდ საზოგადოების კეთილგანწყობის მოპოვებას არასოდეს ცდილობს. გარწმუნებთ, ის ხსენებულ თემაზე არასოდეს გამოთქვამს აღშფოთებას, რადგან მისთვის მთავარია ის, რაც მინდორზე ხდება. ამიტომ შემდეგ თამაშებშიც გამოვა, რათა კიდევ ერთი ჩვეულებრივი სასწაული გვიჩვენოს.

# აშკარა პრობლემა

8 «««

*როცა სტადიონის აშენებაში 800 მილიონ გირვანქას ხარჯავ, პირველ რიგში, იმის გარანტია უნდა მოითხოვო, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი რაც კი შეიძლება სტადიონს ჰქონდეს, მინდორი, უმაღლესი ხარისხის იქნება. ადრე ყველა ოცნებობდა ლეგენდარულ მინდორზე ბურთის გაგორებაზე, რადგან იქ განსაკუთრებული ბალახი ბიბინებდა. დღეს კი იქ თამაში ალარავის უნდა. იცით, ეს ელემენტარულად გულშემატკივრის პატივისცემის საკითხია. ისინი დიდ ფულს იხდიან, რომ კარგი ფეხბურთი ნახონ. განა ვინმემ ნახა ლამაზი ფეხბურთი ამ უქმეებზე? ან კი ხომ გახსოვთ, რა საცოდაობა იყო ლიგის თასის ფინალის ყურება“?*

**ალექს ფერგიუსონის** განცხადებით მან „ევერტონთან“ შეხვედრაში უბრალოდ ვერ გარისკა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის დაყენება, რადგან ტრავმებისგან მათი დაზღვევა სურდა. შეიძლება შოტლანდიელის უარყოფითი შეფასება ვინმემ წაგებულ ნახევარფინალს დააბრალოს, მაგრამ გამარჯვების მიუხედავად აღშფოთებული დარჩა **დევიდ მოიესიც**.

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციაში მწვავე კრიტიკით შეშფოთებულნი დარჩნენ და პირობა დადეს, რომ ყველაზე გვიან ზაფხულზე მინდვრის საფარს თავიდან დააგებენ. აშკარაა, რომ „უემბლის“ მთავარი პრობლემა სწორედ საფეხბურთო ასოციაციის პოლიტიკაშია. ისინი სტადიონს ძალზე ხშირად აქირავებენ სხვადასხვა მიზნით. ფეხბურთის გარდა იქ ტარდება რაგბის, ამერიკული ფეხბურთის, სპიდვეის (რბოლა წრეზე პატარა გაბარიტების მოტოციკლებით) შეჯიბრებები. გარდა სპორტისა, „უემბლი“ ხშირად ეთმობა როკ და პოპკონცერტებს.

ბოლოს კი ინგლისის მთავარი სტადიონის უახლოესი თვეების განრიგი ვნახოთ: 9 მაისი. **კარლსბერგის თასის ფინალი;** 10 მაისი. **კარლსბერგ ვეიზის ფინალი.** 17 მაისი. **კონფერენსის პლეი ოფი.** 23 მაისი. **მეორე ლიგის პლეი ოფი.** 24 მაისი. **პირველი ლიგის პლეი ოფი.** 25 მაისი. **ჩემპიონშიფის პლეი ოფი.** 30 მაისი. **ინგლისის თასის ფინალი.** 10 ივნისი. **ინგლისი-ანდორა.** 13 ივნისი. **U 18 ნაკრების თამაში.** 26 ივნისი. **AC/DC-ის კონცერტი.** 1,2,4,5 ივლისი. **Take That-ის კონცერტი.** 9, 11, 12 ივლისი. **Oasis-ის კონცერტი.** 9 აგვისტო. **„ქომუნითი შილდის“ ფინალი.** 14,15 აგვისტო. **U2-ს კონცერტი.** 29 აგვისტო. **რაგბიში კარნეგის „ჩელენჯ ქაფის“ ფინალი.** 5 სექტემბერი. **ინგლისი-სლოვენია.** 9 სექტემბერი. **ინგლისი-ხორვატია.** 18,19 სექტემბერი. **Coldplay-ს კონცერტები.**

მწვრთნელი



კაპელო თავისი წესებით მოქმედებს

# აკრძალვები და ვალდებულებები

ფაქტია, **ფაბიო კაპელოს** გუნდების წარმატების ფორმულა ყოველთვის დისციპლინაზე იყო დამყარებული. არადა, დონ ფაბიოს კარიერის განმავლობაში ძალიან ბევრი მწვერვალი აქვს დაპყრობილი. ასე ხდება ინგლისის ნაკრებშიც. კუნძულელთა პროგრესი აშკარაა. განა სხვაგვარად შეიძლება შეფასდეს ის, რომ გუნდმა ნახევარი დისტანციის გავლის შემდეგ უკვე გაინალდა მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლა? არადა, მას ბევრი არაფერი შეუცვლია. იგივე შემადგენლობა, იგივე სქემა... ახალი მხოლოდ წესებია. იტალიელი თავის შეგირდებთან ძალზე თავშეკავებულია. მათი ურთიერთობა ყოველთვის ძალზე ოფიციალურია. მან პირველივე დღეს აუხსნა შეგირდებს, რისი გაკეთება შეუძლიათ და რისი - არა. სია საკმაოდ საინტერესოა. იტალიელის მიერ შეგირდებისთვის დადგენილმა წესებმა პრესის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. მაშ ასე...

კაპელო ნებას იძლევა (შეიძლება იმპერატიულ ტონშიც დავწეროთ - აიძულებს) ფეხბურთელებს მოიქცნენ ისე, რომელ ქვეყანასაც სტუმრობენ და როგორც არის მიღებული მასპინძელ საზოგადოებაში. იტალიელი განსაკუთრებით ითხოვს ფეხბურთელებისგან, რომ პატივისცემით მოეპყრონ სასტუმროს პერსონალს.

ნაკრების ყოველი ფეხბურთელი ვალდებულია ეცვას ოფიციალური სამოსი (ნაკრების სპონსორთა სიმბოლიკით დამშვენებული). არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ფეხბურთელს მოსწონს ის თუ არა. ყოველ მოთამაშეს კომპლექტში ეძლევა საწვრთნელი და ყოველდღიური გამოყენების სპორტული ტანსაცმელი, - ამას გარდა, კოსტიუმი, თავისი ჰალსტუხით. ყოველი სადილი იწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სუფრას ბოლო ფეხბურთელიც შეუერთდება. ეს წესი გამონაკლისებს არ იცნობს.

კაპელო განსაკუთრებულ პატივისცემას ითხოვს. მან ყველა ფეხბურთელს გასაგებად აუხსნა, რომ მათთან მეგობრობას არ აპირებს. მიმართვის ფორმა არჩევანზეა - კაპელო ან მისტერ კაპელო. რიო ფერდინანდმა კარგად აღნიშნა: *„ჩვენი მთავარი მწვრთნელი ჩვენთან იმისთვის არ არის, რომ ძველ მეგობრებთან ურთიერთობა შეინარჩუნოს და ახლები გაიჩინოს, ან ძველ კეთილ დროზე გველაპარაკოს. ის სამსახურშია და თავის საქმეს აკეთებს“.*

კაპელოს მენიუშია ასევე პუნქტუალურობის განსაკუთრებული მოთხოვნილება. ფეხბურთელი მკაცრად დაისჯება, თუკი რომელიმე შეხვედრაზე დააგვიანებს ან სასადილოში გვიან მივა.

ახლა ის ვთქვათ, რას კრძალავს იტალიელი სპეციალისტი. პირველ რიგში... კარაქი. დიახ, თქვენ მას ვერასოდეს ნახავთ გუნდის მენიუში. აპენინელი ლამის ყოველ შეხვედრაზე ელაპარაკება შეგირდებს ნატურალური პროდუქტებით კვების უპირატესობაზე. ისევ რიო ფერდინანდს მოვუსმინოთ: *„აღფრთოვანებული დავრჩი მისი ლექციით ხმელთაშუა ზღვის დიეტის შესახებ. კვების ასეთი რეჟიმის დროს ადამიანს კეტჩუპისა და ჩიპსების დავიწყება მოუწევს“.*

სასტუმროებში აკრძალულია ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან შეხვედრის დათქმა. განსაკუთრებული „სისასტიკით“ იდევნება მეუღლეებისა და მეგობარი გოგონების გარემოცვაში ტრიალი.

აკრძალულია საზოგადოებაში შორტებსა და საშინაო ჩუსტებში გამოჩენა. ასევე მობილური ტელეფონების გამოყენება გუნდის შეკრების დროს, მაგალითად თეორიული მეცადინეობისას. კაპელომ ფეხბურთელებს სანაკრებო შეკრებებისას ფლეისთეიშენით გართობაც აუკრძალა. ფეხბურთელების თქმით, მათ შორის „დიდი ტურნირებიც“ კი იმართებოდა, რომელიც ზოგჯერ რამდენიმე საათიც კი გაგრძელებულა.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

გოტფრიდ ლენცი წარმოგიდგენთ

უქმეებიდან უქმეებამდე

## დრიბლინგი ევროპაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მატერაცი გერმანულად

ბრაზილიელმა ტოპმოდელმა დაამტკიცა, რომ ქალებს ფეხბურთში ბევრი რამ გაეგებათ; ინგლისში „უემბლის“ „წმინდა მიწას“ აკრიტიკებენ; „რეალმა“ და „ბარსელონამ“ ფსიქოლოგიური ომი გააჩაღეს; ტურინელ ფანებს ფაბიო კანავაროს „იუვენტუსში“ დაბრუნებას მიშელ პლატინის მოედანზე ხილვა ურჩევნიათ; გერმანიაში კი ექვსთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, მოედანს „ბუნდესლიგელი მატერაცი“ დაუბრუნდა და მაშინვე დისკვალიფიკაცია მიიღო.

თქვენ წინაშეა „ლელოს“ დიდი დრიბლინგი ევროპაში...



მაიკ ფრანცისთვის (მარჯვნივ) ფეხბურთი ბრძოლაა, ბრძოლა წესების გარეშე

### სერია A
### კანავარო? გმადლობთ, არა!

ამის მერე არავინ აღარ უნდა თქვას, ქალები ფეხბურთის გაგებაში არ არიანო. ბრაზილიელი ტოპმოდელი **ჟიზელ ბიუნდხენი** მიმდინარე სეზონის დაწყების წინ **ჟოზე მოურინიოს** კომპეტენციას ენდო და ფსონს „ინტერის“ ჩემპიონობაზე ჩავიდა. ცოტა ხანში მილანელები „სკუდეტოს“ ოფიციალურად გაიფორმებენ და ჟიზელე 500 000 დოლარს მოიგებს. ისე, მას ეს ფული დიდად არ სჭირდება, რადგან ტაბლოიდ „ფორბსის“ ცნობით, ბრაზილიელი ლამაზმანი მსოფლიოს უმდიდრესი ქალბატონების რეიტინგში მე-16 ადგილზეა. მას 150 მილიონი დოლარი აქვს.

„იუვენტუსის“ ტიფოზებს „ინტერთან“ ფრე (1:1) ჯერ ხეირიანად გადატანილიც კი არ ჰქონდათ (ტურინელი ქომაგები „იუვესგან“ „ინტერთან“ ყოველთვის მხოლოდ გამარჯვებას ითხოვენ), რომ შემდეგმა ინფორმაციამ გაიელვა: **ფაბიო კანავარო** ზაფხულში „ბებერ ქალბატონში“ უნდა დაბრუნდეს. ისე, 35 წლის მცველს, რომელიც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გმირი გახდა და რომელიც ახლა მადრიდის „რეალის“ ღირსებას იცავს, კარიერის დასრულება მშობლიურ „ნაპოლიში“ სურდა, მაგრამ ნეაპოლელთა პატრონმა **დინო დე ლაურენტისმა** ფაბიოზე უარი თქვა, ზედმეტად ბებერიაო. „იუვენტუსის“ ქომაგები კი აღშფოთდნენ და თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ, თუ „ნაპოლისთვის“ ზედმეტად ბებერია, „იუვენტუსისთვის“ ხომ მით უმეტეს დასამარხიაო. თანაც, „იუვეს“ ქომაგებს კარგად ახსოვთ ის, რომ როცა „იუვენტუსი“ დასაჯეს და სერია B-ში გადაისროლეს, გაჭირვებაში მყოფი გუნდი კანავარომ მაშინვე მიატოვა და მადრიდს მიაშურა. „იუვენტუსის“ ფანებს ფაბიოს დაბრუნება პირველ რიგში ამის გამო არ სურთ. ერთ-ერთი გულშემატკივარი ტურინული კლუბის ვებგვერდის ფორუმზე წერდა, კანავაროს დაბრუნებას, აჯობებს, **ზინედინ ზიდანი** ან სულაც **მიშელ პლატინი** დავაბრუნოთო. ისე, ტურინულ გრანდში დაბრუნების სურვილი კიდევ რამდენიმე „მოხუცმა“ გამოთქვა და ტრანსფერები რომ განხორციელდეს, „მილანს“ სერია A-ში ყველაზე ბებერი გუნდი აღარ ეყოლება.

ასაკს ყოველთვის როდი აქვს მნიშვნელობა. ამის საუკეთესო მაგალითი **ფილიპო ინძაგია.** სუპერპიპო უკვე 35 წლისაა და წესით, რეგრესი უნდა დაწყებოდა, მაგრამ მეტოქის კართან ძველებურად სახიფათოა. კვირას ინძაგიმ „ტორინოსთან“ მატჩში (მილანმა 5:1 მოიგო) ჰეთ-თრიკი შეასრულა და მატჩის შემდეგ **დევიდ ბექჰემმა** თქვა: *„ფილიპო დღესაც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორია, მთავარია, ბურთი როგორმე მიაწოდო და როგორღაც აუცილებლად გაიტანს გოლს“!*

პიპოს კარიერაში 304 გოლი აქვს გატანილი და ყველა დროის საუკეთესო იტალიელებს შორის მეოთხე ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ ყველა დროის საუკეთესო იტალიელი ბომბარდირი **სილვიო პიოლა** გახლავთ 364 გოლით, რომელიც **ჯუზეპე მეაცას** (338) და **რობერტო ბაჯოს** (318 უსწრებს). შეიძლება, რომ ინძაგიმ ოდესმე სამივე მათგანს გადაუსწროს, რადგან ასაკი ოდნავადაც არ ეტყობა.

### პრემიერლიგა
### სერ ალექსს ნევროზი ეწყება

გასულ უქმეებზე, მთელი საფეხბურთო ინგლისი „უემბლის“ სტადიონის მოედნის საფარის საშინელ მდგომარეობაზე ბჭობდა. „არსენალის“ თავკაცმა ლონდონის მთავარი არენის საფარს კატასტროფული, სასაცილო და სამარცხვინო უწოდა. „მეთოფეების“ დამრიგებელი ცამდე მართალი იყო, რადგან ყოველი დაბალი პასის დროს, ბურთი მოედანზე ისე დახტოდა, როგორც პოპკორნი მომზადებისას. „არსენალი“ კომბინაციური ფეხბურთით არის ცნობილი და შესაბამისად, **არსენ ვენგერის** გუნდს ასეთ მოედანზე წარმატების მიღწევა უფრო გაუჭირდა, ვიდრე „ჩელსის“, რადგან **გუუს ჰიდინკის** შეგირდები საჭიროების შემთხვევაში დაბალი პასების გარეშეც გადიან ხოლმე ფონს. კვირას კი, „მანჩესტერის“ მთავარმა მწვრთნელმა **სერ ალექს ფერგიუსონმა** თქვა, გუშინდელ თამაშს რომ ვუყურე, გადავწყვიტე, ძირითადი ფეხბურთელები არ გამემეტებინაო.

ზოგადად, „მანჩესტერის“ სასტარტო შემადგენლობა ინგლისში ცალკე სალაპარაკო თემა იყო. **დევიდ მოიესმა** იმ შემადგენლობას, რომელიც ფერგიუსონმა გაამწესა U-14 უწოდა. ინგლისური პრესა კი ერთხმად წერს, რომ „მანჩესტერმა“ ნაგება დაიმსახურა. „ამ *შედეგმა ყველანი ძალიან გაგვახარა,“* - წერდა „თაიმსი“, - *„რას იტყოდა მსოფლიო ინგლისური ფეხბურთის შესახებ, ისეთი ამბიციური გუნდი, როგორიც „ევერტონია“, „მანჩესტერის“ სარეზერვო კოლექტივთან რომ დამარცხებულიყო?“* ფაქტია, რომ ფერგი პრიორიტეტს ინგლისის ჩემპიონატს და ჩემპიონთა ლიგას ანიჭებს, მაგრამ ეს მაინც არ ამართლებს მის საქციელს: სერ ალექსმა ისეთი შემადგენლობა დააყენა, რომელშიც 11-დან 4 ფეხბურთელის ასაკი 18 წელზე ქვემოთ იყო.

მესამე თემა კი, რომელიც ინგლისიდან შევარჩიეთ, **მაიკ რაილია.** მოიესმა მას მატჩის წინ „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავგადაკლული ფანი უწოდა, რის გამოც, დაშინებულმა და წნეხის ქვეშ მოქცეულმა მსაჯმა „მანჩესტერს“ პენალტი არ დაუნიშნა. შესაბამისად, მატჩის შემდეგ ფერგიუსონი სწორედ ამ ფაქტით სპეკულირებდა, მსაჯის წნეხის ქვეშ მოქცევა არ შეიძლებაო. ზოგადად, 67 წლის სერ ალექსი წინა კვირაში ძალიან დაძაბული იყო. პარასკევს მან „ლივერპულის“ თავკაც **რაფაელ ბენიტესს** „კატასტროფულად აროგანტი“ უწოდა, „ბლექბერნთან“ 2:0-ის შემდეგ **სემ ელერდაისს** ცუდი ჟესტი გაუკეთაო. რამდენიმე კვირის წინ, ინგლისში ყველა მიიჩნევდა, რომ უშელავათო საჩემპიონო ბრძოლაში ბენიტესი კარგავდა თავზე კონტროლს, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეს უფრო ფერგიუსონის ხვედრია.

### პრიმერა დივიზიონი
### ემანას მოგებული ნიძლავი

ამიერიდან „ბარსელონას“ სამ-ოთხ დღეში ერთხელ უმნიშვნელოვანესი მატჩები მოუწევს. დიდი შანსია (და ალბათ ასეც იქნება), რომ ამან კატალონიური გრანდის ფეხბურთელების ფიზიკურ და მენტალურ ფორმაზე იმოქმედოს. 3 მაისს „ბარსას“ თამაშთა თამაში ელის მადრიდის „რეალთან“. კატალონიელებს უნდათ, რომ ეს შეხვედრა ერთი დღით ადრე ჩატარდეს, რათა პეპ გვარდიოლას გუნდს ლონდონის „ჩელსისთან“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ მატჩამდე დასასვენებლად და მოსამზადებლად 24 საათით მეტი ჰქონდეს. მაგრამ მადრიდელებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს: „რეალი“ არაფრით არ თანხმდება იმას, რომ შეხვედრა 2 მაისს გაიმართოს. პრინციპში, მადრიდელები მართლები არიან: მათ ხომ ჩემპიონობის შანსი აქვთ. როგორც ჩანს, ამ დავაში ესპანეთის საფეხბურთო ლიგა უნდა ჩაერთოს, თორემ ფაქტია, რომ „ბარსა“ და „რეალი“ ვერ მორიგდებიან.

„ზედმეტად“ საინტერესო გამოდგა Best of the rest-ის (დარჩენილთა შორის საუკეთესო) დუელი. მესამე ადგილოსანმა „ვალენსიამ“ მეოთხე პოზიციაზე მყოფ „სევილიას“ უმასპინძლა და შეხვედრა ძალიან დრამატული გამოვიდა. ამ დრამაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მსაჯმა **გონსალეს ვასკესმა**, რომელმაც „ვალენსიას“ ორი პენალტი დაუნიშნა და ყვითელი 13-ჯერ, წითელი ბარათი კი ერთხელ ააფრიალა. ვასკესი ამასაც არ დასჯერდა და 86-ე წუთზე „სევილიას“ თავკაცი **ხიმენესი** ტრიბუნაზე გაუშვა. თამაში „ღამურებმა“ 3:1 მოიგეს და რა გასაკვირია, რომ მატჩის შემდეგ ხიმენესი განრისხებული იყო. ანდალუსიელთა დამრიგებელი განსაკუთრებით **ადრიანოს** გაძევების გამო ბრაზობდა, მხოლოდ და მხოლოდ მსუბუქ შეხებას ჰქონდა ადგილი, ჩემი შეგირდი გაძევებას კი არა, გაფრთხილებასაც არ იმსახურებდაო. მისი ვალენსიელი კოლეგა **უნაი ემერი** კი ცხადია, ყველაფერს სხვანაირად აფასებს. მისი თქმით, ხიმენესი ყოველთვის მედლის მხოლოდ ერთ მხარეს ხედავს. თუმცა ემერის მეტოქეზე საუბარი მაინცდამაინც არ სურდა. არც გაემტყუნება: მისმა გუნდმა უმნიშვნელოვანესი თამაში მოიგო და შესაბამისად, „ვალენსიას“ შანსი აქვს, რომ პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრისთვის იბრძოლოს.

„ბეტისის“ ფორვარდ **აჩილე ემანას** „სპორტინგის“ კარში შესრულებული დუბლის ზეიმის ორმაგი მიზეზი ჰქონდა. პირველი და უმთავრესი მიზეზი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ მან თავის გუნდს უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოუტანა (თანაც, უშუალო კონკურენტთან დუელში). მეორე მხრივ, სპორტულმა დირექტორმა **მანუელ მომპარლეტმა** და მისმა მოადგილემ, **მიგელ საავედრამ** დანაპირები უნდა შეასრულონ. საქმე იმაშია, რომ სეზონის წინ ემანა ბოსებს დაენიძლავა. მან პირობა დადო, რომ ამ სეზონში მინიმუმ 10 გოლს გაიტანდა, შეფები კი, ასეთ შემთხვევაში თავიანთი საათების ჩუქებას დაჰპირდნენ. ემანამ დანაპირები შეასრულა. ახლა სპორტული დირექტორისა და მისი მოადგილის რიგია.

### ბუნდესლიგა
### ჯიუტი პროფესორი

ბუნდესლიგაში ამ უქმეებზე მოედანს დაუბრუნდა კაცი, რომელიც „არშლოხის“ (უკანალის მკაცრი ფორმა) მეტსახელითაა ცნობილი. საუბარია „კარლსრუეს“ მცველ და კაპიტან **მაიკ ფრანცზე,** რომელზეც ბადენური კლუბის ფანებს უბრალოდ ჭკუა ეკეტებათ. „ჯალათი“ ფრანცი „ჰოფენჰაიმთან“ მატჩში მოედანზე 77-ე წუთზე გამოჩნდა („ვილდპარკშტადიონის“ პუბლიკა მას უდიდესი ოვაციებით შეხვდა, მაიკმა ლაზარეთში 6 თვე გაატარა) და ხუთი წუთის შემდეგ ყვითელი ბარათი მიიღო. ეს მისთვის მეხუთე გაფრთხილებაა ამ სეზონში და შესაბამისად, ფრანცი უკვე დისკვალიფიცირებულია...

დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა **ფრანც ბეკენბაუერი** „ბაიერნის“ ნამდვილი კაიზერი იყო. დღეს მიუნხენურ კლუბში ქაოსი და ანარქიაა – ვერ გაიგებ, ვის რა უნდა, ვინ რას ითხოვს, ვინ ვის უჯერებს და ა.შ. იყო დრო, როცა ბეკენბაუერის სიტყვას დიდი წონა ჰქონდა, დღეს კი ასე აღარაა. აგერ, წინა კვირაში კაიზერ-ფრანცმა თქვა, აუცილებელი სულაც არ არის, რომ „ბაიერნი“ გერმანიის ჩემპიონი გახდესო. **ული ჰიონესის** კომენტარი: *„სულაც არაა აუცილებელი, რომ ყველაფერი ისე გავიგოთ, როგორც ამას ფრანცი ამბობს!“*

ძალიან სამწუხარო ფაქტია ის, თუ როგორ ართმევენ ბეკენბაუერს ძალაუფლებას და როგორ არაფრად აგდებს ჰიონესი გუნდის პრეზიდენტის სიტყვებს. თითქოს ფრანცი კაიზერი კი არა, გუნდის მასკოტი და უბრალო მოლაყბე იყოს. თითქოს მან იყიდა ბედოვლათი **ბრენო,** გამოუსადეგარი **ტიმ ბოროვსკი** ან თითქოს მან აიძულა **კრისტიან ლელი,** ფეხბურთზე ევლო...

„ძველი კარგი დრო“ წარსულს რომ ჩაბარდა, ამას იმითაც ვხვდებით, რომ ელვისის მიმბაძველები აღარ არსებობენ. სამაგიეროდ, ბუნდესლიგაში თუ რომელიმე თავდამსხმელს არ უმართლებს (მაგალითად, ცარიელ კარს აცილებს, ჟესტებითა და ქცევით **კევინ კურანის** ბაძავს. ამ უქმეებზე ასე იქცეოდნენ **იულა, ჰილბერტი** და **კისლინგი.** მაგრამ „ტურის კურანი“ ნამდვილად **ბუბაკარ სანოგო** იყო, რომელმაც სამი რეალური მომენტი ვერ გამოიყენა. ამ ფაქტმა თავის მხრივ ის გამოიწვია, რომ „ჰოფენჰაიმმა“ ზედიზედ მეათე თამაში ვერ მოიგო, გუნდის მთავარი მწვრთნელი **რალფ რანგნიკი** კი იძულებული გახდა, ზედიზედ მეცხრედ ეთქვა, კრიზისში არ ვართო...

ტურის გოლი კი დორტმუნდელმა **ნელსონ ვალდესმა** გაიტანა („ბორუსიამ“ „ბოხუმს“ 2:0 მოუგო). პარაგვაელმა ფორვარდმა ბურთი მეტოქის კარის ცხრიანში საჯარიმოს გარედან, **ალესანდრო დელ პიეროს** სტილში ჩაახვია. მისი ასეთი შემართება დოპინგკონტროლიორებს არ გამოეპარათ და ნელსონი მატჩის შემდეგ კაბინეტში დაიბარეს, მაგრამ ვალდესი გენიალური გოლის გატანით ისე იყო „აღგზნებული“, რომ მხოლოდ ხუთი ბოთლი წყლისა და სამი ბოთლი ლუდის დალევის შემდეგ-ღა შეძლო მოშარდვა.

### ლიგა 1
### დიარას შურისძიება

„ბორდოს“ ნახევარმცველი **ალუ დიარა** ულაპარაკოდ უქმეების საუკეთესო ფეხბურთელია, რადგან გადამწყვეტი გოლით ჟირონდელებს „ლიონთან“ მოაგებინა (1:0). ამრიგად, „ბორდომ“ საკუთარ მოედანზე 30-მატჩიანი წაუგებელი სერია გამოაცხო და ბოლო 10 წლის განმავლობაში პირველად დაამარცხა ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი. სხვათა შორის, 10 წლის წინ საფრანგეთის ჩემპიონი სწორედ „ბორდო“ გახდა. და კიდევ ერთი დამთხვევაც: ზუსტად ისე, როგორც 1998/99 წლების სეზონში, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ დარჩენილ ტურებში პირველობისთვის „ბორდო“ და „მარსელი“ იბრძოლებენ, რადგან „ლიონს“ ვეღარ ვცნობთ. დიარასთვის კი ამ გოლს ორმაგი დატვირთვა ჰქონდა, რადგან მან „ლიონში“ ერთი წელი გაატარა და იქ სულ სკამს ახეხინებდნენ...

ისე, როგორც ზოგადად ამ სეზონში, „ნიცას“ მწვრთნელი **ფრედერიკ ანტონეტი** ამ უქმეებზეც გამოვიდა მწყობრიდან. „ნანტთან“ 0:2-ზე წაგებული მატჩის დროს, მწვრთნელი ფეხბურთელებს უშვერი სიტყვებით ლანძღავდა. *„თუ სირბილი არ გინდოდათ, სახლში დარჩენილიყავით!“* - ეს ანტონეტის მიმართვებს შორის ყველაზე ზრდილობიანი ფორმაა. მიუხედავად მისი ჭმუნვისა, „ნიცას“ ფეხბურთელები მთელი მატჩის განმავლობაში ძალიან პასიურები იყვნენ. საფინალო სასტვენის შემდეგ კი, ანტონეტის პრესკონფერენცია 10 წამზე დიდხანს არ გაგრძელებულა. *„როგორ ითამაშა ჩემმა გუნდმა? არის მომენტები, როცა სათქმელი არაფერია!“* - თქვა „ნიცას“ მწვრთნელმა და კატაკომბებში გაუჩინარდა.

ძიუდო

# ...ეს ხომ საქართველოა!

## მსოფლიოს წინაშე უსაზღვროა ქართული ძიუდოს დამსახურება - ამბობს მაღალი რანგის სტუმარი



მარცხნიდან: დავით ნამგალაური, ირაკლი სამყურაშვილი, დავით ბერძენიშვილი და ინდრეკ პერტელსონი




ადრე დილიდან გვიან საღამომდე დიდი ფუსფუსია თბილისის სპორტის სასახლეში — ძიუდოისტთა მომავალი ევროპის ჩემპიონატისთვის ამზადებენ დარბაზს. ეს მნიშვნელოვანი შეჯიბრება 24-25 აპრილს გაიმართება. მასპინძლებთან ერთად დაუღალავად ირჯებიან სტუმრები — ევროპის ძიუდოს კავშირის წარმომადგენლები. აქტიურობით ოლიმპიური თამაშების ორგზის პრიზიორი, კავშირის სპორტული დირექტორი **ინდრეკ პერტელსონი** გამოირჩევა. რამდენიმე დღეა, იგი ჩვენს დედაქალაქში იმყოფება და შინაურულად გრძნობს თავს. ქართული სიტყვებიც უსწავლია და ომახიანად გასძახებს ხოლმე ბიჭებს — „მოდით აქ", „რატომ არ მუშაობთ?" „რა გინდა, ბიჩო?.."

მასმედიის წარმომადგენლებსაც არ ტოვებს უყურადღებოდ. მოცალეობის ჟამს ხალისით იძლევა ინტერვიუებს.

— ყველა შეჯიბრება თავისებურია და ინდივიდუალურად უნდა მიუდგე მას, — მითხრა გუშინ ბატონმა ინდრეკმა. — ყველაფერს ვაკეთებთ დარბაზის კეთილმოსაწყობად, რათა სპორტსმენებმა, მწვრთნელმა, გულშემატკივარმა და ტელემაყურებელმაც კომფორტულად იგრძნონ თავი. საქმის უდიდესი ნაწილი უკვე მოგვარებულია, დეტალები დარჩა დასაზუსტებელი. შეჯიბრებამდე კიდევ სამი დღეა და ყველაფერს უპრობლემოდ მოვასწრებთ.

— **თბილისში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები ხომ არ გაშინებთ?**

— ეს თქვენი შინაური საქმეა და პრობლემების მოგვარებას თავადვე შეძლებთ. ქართველები სტუმართმოყვარე ხალხია და დარწმუნებული ვართ, თბილისში ჩამოსულ უცხოელებს სირთულეები არ შეექმნებათ. ისე, მართალი გითხრათ, ეს რომ სხვა სახელმწიფო ყოფილიყო, ამგვარ სიტუაციაში ჩემპიონატს აუცილებლად გადავიტანდით. მაგრამ ეს ხომ საქართველოა. მსოფლიოს წინაშე უსაზღვროა ქართული ძიუდოს დამსახურება. ევროპის ძიუდოს კავშირში დიდხანს განვიხილავდით შეჯიბრების თბილისში გამართვის საკითხს. მწვავე დისკუსიებიც იყო. ბოლოს იმ დასკვნამდე მივედით, რომ ქართულ ძიუდოს ჩვენი მხარდაჭერა სჭირდება. თქვენს ქვეყანაში ძალიან უყვართ სპორტის ეს სახეობა და ქართველი ქომაგის განბილება არ შეიძლება...

**დავით ნამგალაური**, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე: - თბილისის სპორტის სასახლეს არაერთი მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის უმასპინძლია, მაგრამ ოლიმპიურ სახეობაში ამ დონის ასპარეზობა პირველად ეწყობა. მსოფლიოს თასების გათამაშებისას ასეთი სამზადისი არ დაგვჭირვებია. ახლა კი იძულებული გავხდით, 814 კვადრატული მეტრის სპეციალური პოდიუმი დაგვემზადებინა, პრესცენტრში ადგილები გაგვეზარდა, კეთილმოგვეწყო ორი მოსათელი დარბაზი, კვების ბლოკები და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები.

ძიუდოს ეროვნული ფედერაციის, თბილისის მერიის, სპორტის დეპარტამენტისა და სამინისტროს ერთიანი ძალისხმევით ყველა სირთულე გადავლახეთ. ვფიქრობ, რომ მკაცრ გამოცდას ფრიადზე ჩავაბარებთ. გათვალისწინებულია ყველა ნიუანსი, სტუმრების მიღება-გაცილებისა და გულშემატკივართა მომსახურების ჩათვლით. 24-25 აპრილს ძიუდოს ქომაგებს დიდი ზეიმი ელით. მთავარია, ჩვენმა ფალავნებმა გაგვახარონ.

**დავით ბერძენიშვილი,** ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი: - მჯერა, რომ მასპინძლობით თავს არ შევირცხვენთ. ბევრი სტუმარი გვეყოლება არა მარტო ევროპიდან, არამედ ამერიკიდან, იაპონიიდან, კორეიდან, სხვა ქვეყნებიდანაც. ყველას სურს, მსოფლიოს ჩემპიონატამდე თბილისში იხილოს ევროპული ძიუდოს ელიტა და მისი მომზადების დონე.

რაც შეეხებათ ქართველ ფალავნებს, ისინი მზად არიან საბრძოლველად. ყველა ჯანმრთელადაა და ერთი სული აქვთ, როდის გავლენ ტატამზე. ცხადია, ვაჟებზე მოგახსენებთ. გოგონები კი ეცდებიან, თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმუმი აჩვენონ გულშემატკივრებს. ევროპის ჩემპიონატი ჩვენთვის იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ იგი სტიმულს მისცემს საქართველოში ქალთა ძიუდოს განვითარებას.

ასე რომ, მომავალ შაბათ-კვირას ისეთი ზეიმი იქნება სპორტის სასახლეში, რომელიც არასდროს დაგვავიწყდება.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

# სპორტის სასახლე ბევრს დაკარგავს, რინერი და დაფრევილი ვერ ჩამოდიან

ევროპის ჩემპიონატისთვის საფრანგეთის ნაკრებს საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა ჰყავდა შეკრებილი, მაგრამ ტრავმების გამო ფრანგთა გუნდს ორი მთავარი ვარსკვლავი დააკლდა - **ივ მატიო დაფრევილი** (90 კგ) და **ტედი რინერი** (მძიმე). დაფრევილი, მართალია, რაიმე დიდი ტიტულის მფლობელი არაა, მაგრამ ამ სეზონში შესანიშნავ ფორმაშია და მსოფლიო რეიტინგს (თავის წონაში) სათავეში უდგას. მას ტრავმა შეკრებაზე ვარჯიშისას მიუღია. აი, 20 წლის რინერი კი ძიუდოს ნამდვილი მარგალიტია. შარშან ის მსოფლიოს საუკეთესო ძიუდოისტ ახალგაზრდად აღიარეს (ჩვენს ვარლამ ლიპარტელიანს არჩიეს). ტედი ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, ასაკის მიუხედავად მსოფლიოს ორგზის და ევროპის ჩემპიონია. პეკინის ოლიმპიადის შემდეგ მას ბრძოლა არ წაუგია. რინერი მძიმე წონის უდავო ფავორიტი იყო და მისი არყოფნით მრავლისმნახველ სპორტის სასახლეს ბევრი დააკლდება.

დასახელდა მათი შემცვლელებიც - 90 კგ წონით კატეგორიაში მატიო დაფრევილს **ნიკოლა ბრისონი** შეცვლის, ხოლო მძიმე წონაში ტედი რინერის ნაცვლად თბილისურ ტატამზე **პიერ რობენი** იჭიდავებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

ძიუდოში ევროპის ჩემპიონატზე (თბილისი, 24-26 აპრილი) აკრედიტებულ საქართველოს ჟურნალისტებისთვის აკრედიტაციის ბარათი გაიცემა დღეს, 22 აპრილს, სასტუმრო „ბაზალეთში" (მის: ორთაჭალა, გულუას 1)15-დან 18 საათამდე.

*სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახური*


## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციებისა და კლუბების საყურადღებოდ!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.


ჭიდაობა



კობა კაკალაძე

ტაშკენტში დამთავრდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 13 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საპრიზო ადგილებისთვის 9 ქართველი ფალავანიც იბრძოდა (დელეგაციის ხელმძღვანელი — ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი ომზარ შოშიტაშვილი, მწვრთნელი — დავით ხურცია, მსაჯი — ზაზა ჯიბლაძე), ყველაზე უკეთ ევროპის შარშანდელმა ვერცხლის პრიზიორმა კობა კაკალაძემ (66 კგ) იჭიდავა. მან ზედიზედ სძლია სამ უზბეკ მეტოქეს — ნოვრუზოვს, ავლაქულოვსა და ტლეგენოვს, ნახევარფინალში თურქი მუსტაფა დაამარცხა, ხოლო გადამწყვეტ პაექრობაში უკრაინელ ლეონიდ ბაზანს დააყრევინა ფარ-ხმალი და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

# ცხრა კაცის სამი ნადავლი

მიზანთან ახლოს იყო ევროპის ორგზის პრიზიორი **ალექსი მოდებაძე** (120); პირველ წრეში ყაზახი **რიდნიაკი** ჩამოიცილა გზიდან, მეორე შეხვედრა თანაგუნდელ **დავით ოთიაშვილს** მოუგო და ეროვნულ ჩემპიონატში დამარცხებისთვის რევანში აიღო. მერე ირანელ **ჩასემს** აჯობა, ფინალური ორთაბრძოლა კი რუს მსოფლიოს ჩემპიონ **ბილოლ მახოვთან** დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ოთიაშვილმა დამამშვიდებელ ჯგუფში ორი შეხვედრა მოიგო. თუმცა მესამე ადგილისთვის პაექრობისას ჩასემს ვერაფერი მოუხერხა და საბოლოოდ მეხუთე ადგილი ხვდა.

საქართველოს სპორტულ დელეგაციას ბრინჯაოს მედალი **ბელდუხ გავაშელიშვილმა** (96) მოუტანა. რუსი **კოლომიეცისა** და უზბეკი **კალაგოვის** ძლევის შემდეგ ქართველი ფალავანი ყაზახ **შაბანბეის** დანებდა, სამაგიეროდ, ბოლო ორთაბრძოლაში მის თანამემამულე **სპატაევზე** იყარა ჯავრი. ამავე წონაში გამოდიოდა **დავით კერაშვილი,** რომელიც პირველსავე წრეში ირანელ **თავაქოლისთან** დამარცხდა და ტურნირსაც დაემშვიდობა.

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქართული ფინალი იყო მოსალოდნელი, მაგრამ წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორ **მალხაზ ქურდიანს** კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ მიმავალი გზა უზბეკმა **მანსუროვმა** გადაუკეტა ნახევარფინალში, ხოლო **მალხაზ ზარქუამ** უკრაინული ბარიერი ვერ დაძლია — **ხავილოვთან** წააგო. დასანანი ის არის, რომ ქართველი ფალავნები მესამე ადგილისთვის პაექრობაშიც დამარცხდნენ: ქურდიანი — ყაზახ **არაბოვთან,** ზარქუა — რუს **რამონოვთან.** ორივე მხოლოდ მეხუთე ადგილს გამორჩა.

ვერ იყოჩაღეს **გელა სალირაშვილმა** (74) და **ნიკოლოზ გაგნიძემ** (84). სალირაშვილმა მეორე შეხვედრა დათმო უკრაინის სახელით მოასპარეზე **გია ჩიხლაძესთან,** ხოლო გაგნიძე მესამე წრეში ტურნირის მომავალ ჩემპიონთან ირანელ **ეჰსან ლაშკარისთან** დამარცხდა.

— ასპარეზობა შესანიშნავად იყო ორგანიზებული, — გვითხრა **ომზარ შოშიტაშვილმა.** — მასპინძლებმა შეჯიბრების გასამართავად 430 ათასი დოლარი დახარჯეს. გამარჯვებულები და პრიზიორები, შესაბამისად, 3000, 2000 და 1000 დოლარით დააჯილდოვეს.

ორთაბრძოლების პარალელურად ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **რაფაელ მარტინეტიმ** თათბირ-სემინარიც ჩაგვიტარა. გვითხრა, რომ თავისუფალი ჭიდაობის წესები ლონდონის ოლიმპიადის დამთავრებამდე არ შეიცვლება, ხოლო ბერძნულ-რომაულში შესაძლოა ერთი-ორი პუნქტის კორექტირება, რასაც დანიაში მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას გვაუწყებს. ფილას პრეზიდენტი დაინტერესდა წლეულს 29 ივნისიდან 5 ივლისამდე ახალგაზრდებს შორის თბილისში გასამართი ევროპის პირველობისთვის მზადების პროცესით, რაზეც, ცხადია, დადებითი პასუხი გავეცით.

ტაშკენტის ტურნირი წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო. უზბეკეთის დედაქალაქში არ უასპარეზიათ სამი წონითი კატეგორიის ლიდერებს — პეკინის თამაშების გამარჯვებულ **რევაზ მინდორაშვილს,** ამავე ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორებს — **ოთარ თუშიშვილსა და გიორგი გოგშელიძეს,** ასევე, წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის მესამეადგილოსან **მალხაზ მუზიაშვილს,** რომლებიც წლის უპირველესი შეჯიბრებისთვის ჯერჯერობით ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობენ.

**ვაჟა დანელია**

ცურვა

# ბრასის დღე ტონუსში



წყალთა სახეობების სპორტული ცენტრი „ტონუსი" შარშან ზაფხულს გაიხსნა და მას შემდეგ ათასობით ადამიანს მოემსახურა. დღეისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ჯგუფებში 250-მდე გოგო-ბიჭი მეცადინეობს. გასულ უქმეებზე ბრასის დღე ჩატარდა და 70-მდე მოზარდი გამოვიდა სტარტზე.

— ნიჭიერ გოგო-ბიჭებს ვარჩევთ, რომლებსაც სპორტულ ჯგუფებში გავაერთიანებთ. წყალბურთისთვის 9-12 წლის ბიჭები უკვე შევარჩიეთ და ორი გუნდი ჩამოვაყალიბეთ - თქვა გენერალური დირექტორის მოადგილე **გივი ცქიტიშვილმა.**

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ინტერვიუ დავით საყვარელიძესთან

# ნიუ ჯერსისა და დომინიკან კოლეჯის გზაგასაყარზე

## მოულოდნელი ამბების ქრონიკა

2002 წელს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, **ბესიკ ლიპარტელიანმა** საუბრისას ყურადღება ახალგაზრდებზე გაამახვილა – საქართველოს ნაკრებს კარგი მომავალი ეზრდება, ჭაბუკები - **დავით საყვარელიძე** და **ვიქტორ სანიკიძე** ნიუ იორკის კოლეჯში მიდიან, სადაც კიდევ უფრო დაიხვეწებიანო.

მას შემდეგ 7 წელიწადი გავიდა, ვიქტორ სანიკიძე და დათო საყვარელიძე ახლაც მეგობრები არიან, მაგრამ მათ საკალათბურთო კარიერა არათანაბრად აეწყოთ. ვიქტორმა ტრავმები და ოპერაციები გადაიტანა და ახლა "ტარტუ როკის" ერთ-ერთი ლიდერია.

დათომაც არაერთი ტრავმა "გაისტუმრა", ოპერაციებიც გაიკეთა, მაგრამ პირველად სწორედ ჩვენს გაზეთთან საუბრისას განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონის შემდეგ კარიერას დაასრულებს. მან 2008-09 წლების სეზონი ნიუ იორკის "დომინიკან კოლეჯში" გაატარა და გუნდის ლიდერიც იყო, მაგრამ ტრავმირებული მუხლი ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს, რომლის შემთხვევაშიც ექიმები გარანტიას ვერ აძლევენ, რომ ერთ წელიწადზე მეტს ითამაშებს.

დათო საყვარელიძე საგაზაფხულო



დავით საყვარელიძე და ვიქტორ სანიკიძე

არდადეგების დროს საქართველოს სტუმრობდა და მასთან ინტერვიუ ამჟამინდელ გუნდ "დომინიკან კოლეჯზე" საუბრით დავიწყეთ.

- ჩემი გუნდი NCAA-ს მეორე დივიზიონში თამაშობდა. რეგულარული ჩემპიონატი კარგად ჩავატარეთ და მომდევნო ეტაპზე გავედით, სადაც 2 შეხვედრა მოვიგეთ, მესამეში დავმარცხდით და სეზონიც დავასრულეთ.

**- საკუთარ თამაშზე რას იტყვი?**

- ნორმალური სეზონი ჩავატარე. მწვრთნელიც არ იყო უკმაყოფილო. თამაშის დალაგება მევალებოდა – მიუხედავად იმისა, რომ მეორე-მესამე ნომრების პოზიციებზე მიწევდა თამაში, თითოეული შეტევის განვითარების მითითება მე უნდა მიმეცა. სხვათა შორის, ერთგვარი გაცილებაც მომიწყვეს. ბოლო მატჩისას მსაჯმა თამაში შეაჩერა და მწვრთნელმა 10-წუთიანი სიტყვა წარმოთქვა – ისაუბრა ჩემზე, როგორც დამამთავრებელი კურსის სტუდენტზე. ვინც სასწავლებელს ასრულებს, ყველას აცილებენ და მეც რალაცას ველოდი, მაგრამ არ მეგონა, თუ ჩემი გაცილება ყველასგან გამორჩეული გამოვიდოდა. გულშემატკივრებმა ჩემი გვარით აჭრელებული პლაკატები გამოფინეს, გუნდის ხელმძღვანელობამ სუვენირები, მაისური და ჩემი თამაშის მომენტის ამსახველი დიდი ფოტოსურათი გადმომცა. მოკლედ, ამაღელვებელი სალამო გამოვიდა. საბოლოოდ, მათ არა მხოლოდ სასწავლებლიდან, არამედ კალათბურთიდანაც გამაცილეს.

**- ეგ როგორ? ჯერ ხომ 23 წლისა ხარ?**

- აქამდე მუხლებზე ორი ოპერაცია მაქვს გადატანილი. ერთი 17 წლის ასაკში, მეორე – ცოტა მოგვიანებით. ჯვარედინი იოგები იმდენად იყო დაზიანებული, რომ ექიმებმა მათი ნაწილი ამომაჭრეს. გარკვეულ დრომდე ამ ოპერაციას შედეგი ჰქონდა, კალათბურთს ნორმალურად ვთამაშობდი, მაგრამ სერიოზულმა დატვირთვებმა მუდმივი ტკივილი გამოიწვია, მუხლები დამისუსტდა და კარიერის დასრულება ამიტომაც გადავწყვიტე.

**- კიდევ ერთი ოპერაცია რომ გაგეკეთებინა, არ გიშველიდა?**

- ამაზეც ვიფიქრე. ქირურგებსაც დავეკითხე, მაგრამ მითხრეს, ოპერაციის შემდეგ თამაშს რომ განაახლებ, შეიძლება ერთ წელიწადზე მეტი ვერც ითამაშოო. გამოდის, ახლა ოპერაცია რომ გავიკეთო ერთი წელიწადი რეაბილიტაციას უნდა მოვანდომო, მომდევნო - ვითამაშო და მერე კარიერის დასრულებამ მომიწიოს...

**- რადგან თამაშის შეწყვეტის გადაწყვიტე, სამომავლო გეგმებიც გარკვეული გექნება. მით უმეტეს, ნიუ იორკში სწავლობ.**

- კოლეჯში ჩემი სპეციალობა ბიზნეს-მენეჯმენტია. მინდა ისევ კალათბურთში დავრჩე, თანაც ჩემი პროფესიით ვიმუშაო.

**- იდეა კარგია, მისი რეალიზება რამდენად რეალურია?**

- ამერიკაში დამამთავრებელ კურსზე მყოფთათვის სპეციალურ სალამოებს აწყობენ, სადაც სტუდენტებთან სხვადასხვა კომპანიების წარმომადგენლები მიდიან. ერთ-ერთ ასეთ სალამოს საკალათბურთო კლუბ "ნიუ ჯერსის" წარგზავნილი დაესწრო, რომელთანაც თამამად მივედი და გავეცანი. ვფიქრობ, მასზე ურიგო შთაბეჭდილება არ დამიტოვებია. სასწავლებლის დასრულების შემდეგ "ნიუ ჯერსიში" ჩემი სპეციალობით სამუშაოს გამონახვას დამპირდა. ეს ჩემთვის მეტად საინტერესო ვარიანტია, თუმცა ჯერ დიპლომი მაქვს ასალები. სასწავლებელს წლეულს ვამთავრებ.

რადგან დავით საყვარელიძისგან ასეთი მოულოდნელი ამბავი შევიტყვეთ, მოდით, მოკლედ მის კარიერასაც გადავხედოთ, რომელიც ხანმოკლეა, მაგრამ საინტერესო. დათოს საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც აქვს ნათამაშები.

2002-03 წლების სეზონი დათომ ამერიკის "გლობ კოლეჯში" დაიწყო და საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის დებიუტანტ "აკადემიაში" დაასრულა.

2003-04 წლებში მან საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებთან ერთად ჯერ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი ითამაშა, შემდეგ შესარჩევი, ბოლოს ევროპის პირველობა. იგი სინჯებზე მადრიდის "რეალშიც" იყო, მაგრამ მძიმე ტრავმის გამო თითქმის ერთი სეზონი გაუცდა. ოპერაციის შემდეგ, 2005 წელს მან საქართველოს პირველობაზე თსუ-ს მაისურით ითამაშა, რის შემდეგაც ფრანგულ "შალონში" გადავიდა, სადაც სერგო ათუაშვილთან ერთად ირჯებოდა.

შალონელმა საყვარელიძემ 2005 წელს საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებთან ერთად B დივიზიონში იასპარეზა. იგი ეროვნულში სწორედ ახალგაზრდული ნაკრებიდან მოხვდა და 2005 წელს გორდონ ჰერბერტის ხელმძღვანელობით ლუქსემბურგთან მატჩში 12 წუთში 3 ქულა და 1 პასი მიითვალა.

მომდევნო ზაფხულს მან 20-წლამდელთა ნაკრების მაისურით B დივიზიონი მოიგო და ელიტაში ალზევდა.

2006 წლიდან დათო საყვარელიძემ ამერიკას მიაშურა და "ნაზარინის" კოლეჯში ჩაირიცხა, საიდანაც 2007 წელს ნიუ იორკის "დომინიკან კოლეჯში" გადავიდა და აქტიური სპორტსმენის კარიერა სწორედ იქ დაასრულა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ალპინიზმი



მანასლუს საბაზო ბანაკი

# გუჯაბიძე კვლავ მანასლუს უტევს

შეგახსენებთ, რომ ჰიმალაის მთებში ცნობილი ქართველი ალპინისტი **ბიძინა გუჯაბიძე** იმყოფება, რომელიც რუსული ექსპედიციის (ხელმძღვანელი **ალექსეი ბოლოტოვი**) შემადგენლობაში მსოფლიოს ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალის, მანასლუს (8163 მ) დაპყრობას ცდილობს. ექსპედიციაში სულ 16 კაცია, 14 რუსი, ქართველი და რუმინელი. ჩვენ თხრობა 14 აპრილის მოვლენებზე შევაჩერეთ, როცა ძირითადი გუნდი საბაზო ბანაკში დაეშვა, ხოლო ექვსეული მეორე ბანაკზე აპირებდა შეტევის განხორციელებას, ჩვენებური ძირითად ჯგუფთან ერთად იყო. შეგახსენებთ, რომ ინფორმაციის მომწოდებელი ცნობილი რუსი მთამსვლელი **სერგეი ბოგომოლოვია**, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს ბოლოტოვის ექსპედიციასთან.

*„ურალელთა ოთხეული, რომელშიც თავად ალექსეი ბოლოტოვი, ედუარდ როჟკოვი, არკადი რიჟენკო და დმიტრი ფლორენკო შედიან, აგრეთვე გამოცდილი ალპინისტები ვლადიმირ ბელოუსი და სერგეი დუგანოვი ავიდნენ 6 400 მეტრი სიმაღლეზე, სადაც მე-2 ბანაკი მოაწყვეს, გამოიძინეს და დაბლა დაეშვნენ. ახლა დილის 3 საათიდან გასვლას დმიტრი სინევი და ალექსანდრ ლუტოხინი აპირებენ, მათ გეგმაში აქვთ მე-2 ბანაკის ავლა და 6 800 მეტრი სიმაღლისთვის მიღწევა“*, - წერდა 15 აპრილს სერგეი ბოგომოლოვი.

თუმცა მეორე დღეს ექსპედიციის წევრთა გეგმას შესრულება არ ეწერა. მიღებული ცნობით, საქმეში ამინდი ჩაერია - მიუხედავად იმისა, რომ ამინდის პროგნოზის მიხედვით ქარიანი, მაგრამ მზიანი დღე უნდა ყოფილიყო, საბაზო ბანაკთან მოთოვა, ქარიც არ ჩადგა და ნისლმაც მარშრუტი მთლიანად დაფარა. ასე რომ, ლუტოხინი და სინევი კარავში დარჩნენ. მიუხედავად ამინდის ჭირვეულობისა, გუნდში საბრძოლო განწყობაა.

ამის შემდეგ 20 აპრილამდე არაფერი შეცვლილა, გუნდის წევრები 4 დღე-ღამე საბაზო ბანაკში „კლავდნენ“ დროს, მაგრამ შემდეგ ამინდიც გაუმჯობესდა. *„დღეს ყველანი მეორე ბანაკში ავიდნენ, რომელიც 6 400 მეტრზეა ზღვის დონიდან. ექსპედიცია გზას ღრმა თოვლში 6 საათი მოუნდა. სალამოს კარვებში მოიფიქრებენ ხვალინდელი და შემდგომი დღეების გეგმას“*, - იტყობინება სერგეი ბოგომოლოვი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# საქართველო დღეს ისვენებს

საქართველოს ჩოგბურთელთა ქალთა ნაკრები ანთალიაში იმყოფება, სადაც **ლალი ზერეკიძის** შეგირდები „ფედერაციის თასზე“ ევროპა-აფრიკის II ზონის გათამაშებაში მიილებენ მონაწილეობას. გუშინ **„ატალეია შაინის“** ხუთვარსკვლავიან სასტუმროში გაიმართა კენჭისყრა, 6 ნაკრები ორ ჯგუფად გაიყო. A ჯგუფში პორტუგალიის, ლატვიის და მაროკოს ნაკრებები მოხვდნენ. B ჯგუფში - საქართველო, თურქეთი და სამხრეთ აფრიკა. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელთა გუნდი ჩვენს ჯგუფშია, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ნაკრებს კენჭისყრამ გაუმართლა. პორტუგალიას ძლიერი გუნდი ჰყავს, ხოლო ლატვიას ბრწყინვალე ფორმაში მყოფი ლიდერი, **ანასტასია სევასტოვა**. ხოლო ჩვენს ჯგუფში მოთამაშე სამხრეთ აფრიკის ნაკრები ლიდერმა **ჩენელ სხეფერსმა** დაალალატა, მის გარეშე კი ეს გუნდი ერთობ სუსტია. დღეს ტურნირის პირველი დღეა, მაგრამ საქართველოს ნაკრები ისვენებს. ჩვენს ჯგუფში თურქეთის ნაკრები სამხრეთ აფრიკისას ხვდება, მეორეში კი პორტუგალია - მაროკოს. ჯგუფის გამარჯვებული პლეი ოფს გამართავს მეორე ჯგუფის მეორეადგილოსანთან, საბოლოოდ კი ორი გამარჯვებული ნაკრები გაისადაც ევროპა-აფრიკის პირველ ზონაში ითამაშებს.

გაგაცნობთ ჩვენი მეტოქეების შემადგენლობას, თურქებმა მაქსიმალურად ძლიერი შემადგენლობა გამოიყვანეს: **პემრა ოზგენი, კაგლა ბუიუქაკჩაი, იპეკ სენოლლუ** და **მელის სეზერი**. თუმცა რეიტინგის მიხედვით ჩვენების შემადგენლობა გაცილებით სოლიდურია. სამხრეთ აფრიკის ნაკრებში თამაშობენ: **ნატალი გრანდინი, ლიზან დუპლესისი, კელი ანდერსონი** და **ჩენელ სიმონდსი**. აქვე ჩვენი გუნდის შემადგენლობასაც შეგახსენებთ: **ანა ტატიშვილი, მაკა ჩახნაშვილი, სოფო შაფათავა** და **მანანა შაფაქიძე**. მატჩები „ატალეია შაინ ჰოტელის“ ჰარდის საფარის კორტებზე გაიმართება.



ანა ტატიშვილი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ხელბურთი

# ერთი ბურთი ნახევარფინალამდე

შოთა თევზაძის "ბაკაუ" ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასის გათამაშებას მეოთხედფინალიდან გამოეთიშა. პირველი მატჩი რუმინელებმა სტუმრად შვეიცარიულ "ბერნერთან" 30:35 წააგეს. განმეორებით შეხვედრაში "ბაკაუმ" 30:26 გაიმარჯვა და საბოლოო წარმატებამდე მხოლოდ ერთი გოლი დააკლდა. თევზაძემ მატჩი შეუცვლელად ჩაატარა.

*"მეტოქეს აშკარად ვაჯობეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, შვეიცარიაში დაშვებული შეცდომები ბოლომდე ველარ გამოვასწორეთ. სეზონის დარჩენილ ნაწილს ჩვენთვის პრაქტიკული მნიშვნელობა უკვე დაკარგული აქვს"*, - გვითხრა შოთამ.

"ბაკაუ", რომელმაც რუმინეთის ჩემპიონატის პირველი წრე ლიდერის რანგში დაასრულა, სეზონის მეორე ნახევარს არადამაჯერებლად ატარებს და დღეისათვის სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზეა. რუმინეთის ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხიოდე ტური დარჩენილი და "ბაკაუს" მესამე ადგილზე გასვლის სერიოზული შანსიც ალარ შერჩა.

შოთას თქმით, მომავალი სეზონისთვის "ბაკაუ" შემადგენლობას გააძლიერებს და უფრო მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს. ქართველი მეკარე ამჟამინდელ კლუბთან თანამშრომლობის გაგრძელებას აპირებს.

# სამი მარცხი პორტუგალიაში

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა წარუმატებლად იასპარეზა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში. პორტუგალიაში **ჯემალ ბარამიძის, ბექა ორჯონიკიძისა** და **ირაკლი კეკელიძის** გუნდმა სამივე მატჩი წააგო და შესაბამისად, ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა.

საქართველოს ნაკრები ჯერ თურქეთთან 19:32 დამარცხდა, შემდეგ პორტუგალიასთან 17:39 დათმო, ბოლოს კი ბელგიასთან 24:34 წააგო. ჯგუფში პირველ ადგილზე მასპინძლები გავიდნენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



გიორგი შხვაცაბაია. ლელო. 1963 წელი

# ლელოს შვილები

სპეციალური გამოშვება. №7 2009 წელი



რაგბის მოთამაშეები. 1843 წელი. ინგლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პირველად ბაღდათში...
## მონდომებამ რა ჰქმნა?

საქართველოს რაგბის კავშირის ინიციატივით ამ ბოლო დროს არაერთი ახალი სარაგბო კერა აღმოცენდა. რაგბის თამაში იმ ქალაქებსა და რაიონებშიც დაიწყეს, სადაც ადრე სარაგბო ტრადიციები საერთოდ არ არსებობდა. რამდენიმე დღეა, რაც პირველი სარაგბო ტურნირი გაიმართა ბაღდათში, სადაც ბაღდათის ბავშთა გუნდმაც იასპარეზა. ეს გუნდი ოთხიოდე თვის წინათ ჩამოყალიბდა და მას ქუთაისელი ვეტერანი მორაგბეები კახა ყეინაშვილი და გია ლომინაძე ხელმძღვანელობენ. მათ ბაღდათში ვეწვიეთ.

**კახა ყეინაშვილი:** „საქართველოში რაგბის პოპულარიზაცია მაღალი ტემპით მიმდინარეობს. თითქმის ყველა რაიონში შეიქმნა ბავშვთა გუნდები. ჩვენი სურვილი იყო, სარაგბო გუნდი ბაღდათის რაიონშიც დაფუძნებულიყო. მე და გია ლომინაძე ყოფილ გამგებელს დავით გუმბერიძეს ვესაუბრეთ და ჩვენი გეგმები გავაცანით. ისიც დაინტერესდა და მალე გუნდიც შევკრიბეთ. ბაღდათში არანაირი ბაზა და სარაგბო ტრადიციები არ არსებობდა, მშობლები თავიდან ეჭვის თვალით გვიყურებდნენ. ერთი პერიოდი თავის დანებებაზეც კი დავფიქრდით, მაგრამ, საბედნიეროდ, ბავშვების ნაკადმა იმატა და ჩვენც გავაგრძელეთ მუშაობა.

**- რამდენ ჯგუფს ავარჯიშებთ?**

- ახლა ორი ასაკობრივი ჯგუფი გვყავს. ძირითადად ისეთი ბავშვები შემოვიკრიბეთ, რომლებიც ჭიდაობასა და მძლეოსნობაზე დადიოდნენ და ფიზიკურად განვითარებულები არიან. თუ რაიონის ხელმძღვანელობისგან ხელშეწყობა გვექნება, ჩვენი მიზანია, აქ ჩამოყალიბდეს ისეთი გუნდი, რომელიც ჩემპიონატში ითამაშებს. ახალი გამგებელი ყოფილი სპორტსმენია და ჩვენი გეგმებით დაინტერესდა. გვითხრა, პირველ რიგში რაგბის პოპულარიზაციაზე ვიზრუნოთ და შემდეგ გუნდის ჩამოყალიბებაც შესაძლებელი იქნებაო. სამწუხაროდ, ბაღდათში რაგბის შესახებ მცდარი ინფორმაცია აქვთ. ბევრი მშობელი იმის შიშით, რომ ბავშვმა „კისერი არ მოიტეხოს", სიფრთხილეს იჩენს და პატარებს რაგბის თამაშს უკრძალავს.

**გია ლომინაძე:** 15 წლის განმავლობაში რუსეთში ვიყავი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ საყვარელი საქმის გარეშე ვერ გავძელი და კახასთან ერთად ბაღდათის ბავშთა გუნდს ჩავუდექი სათავეში. თავიდან დიდი სირთულეები შეგხვდა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მუშაობა გავაგრძელეთ და უკვე ორი ასაკობრივი გუნდი გვყავს.

**- სავარჯიშო პირობები როგორი გაქვთ?**

- გვერდით დაგვიდგა სოფელ დიმის სკოლის დირექტორი მერაბ კვირიკაშვილი, რომელმაც სკოლის მოედანი ბაზად გადმოგვცა და ბურთებიც შეგვიძინა. სკოლას დარბაზიც აქვს, რომელიც, მართალია, ცუდ მდგომარეობაშია, მაგრამ უამინდობაში ვარჯიში რომ არ გაცდეს, ბავშვებს იქ ვავარჯიშებთ. აღსანიშნავია, რომ „თეგეტა მოტორსის" წარმომადგენლებმა ცოტა ხნის წინათ ფორმები გამოგვიგზავნეს და ეკიპირების პრობლემაც მოხსნილია.

**- ძირითადად რა სირთულეები გაქვთ?**

- ნიჭიერები ბავშვები არიან, მაგრამ ცოტა ზარმაცები. ვცდილობთ, ამ ნაკლის დაძლევაში დავეხმაროთ. რაც შეეხება გარეშე ფაქტორებს, ქუთაისიდან გვიწევს ბაღდათში სიარული და გზა ძვირი გვიჯდება. სხვა სირთულეებიც არის, მაგრამ, იმედია, რაგბის კავშირის ხელშეწყობით ყველაფერი მოგვარდება და ბაღდათი ერთ-ერთ ძლიერ სარაგბო კერად გადაიქცევა.

დავით კოხრეიძე
ბაღდათიდან

ლელოს ალბომიდან



1985 წელი. თბილისის განათლების სპორტსკოლის ჭაბუკ მორაგბეთა გუნდი

*ჭაბუკთა ლიგა*

# ჭაბუკები ბრძოლაში ჩაებნენ

საქართველოს ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის ერთი კვირის წინათ დაიწყო. ამჯერად კი, შეჯიბრების გრძელ მარათონს ჭაბუკთა A და B ლიგები შეუდგნენ.

გუშინ ჭაბუკთა B ლიგის აღმოსავლეთი ზონის მონაწილეებმა პირველი ტურის შეხვედრები გამართეს. შეგახსენებთ, რომ ამ ზონაში 12 გუნდი ასპარეზობს. გამართული შეხვედრებიდან აღსანიშნავია შარშანდელი გათამაშების ვერცხლის პრიზიორის „ლელოს" გამარჯვება, ტურნირის დებიუტანტ თელავის „მუტრუკებთან" მშრალი ანგარიშით - 70:0.

„ყოჩებთან" მატჩში განიცადა მარცხი კიდევ ერთმა დებიუტანტმა თბილისის „რაინდებმა" - 11:19. თბილისის „ჯიქებმა" კი, რუსთავის „ხარებს" სძლია - 26:7.

დასავლეთ ზონაში პირველი ტურის შეხვედრები დღეს გაიმართება. აქ შეჯიბრებაში რვა გუნდი იასპარეზებს. ესენი არიან: „აიეტი" (ფოთი), „არგო" (ვანი), „იმერეთი" (ჭიათურა), „ჩიბათი" (ლანჩხუთი), ელიტი (ბათუმი), „აია-1" (ქუთაისი), „აია-2" (ქუთაისი) და „ახალციხე".

ხვალიდან კი, შეჯიბრება სტარტს ჭაბუკთა A ლიგაშიც აიღებს. გუნდები აქაც ორ ზონაში არიან განაწილებულნი. აღმოსავლეთში პირველობისთვის 10 გუნდი იბრძოლებს: თბილისის გუნდები „ლელო", „ყოჩები", „შევარდენი", „ჯიქები", „აკადემია", „არმაზი" და „ივერია". ასევე „ხარები" (რუსთავი), „თორი" (ბორჯომი), „მუტრუკები" (თელავი).

დასავლეთ ზონაში ექვსი გუნდი ითამაშებს: „არგო" (ვანი), „იმერეთი" (ჭიათურა), „ჩიბათი" (ლანჩხუთი), „ელიტი" (ბათუმი), „აია-1" და „აია-2" (ქუთაისი).

**ჭაბუკთა B ლიგა**

**I ტური**

**ლელო-მუტრუკები 70:0, ყოჩები-რაინდები 19:11, შევარდენი-ივერია 26:14, აკადემია-ხულიგანა 48:0, ჯიქები-ხარები 26:7, არმაზი-უნივერსიტეტი (24 აპრილი).**

ბესიკ ჯანგავაძე

*ლეგიონერები*

# ექსი, მასი და პერიგო პლეი ოფში

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში დასრულდა მეორე ჯგუფური ეტაპის გათამაშება. ელიტურ მეორე დივიზიონში გადასასვლელად ბრძოლას ქართველ მორაგბეთა სამი გუნდი აგრძელებს.

ამათგან პირდაპირ მეოთხედფინალში B ჯგუფის გამარჯვებული **ილია ზედგინიძის** „ექსი" ითამაშებს. „პერიგო" და „მასი" კი, რომლებმაც თავიანთ ჯგუფებში მეორე ადგილი დაიკავეს, მეოთხედფინალის შესარჩევ ტურნირში იასპარეზებენ.

სამწუხაროდ, ფედერალ 1-ის დატოვება მოუწევს **ალექსანდრე მარგველაშვილის, ზურაბ მჭედლიშვილისა** და **გიორგი ნემსაძის** „დომონს".

როგორც უკვე აღვნიშნეთ, B ჯგუფში პირველობა არავის დაუთმო ილია ზედგინიძის „ექსმა". ჩვენებურის ამ გუნდმა მეოთხედფინალის საგზური ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე მოიპოვა. თუმცა ამას ექსელებისთვის ხელი არ შეუშლია ბოლო, მეექვსე ტურშიც გამარჯვება ეზეიმა სტუმრად **ნიკოლოზ მაღალდაძისა** და **შოთა მელიქიძის** „კაორთან" - 25:10. ეს უკანასკნელი ჯგუფში ხუთი ქულით ბოლო ადგილზე გავიდა.



ილია ზედგინიძე

მაღალდაძეს ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია. ზედგინიძე თამაშში 24-ე წუთიდან ჩაერთო. მელიქიძე კი, მოედანზე 56-ე წუთიდან გამოჩნდა.

„ექსი" პირდაპირ მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ის „პერიგოსა" და „დიჟონს" შორის გამარჯვებულს დაელოდება.

თავის მხრივ **თედო ზიბზიბაძის, ირაკლი ნინიძისა** და **იგორ ბარბაქაძის** „პერიგომ" E ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა. პერიგოელებმა იმავე „დიჟონის" მსგავსად 16 ქულა დააგროვეს და მეტოქეს მხოლოდ თამაშებში დაგროვებული ქულების უარესი მაჩვენებლის გამო ჩამორჩნენ.

ბოლო ტურში „პერიგომ" შინ გამართა შეხვედრა „ლანჟონისთან" და 30:3 დაამარცხა. ზიბზიბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა. ნინიძე 41-ე წუთზე შეცვალეს. ბარბაქაძე განაცხადში არ იყო.

მეორე ადგილი დაიკავა F ჯგუფში **მერაბ კვირიკაშვილის, დავით დადუნაშვილის, შალვა სუთიაშვილისა** და **რეზო გიგაურის** „მასიმ". ბოლო ტურში პარიზელებმა სტუმრად წააგეს „ლანამეზანთან" - 6:13 და ჯგუფში პირველობა დაუთმეს. კვირიკაშვილმა შეხვედრაში ერთი საჯარიმოს გატანა მოახერხა და 71-ე წუთზე შეცვალეს. ძირითად შემადგენლობაში იყო დადუნაშვილიც, რომელმაც მოედანი 53-ე წუთიდან დატოვა. სუთიაშვილი თამაშში 55-ე წუთიდან ჩაერთო. გიგაური ტრავმირებულია.

ახლა „მასი" მეოთხედფინალში გასასვლელ შესარჩევ შეხვედრაში A ჯგუფში მეორე ადგლზე გასულ „ბობინის" დაუპირისპირდება. გამარჯვების შემთხვევაში, მასელების მეტოქე მეოთხედფინალში ამავე ჯგუფის გამარჯვებული „შალონი" იქნება.

F ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა **ირაკლი აბუსერიძის** „ორლეანმა", რომელიც ბოლო ტურში სტუმრად დამარცხდა აუტსაიდერ „ობენასთან" - 18:36. აბუსერიძე თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთო.

მეოთხედფინალის შესარჩევი შეხვედრები 3 მაისს გაიმართება.

ბესიკ ჯანგავაძე

# ზირაქაშვილმა ვარჯიში დაიწყო

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ფრანგული „კლერმონის" შერკინების ბურჯი **დავით ზირაქაშვილი** მომავალ უქმეებზე, ადვილი შესაძლებელია კვლავ გამოჩნდეს თავისი კლუბის შემადგენლობაში. „ზირაქა", ერთა თასის წლევანდელი გათამაშების პირველ შეხვედრაში, შვიდ თებერვალს, სტუმრად გერმანიის ნაკრებთან მძიმედ დაშავდა და მას შემდეგ მკურნალობდა.

ამჯერად შეიძლება ითქვას, რომ ის სრულად გამოჯანმრთელებულია და სავარაუდოდ შაბათს, სტუმრად საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერ „პერპინიანთან" დაპირისპირებაში მიიღებს მონაწილეობას.



დავით ზირაქაშვილი

ბესიკ ჯანგავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA პლეი ოფი. 1/8 ფინალი

# ბოსტონი გადარჩა, სან ანტონიომ გაისეირნა

გუშინ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის პლეი ოფი ორი მატჩით გაგრძელდა და ორივეში ფავორიტებმა გამარჯვებებს მიაღწიეს. მათ არ ჰქონდათ დამარცხების უფლება, რადგან ორი დღის წინ, თავიანთი სერიების პირველი მატჩები სენსაციურად წააგეს.

მოქმედი ჩემპიონი „ბოსტონ სელტიქსი" უკიდურესად მობილიზებული გავიდა მოედანზე და უკვე პირველ მეოთხედში მასპინძელთა უპირატესობა ორნიშნა რიცხვით გამოიხატა: ტანმორჩილი, მაგრამ თითქმის 100-კილოგრამიანი **გლენ დევისი** სამჯერ გაძვრა ფარქვეშ და 12 ქულით გაიყვანა წინ თავისი გუნდი. მაგრამ **ბენ გორდონი** და **ჯონ სალმონსი** დანებებას არ აპირებდნენ და ეს „პლუს 12" „სელტიქსის" ყველაზე დიდი უპირატესობა აღმოჩნდა მატჩში, მალე კი მისგან საერთოდ აღარაფერი დარჩა.

მეორე მეოთხედის დასაწყისში, „ხარების" სათადარიგო მოთამაშეებმა სტუმართა გუნდი წინ გაიყვანეს და დაიწყო ქულა-ქულაში თამაში. დიდ შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე „ბოსტონი" ექვსი ქულით დაწინაურდა - 48:42, ოთხ წუთში კი ტაბლომ „ჩიკაგოს" უპირატესობა დააფიქსირა - 61:54.



პირველი ტაიმის შემდეგ, „სელტიქსის" მთავარმა მწვრთნელმა **დოკ რივერსმა** თავისიანები შეკრიბა და გამოუცხადა: *„მე მჭირდება ადამიანი, რომელიც ამ მატჩს მომაგებინებს"*. და ეს მოხალისე ვეტერანი **რეი ალენი** გახდა.

აღარავის ახსოვდა, რომ რეიმ პირველი ტაიმში მხოლოდ ორი ქულა დააგროვა და ზედიზედ აცილებდა ბურთს „ხარების" ფარს. მეორე ნახევარში მის ანგარიშზე 28 ქულა მოდის. მან ექვსი სამქულიანი ჩააგდო, მათ შორის ბოლო შორეულმა გასროლამ „ბოსტონს" გამარჯვება მოუტანა.

ანგარიში 115:115 იყო, როცა საფინალო სირენამდე ორი წამით ადრე, ალენმა გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო. „ბოსტონის" ტრავმირებული ლიდერი **კევინ გარნეტი** მთელი თამაშის განმავლობაში ფეხზე იდგა და თავის თანაგუნდელებს ამხნევებდა. მასპინძლებს ქეი-ჯეის მორალური მხარდაჭერა მართლაც სჭირდებოდათ, რადგან 0:2-დან სერიის გადარჩენა ძალიან რთული საქმეა. თუმცა უკმაყოფილონი არც „ხარები" დარჩენილან. *„ბოსტონიდან ერთი მოგებით შინ დაბრუნება კარგი შედეგია. მოქმედი ჩემპიონის წინააღმდეგ ამის გაკეთება არც ისე იოლია. მიღწეულით დაკმაყოფილებას არ ვაპირებთ"*, - ასეთი კომენტარი გაუკეთა ბოსტონში ჩატარებულ ორ მატჩს „ჩიკაგოს" მცველმა ბენ გორდონმა.

■ ■ ■

„ბოსტონისგან" განსხვავებით, „სან ანტონიომ" იოლად გაათანაბრა ანგარიში „დალას მავერიქსთან" სერიაში. *„მე მხოლოდ ვცდილობდი, აგრესიული ვყოფილიყავი. ჩვენ არ გვქონდა ამ მატჩის წაგების უფლება"*, - მოკლედ განაცხადა **ტონი პარკერმა**, რომელიც ელვასავით დაქროდა მოედანზე და მარტო პირველ ნახევარში 27 ქულა ჩააგდო. პირველ მეოთხედში 11 ქულით (30:19) დაწინაურების შემდეგ, „სან ანტონიომ" ახლოს აღარ გაიკარა მოწინააღმდეგე.

**აღმოსავლეთი**

**ბოსტონი-ჩიკაგო 118:115**

35:29, 23:32, 30:25, 30:29

ბ: რ. ალენი (30), გ. დევისი (26+9 მოხსნა), რონდო (19+12 მოხსნა+16 პასი+5 ჩაჭრა), პირსი (18+8 მოხსნა), პერკინსი (16+12 მოხსნა).

ჩ: ბ. გორდონი (42), სალმონსი (17), ბ. მილერი (16+9 მოხსნა), ნოა (13+8 მოხსნა+4 დაფარება), დ. როუზი (10+7 პასი).

სერია: 1:1

**დასავლეთი**

**სან ანტონიო-დალასი 105:84**

30:19, 27:26, 28:18, 20:21

ს-ა: ტ. პარკერი (38+8 პასი), დანკანი (13+11 მოხსნა+3 დაფარება), გუდენი (13), რ. მეისონი (12), ბონერი (11+7 მოხსნა).

დ: ტერი (16), კიდი (14+3 ჩაჭრა), ნოვიცკი (14).

სერია: 1:1

# ბრაუნი საუკეთესო მწვრთნელია

სანამ პლეიოფში პირველი თამაშები მიმდინარეობს, ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ სეზონის ლაურეატების გამოვლენა დაიწყო. პირველი ინდივიდუალური პრიზი „კლივლენდ კავალიერზის" დამრიგებელმა **მაიკ ბრაუნმა** მოიპოვა - ის სეზონის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს.

წელს ბრაუნმა თავის გუნდს 66 გამარჯვება მოაპოვებინა და რეგულარულის ჩემპიონის ტიტული მოუტანა. „კლივლენდის" ისტორიაში ის გახდა მეორე მწვრთნელი, ვინც ეს საპატიო ჯილდო დაიმსახურა. მანამდე მსგავსი აღიარება **ბილ ფიტჩს** (1976) ხვდა წილად.

ბრაუნმა 122 ჟურნალისტის გამოკითხვაში 355 ქულა დააგროვა. მას 55-მა ადამიანმა მიანიჭა პირველი ადგილი. მაიკს სამასზე მეტი ქულით ჩამორჩა მეორეადგილოსანი **რიკ ადელმანი** („ჰიუსტონი"), რომელმაც 151 ქულა მიიღო. 150 ქულით მესამე პოზიციაზეა „ორლანდო მეჯიქის" დამრიგებელი **სტენ ვან განდი**. ორივე მწვრთნელმა 13 პირველი ადგილი მიიღო.

შარშან, საუკეთესო მწვრთნელის ტიტული „ნიუ ორლეან ჰორნეტსის" დამრიგებელმა **ბაირონ სკოტმა** მოიპოვა.

# რუბიო დრაფტზე დადგება

ესპანელმა ვუნდერკინდმა **რიკი რუბიომ** 2009 წლის დრაფტზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენება გადაწყვიტა. ამის შესახებ „ხუვენტუდის" 18 წლის მცველის აგენტმა **დენ ფეგანმა** განაცხადა. თუმცა, ესპანელ კალათბურთელს 15 ივნისამდე ექნება ვადა იმისთვის, რომ შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება და NBA-ში გადასვლა ერთი წლით გადადოს.

ტელეკომპანია ESPN-ის აზრით, 2009 წლის დრაფტის პოტენციურ 100 მონაწილეს შორის რუბიო მეორე ადგილს იკავებს. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წესების თანახმად, NBA-ის კლუბს უცხოელი კალათბურთელის კონტრაქტის გამოსასყიდად 500 ათას დოლარზე მეტის გადახდის უფლება არ აქვს, რუბიოს საბაზრო ღირებულება კი გაცილებით მაღალია. მიუხედავად ამისა, არსებობს ალბათობა, რომ რიკი და „ხუვენტუდი" მოილაპარაკებენ და იმ შემთხვევაში, თუ კლუბი ევროლიგის საგზურს ვერ მოიპოვებს, რუბიო თავისუფალი გახდება.

# ფილი და კობი რჩებიან

გაზეთ „ლოს ანჯელეს თაიმსის" ინფორმაციით, „ლეიკერსის" მთავარი მწვრთნელი **ფილ ჯექსონი** და ამ გუნდის ლიდერი **კობი ბრაიანტი** მიმდინარე სეზონის შემდეგაც დარჩებიან კალიფორნიულ კლუბში.

მოქმედი კონტრაქტის თანახმად, 63 წლის ფილ ჯექსონს ერთი წლით შეუძლია ხელშეკრულების გახანგრძლივება, რის სანაცვლოდაც 12 მილიონ დოლარს მიიღებს. როგორც წესი, ეს სპეციალისტი სეზონის დასრულების შემდეგ არ ჩქარობს მუშაობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას და ჯანმრთელობის მდგომარეობას აკვირდება. მაგრამ „ლეიკერსის" გენერალური მენეჯერის **მიტჩ კუპჩაკის** სიტყვებით, ამჯერად ჯექსონი ოპტიმისტურად არის განწყობილი.

გარდა ამისა, „ლეიკერსში" დარწმუნებულნი არიან, რომ ბრაიანტი კიდევ ხუთი წლით გააგრძელებს კონტრაქტს თავის ამჟამინდელ კლუბთან, რაშიც 135 მილიონ დოლარს გადაუხდიან.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი



# დომინატორი დაბრუნდა

ლეგენდარულმა ჩეხმა მეკარემ **დომინიკ ჰაშეკმა** ოფიციალურად გამოაცხადა დიდ სპორტში დაბრუნების შესახებ. 44 წლის გოლკიპერი 2009-10 წლების სეზონში ჩეხეთის „პარდუბიცეს" ღირსებას დაიცავს. სწორედ ამ კლუბში იწყებდა თავის ბრწყინვალე კარიერას „დომინატორი" - „პარდუბიცეში" მან 1981-87 წლებში ითამაშა.

ჰაშეკმა ეს გადაწყვეტილება პრალაში, სპეციალურ პრესკონფერენციაზე გაახმოვანა. ჰოკეისტმა აღიარა, რომ ჩეხეთში მხოლოდ „პარდუბიცეს" რიგებში თუ ითამაშებდა, რადგან ამ კლუბმა თავის დროზე მას ბევრი რამ შესძინა.

„დომინატორმა" გასული სეზონის შემდეგ გადაწყვიტა სპორტიდან წასვლა. ეს მან მას შემდეგ გააკეთა, რაც „დეტროიტ რედ უინგზთან" ერთად მეორედ მოიგო სტენლის თასი. „დეტროიტის" გარდა, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ჰაშეკს „ოტავას", „ბაფალოსა" და „ჩიკაგოს" შემადგენლობაში უთამაშია.

ჩეხი ლეგენდა ორჯერ იყო დასახელებული NHL-ის რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ (MVP) და ექვსჯერ აღიარეს სეზონის საუკეთესო მეკარედ. ჩეხეთის ნაკრებში ჰაშეკის მთავარ მიღწევად 1998 წელს, ნაგანოს ოლიმპიადის მოგება ითვლება.

სტენლის თასი. 1/8 ფინალი

**აღმოსავლეთი**

**მონრეალი-ბოსტონი 2:4**

1:1, 1:2, 0:1

გოლები: 1:0 ჰიგინსი-2 (ი. უებერი-1), 1:1 კესელი-3 (ვიდემანი-2), 1:2 შ. ტორნტონი-1 (ბიტცი-1, იელე-1), 2:2 ი. უებერი-1 (მეტროპოლიტი-2), 2:3 რაიდერი-2 (ვიდემანი-3, მ. სტიუარტი-1), 2:4 კობესიუ-2 (კრეისი-2, ხარა-1).

სერია: 0:3

**რეინჯერსი-ვაშინგტონი 0:4**

0:2, 0:1, 0:1

გოლები: 0:1 სიომინი-2 (ბექსტრიომი-2, ოვეჩკინი-3), 0:2 სიომინი-3 (ოვეჩკინი-4, ბექსტრიომი-3), 0:3 ლეიჩი-1 (სიომინი-1, ფიოდოროვი-1), 0:4 პოტი-1 (ბექსტრიომი-4, პოტიე-1).

სერია: 2:1

**დასავლეთი**

**კალგარი-ჩიკაგო 4:2**

1:1, 1:0, 2:1

გოლები: 0:1 შარპი-2 (ტეუვზი-2, ჰავლატი-1), 1:1 ნისტრიომი-1 (გლენკროსი-2, ა. ოკუანი-1), 2:1 რ. ბერკი-1 (ო. იოკინენი-2), 3:1 მოსი-2 (ჰარდი-1, ლენგკოუ-2), 4:1 მოსი-3 (გლენკროსი-3, ვანდერმეერი-1), 4:2 ჰავლატი-3 (შარპი-2, ტეუვზი-3).

სერია: 1:2

ამბები

## ბაფალო მწვრთნელს არ შეიცვლის

„ბაფალო სეიბრზის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი **ლინდი რაფი** და გენერალური მენეჯერი **დარსი რეჯიე** მომავალ სეზონში თავიანთ პოსტებს შეინარჩუნებენ.

წლევანდელ რეგულარულ ჩემპიონატში „ბაფალომ" აღმოსავლეთ კონფერენციაში მეათე ადგილი დაიკავა და ზედიზედ მეორედ პლეი ოფის მიღმა აღმოჩნდა. გუნდმა სეზონის ზუსტად ნახევარი - 41 თამაში მოიგო.

ასეთი შედეგის მიუხედავად, „ბაფალოს" ხელმძღვანელთა მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში წერია: *„მოხარულები ვართ, რომ ჩვენს კლუბში ორი მაღალი დონის სპეციალისტი მუშაობს. ეჭვი არ გვეპარება, რომ მათი ხელმძღვანელობით „ბაფალო" მომავალ წელს პლეი ოფის მატჩებს დაუბრუნდება"*.

## ედმონტონს მესიე გაწვრთნის?

ახალი ამბავი არ არის, რომ ჰოკეის ეროვნული ლიგის ყოფილი ვარსკვლავი, ლეგენდარული **მარკ მესიე** ედმონტონში დიდი პატივისცემით სარგებლობს, რადგან 80-იან წლებში, ეს ფორვარდი ადგილობრივი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო. ამჟამად, მესიე „ედმონტონის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად განიხილება. ასევე ამ თანამდებობის დაკავების კარგი შანსი აქვს „ტორონტოს" ყოფილ დამრიგებელ **პეტ ქუინს**.

## რეინჯერსმა სტუდენტი აიყვანა

„ნიუ იორკ რეინჯერსმა" ბოსტონის უნივერსიტეტის ჰოკეის გუნდის მცველ **მეტ გილროისთან** გააფორმა მრავალწლიანი ხელშეკრულება. კონტრაქტის ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა.

წლევანდელ სეზონში 24 წლის ჰოკეისტი, რომელიც NHL-ის დრაფტზე არ ყოფილა წარმოდგენილი, NCAA-ს სტუდენტური ლიგის ჩემპიონი გახდა და „ჰობი ბეიკერ ტროფი" მიიღო - ეს პრიზი ჩემპიონატის საუკეთესო ჰოკეისტს გადაეცემა. გილროიმ სეზონის 45 მატჩში 8 შაიბა გაიტანა და 28 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

## ბულგარეთში მეკარე მოკლეს

ბულგარეთის ნაკრების მეკარე **კირილ ვაჟაროვი** სოფიაში, ერთ-ერთი ღამის კლუბის შესასვლელთან მოკლეს. ასევე მოკლული იპოვეს ჰოკეისტის მეგობარი **ვასილ ალექსანდროვი**, რომელიც იმ ღამეს თავის დაბადების დღეს აღნიშნავდა. კიდევ ერთი მამაკაცი მძიმედ არის დაჭრილი.

პოლიციის ინფორმაციით, მკვლელები ინციდენტის ადგილიდან ტაქსით მიიმალნენ. ერთ-ერთი ეჭვმიტანილი გუშინ დააკავეს.

აღსანიშნავია, რომ ერთი კვირის წინ, სოფიას „სლავიას" მეკარე მსოფლიოს ჩემპიონატში (მეორე დივიზიონი) მონაწილეობდა.

**ცურვა**

# ორი რეკორდი



ამსტერდამში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე მსოფლიოს ორი რეკორდი დამყარდა. ორივეს ავტორი ადგილობრივი მოცურავე **მარლენ ველდჰუისი** გახლავთ. ჰოლანდიელმა მოცურავე ქალმა 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში გააუმჯობესა რეკორდი, შემდეგ კი იმავე დისტანციაზე, თავისუფალი სტილით ცურვაში შეძლო რეკორდის დამხობა.

ესტაფეტაში პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა 50 მეტრზე ბატერფლაიში 13 მეასედი წამი ჩამოაკლო შვედი **ტერეზ ალსჰამარის** რეკორდს, შემდეგ კი თავისუფალი სტილით 50 მეტრი 23.96 წამში დაფარა, რაც ერთი მეასედით ნაკლებია **ლიბი ტრიკეტის** ან უკვე ყოფილ მიღწევაზე.

როგორც ველდჰუისმა აღნიშნა, რეკორდები სხვადასხვა ფირმის კოსტიუმებით დაამყარა - ბატერფლაის დროს Jaked-ით გამოდიოდა, თავისუფალი სტილით ცურვისას კი Speedo LZR Racer გამოიყენა. თუმცა ჰოლანდიელი უარყოფს საცურაო კოსტიუმების განმსაზღვრელ როლს რეკორდების დამყარებაში. *„უფრო მნიშვნელოვანი მოცურავის ნიჭი და ოსტატობაა“*, - ამბობს ჰოლანდიელი.

**სამთო-სათხილამურო სპორტი**

# პერსონი ვანკუვერის შემდეგ წავა



თანამედროვეობის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთხილამურე **ანია პერსონმა** გამოაცხადა, რომ 2010 წელს, მომავალი სეზონის დასრულების შემდეგ წავა აქტიური სპორტიდან. *„ჩემი მიზანი ასეთია - სპორტიდან 2010 წელს უნდა წავიდე“*, - აღიარა 27 წლის შვედმა სპორტსმენმა.

პერსონი 11 წელია პროფესიულ სპორტში გამოდის. ის ორჯერ გახდა ბროლის დიდი გლობუსის მფლობელი, რომელიც მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში გამარჯვებულს გადაეცემა. გარდა ამისა, ანიას შვიდჯერ აქვს მოგებული მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი, ხოლო 2006 წელს, ტურინის ოლიმპიადაზე სლალომში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. პერსონი მსოფლიოს თასის 40 ეტაპზე მივიდა ფინიშზე პირველი. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკანდინაველი ერთადერთი მოთხილამურეა ისტორიაში, ვისაც ხუთივე დისციპლინაში (სლალომი, გიგანტური სლალომი, სწრაფდაშვება, სუპერგიგანტი და კომბინაცია) აქვს მიღებული მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი.

ბოლო დროს, შვედ მოთხილამურეს მუხლის ტრავმა აწუხებს, რის გამოც პერსონმა გასულ სეზონში, პირველად 1999 წლის შემდეგ, მსოფლიოს ჩემპიონატი მედლის გარეშე დაასრულა.

**ჩოგბურთი.** ახალი ამბები

# როლან გაროსი მონფილსის გარეშე




სავარაუდოდ, ამ სეზონის „დიდი სლემის“ რიგით მეორე ტურნირი მსოფლიოს მეათე ჩოგანის, ფრანგი **გაელ მონფილსის** გარეშე ჩაივლის. როლან გაროსის შარშანდელი ნახევარფინალისტი დარწმუნებული არ არის, რომ მოასწრებს ამ ტურნირისთვის ტრავმირებული მუხლის განკურნებას.

საფრანგეთის საჩოგბურთო ნაკრების ექიმი აცხადებს, რომ მონფილსს 2007 წლიდან მუხლის ქრონიკული ტრავმა აწუხებს და ეს დაზიანება ჩოგბურთელს პერიოდულად ახსენებს თავს. *„ამას ოსგუდ-შლიატერის ავადმყოფობა ჰქვია. მონფილსს დროდადრო მუხლის ანთება ეწყება და ახლა სწორედ ასეთ პერიოდთან გვაქვს საქმე“*, - მოჰყავს სააგენტო „როიტერს“ ექიმის სიტყვები.

შეგახსენებთ, რომ ამავე მიზეზით მონფილსი რომისა და მადრიდის მასტერსებს გამოტოვებს.

■ ■ ■

უიმბლდონის ორგანიზატორებმა წლევანდელი სეზონისთვის საპრიზო ფონდის გაზრდა გადაწყვიტეს. გასულ წელთან (17 200 000 დოლარი) შედარებით, მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში 6.2 პროცენტით მეტი თანხა (18 400 000 დოლარი) გათამაშდება.

წელს, ქალებისა და მამაკაცების ერთეულთა თანრიგებში გამარჯვებულები სათითაოდ 1 240 000 დოლარს მიიღებენ, ეს კი შარშანდელზე 13.3 პროცენტით მეტია.

გარდა ამისა, უიმბლდონის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ ხუთი წლით აგრძელებენ კონტრაქტს კომპანია IBM-ისთან.

**ამბები**

**სპორტული ოსკარი**

## ცერემონია არ იქნება

წელს, „ლაურეუსის“ სპორტული პრიზების გადაცემის საზეიმო ცერემონია ეკონომიკური კრიზისის გამო არ გაიმართება.

როგორც ცნობილია, „სპორტული ოსკარების“ შოუ ყოველ წელს მონაკოში ტარდებოდა, მაგრამ ახლა, ლაურეატ სპორტსმენებსა თუ გუნდებს, 2008 წლის ჯილდოებს ინდივიდუალური წესით გადასცემენ.

შეგახსენებთ, „ლაურეუსის“ სპორტის აკადემიამ რამდენიმე დღის წინ გამოაქვეყნა ნომინანტების სია.

**ველოსპორტი**

## ჩიპოლინი დამნაშავეა

ლეგენდარული იტალიელი ველომრბოლელი **მარიო ჩიპოლინი** გადასახადების დამალვაში დამნაშავედ ცნეს და 22-თვიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მაგრამ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონს გაუმართლა - მას არც ციხეში ჩაჯდომა მოუწევს და არც ჯარიმის გადახდა, რადგან იტალიაში სისხლის სამართლის კოდექსის ამ მუხლზე ამნისტია გამოცხადდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ 2003-04 წლებში ჩიპოლინი იტალიის ქალაქ ლუკაში ცხოვრობდა, თუმცა ოფიციალურად მონაკოში იყო ჩაწერილი, სადაც გადასახადები გაცილებით ნაკლებია.

## ჰემილტონმა წასვლა არჩია

ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ტაილერ ჰემილტონმა**, რომელიც კვლავ ამხილეს დოპინგის გამოყენებაში, სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა. კვირას გამართულ პრესკონფერენციაზე ველომრბოლელმა განაცხადა, რომ დოპინგზე მისმა მორიგმა ტესტმა ანტიდეპრესანტების დიდი რაოდენობით მიღების გამო აჩვენა დადებითი შედეგი. ჰემილტონმა აღნიშნა, რომ არ აპირებს თავისი უდანაშაულობის მტკიცებას. მან აღიარა, რომ მართლაც იღებდა აკრძალულ პრეპარატებს და ამიტომაც წინასწარ ეთანხმება მოსალოდნელ სასჯელს.

ამ ველომრბოლელმა 2004 წელს, ათენის ოლიმპიადაზე მოიგო ოქროს მედალი, მაგრამ მოგვიანებით, მისი წარმატება დოპინგ-სკანდალმა დაჩრდილა. ტაილერი ჰემოტრანსფუზიაში (სისხლის აკრძალული გადასხმა) ამხილეს. მაშინ ამერიკელმა ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, რომელსაც ვადა 2007 წელს გაუვიდა. ახლა კი, დოპინგის მიღებაში ხელმეორე გამოჭერის შემდეგ, ჰემილტონს, სავარაუდოდ, რვაწლიანი სასჯელი ელის.

**კრივი**

## გატი ციხიდან გაუშვეს

კრივში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **არტურო გატი** თავდებით გამოუშვეს ციხიდან.

მონრეალელი მოკრივე მარტში თავის მეგობარ გოგონაზე თავდასხმაში იყო ეჭვმიტანილი, მაგრამ გატი და მისი ადვოკატი სასამართლო პროცესზე არ გამოცხადნენ, რასაც მონრეალის ერთ-ერთ სტრიპტიზბარში მოკრივის დაპატიმრება მოჰყვა.

ციხიდან გათავისუფლების სანაცვლოდ, გატიმ 2 ათასი დოლარი გადაიხადა. მას აგრეთვე პირობა ჩამოართვეს, რომ არასოდეს მიიღებს ნარკოტიკსა და ალკოჰოლს და არ გაეკარება თავის ყოფილ მეგობარ გოგონასა და მის შვილს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

**ცხელი ხაზი**

### ფეხბურთი

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| ლივერპული-არსენალი | 4:4 |

ლივერპული: რეინა, არბელოა, აგერი, კარაგერი, ფაბიო აურელიო, ჩაბი ალონსო, მასკერანო, რიერა (73. ბაბელი), ბენაიუნი, ტორესი, კუიტი (86. ელ ზარი).

არსენალი: ფაბიანსკი, სანია, სილვესტრი, კოლო ტურე, გიბსი, დენილსონი (65. უოლკოტი), სონგი, ფაბრეგასი, ნასრი, არშავინი, ბენდტნერი (90. დიაბი).

გოლები: 0:1 არშავინი (36), 1:1 ტორესი (49), 2:1 ბენაიუნი (56), 2:2 არშავინი (67), 2:3 არშავინი (70), 3:3 ტორესი (72), 3:4 არშავინი (89), 4:4 ბენაიუნი (90)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 12-0; **ჯარიმა:** 10-12; **თამაშგარე:** 5-6; **კარში დარტყმა:** 26-8 (14-4); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

მაყურებელი: 44 424

**ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ჩარლტონი-კარდიფი | 2:2 |
| ქოვენთრი-ბარნსლი | 1:1 |
| დერბი-რიდინგი | 0:2 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| როვერსი-ბრაიტონი | 1:2 |
| ნორთჰემპტონი-სკანთორპი | 3:3 |
| იეოვილი-ჰერეფორდი | 2:2 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| დაგენჰემი-ბრენტფორდი | 3:1 |
| ლუტონი-უიკომბი | 0:1 |
| როტერჰემი-მორეკამბი | 3:2 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ბაროუ-ტორკი | 1:1 |
| ებსფლიტი-რეძსჰემი | 1:0 |
| გრეისი-ქროული | 1:0 |
| ჰისტონი-უეიმაუთი | 1:0 |
| ლიუისი-კეტერინგი | 1:2 |
| მენსფილდი-ალტრინჩემი | 2:0 |
| სტივენეიჯი-კიდერმინსტერი | 3:1 |
| იორკი-ფორესტ გრინი | 2:1 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| ვიჩენცა-ტრიესტინა | 1:0 |
| ალბინოლეფე-ჩიტადელა | 2:0 |
| ანკონა-ბარი | 0:3 |
| ბრეშია-აველინო | 3:0 |
| ფროსინონე-მოდენა | 1:0 |
| გროსეტო-ემპოლი | 2:2 |
| პარმა-ასკოლი | 2:0 |
| პიზა-მანტოვა | 1:1 |
| რიმინი-სალერნიტანა | 2:0 |
| სასუოლო-პიაჩენცა | 2:1 |
| ტრევიზო-ლივორნო | 0:4 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ნუმანსია-ბილბაო | 1:2 |
| რეალი-ხეტაფე | 3:2 |

**გერმანიის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ლევერკუზენი-მაინცი | 1:1, დ.დ. 4:1 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| რეიმსი-ბრესტი | 3:2 |

**საფრანგეთის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| გრენობლი-რენი | 0:1 |

**ჰოლანდიის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ტვენტე-ბრედა | 3:1 |

**ბელგიის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| მეხელენი-სერკლი | 2:1, პენ. 5:3 (1:2) |

**ნორვეგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სიოგნდალი-ჰამ კამი | 1:0 |

**ავსტრიის თასი**

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ავსტრია A-ადმირა | 1:3 |

**თურქეთის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| სივასი-ფენერბაჩე | 0:0 (1:3) |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ლანელი-ნითი | 2:1 |
| პრესტატინი-კარმარტენი | 1:2 |

**პოლონეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ოდრა-ბელხატოვი | 0:0 |

**უნგრეთის თასი**

| | |
|---|---|
| ჰონვედი-შიოფოკი | 2:2 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| დინამო-გლორია (ბის) | 5:0 |
| ოცელული-ფარული | 2:0 |
| არჯესი-რაპიდი | 1:0 |
| უნირეა-ვასლუი | 1:0 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| მინიორი-სლავია | 1:0 |

**ჩემპიონთა ლიგა**

**აზია**

| | |
|---|---|
| ალ გაფარა-პერსპოლისი | 5:1 |
| ალ შაბაბი-აო შარჯა | 5:0 |
| სეპაჰანი-ბუნიოდკორი | 0:1 |
| ალ შაბაბი-ალ ითიფაქი | 1:4 |
| სეული-შანდონგი | 1:1 |
| შრივიჟაია-გამბა | 0:3 |
| კავასაკი-სენტრალი | 2:1 |
| ტიანჟინი-პოჰანგი | 0:0 |

### ჩოგბურთი

**ATP. ბარსელონა**

| | |
|---|---|
| ერნანდესი-შვანკი | 6:2, 6:4 |
| ხიმენო ტრავერო-ფონინი | 6:1, 6:3 |
| კანიასი-კლემანი | 6:7, 3:6 |
| ხუნკეირა-გაუდიო | 4:6, 6:3, 4:6 |
| ანდრეევი-მარტინი | 6:2, 6:2 |
| შტეპანეკი-გარსია ლოპესი | 6:4, 2:6, 6:4 |
| ნიემინენი-ფ. ლოპესი | 2:6, 1:6 |
| მატიო-ლაპენტი | 4:6, 6:2, 2:6 |
| იუჟნი-ტროიცკი | 6:7, 7:6, 6:3 |
| ფერერი-კუკუშკინი | 6:3, 3:6, 6:1 |
| გასკე-ჰერნიხი | 4:6, 6:3, 6:2 |
| სიოდერლინგი-გაბაშვილი | 6:1, 6:4 |
| მონაკო-საფინი | 6:4, 6:1 |

**TV პროგრამა**

### 22 აპრილი. ოთხშაბათი

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:20 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
07:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
08:20 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
09:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:[illegible] ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ხეტაფე.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-არსენალი.
14:05 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:05 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
17:05 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ხეტაფე.
18:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:10 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:10 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-არსენალი.
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-ვალენსია (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სევილია (LIVE).
02:00 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ევერტონი.
03:50 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
04:45 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. სან პაულუ (ბრაზილია)-ამერიკა კალი (კოლუმბია) (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

08:00 სპორტული დილა.
08:45 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი(იუნიორები). 1/2 ფინალი. აშშ-კანადა. აშშ.
10:45 როდეო. BULL RIDERS.
11:45 კალათბურთი. კვირა NBA-ში.
12:30 ფიგურული სრიალი.
14:00 სპორტული დღე.
14:45 ფიგურული სრიალი.
17:30 ჰოკეი. ევროტური. ჩეხეთის თამაშები. ფინეთი-შვედეთი.
19:35 ახალი ამბები.
19:45 ფეხბურთი. რუსეთის თასი. მოსკოვი-ტომი (LIVE).
22:00 სპორტული საღამო.
22:25 აფროსნობა. რეგატა - VOLVO OCEAN RACE.
22:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ევერტონი (LIVE).
01:00 ჰოკეი. ევროტური. ჩეხეთის თამაშები. ჩეხეთი-რუსეთი.
03:00 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. პორტუგალია.
05:30 ახალი ამბები.
05:40 წყალში ხტომა. მსოფლიოს სერია. ინგლისი.

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი.
10:45 მულტისპორტი.
11:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
11:15 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. IV დღე. შეფილდი. ბრიტანეთი.
13:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. V დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
16:00 ველოსპორტი. პროტურის სერია. ფლეშ ვალონი. ბელგია (LIVE).
18:30 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. V დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 მულტისპორტი.
20:20 ცხენოსნობა. მსოფლიოს თასი. ლას ვეგასი. აშშ
21:20 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
21:25 გოლფი. ევროპის ტური.
22:05 გოლფ-კლუბი.
22:10 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
22:30 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. V დღე. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
01:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. V დღე. შეფილდი. ბრიტანეთი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
13:00 ახალი ამბები.
13:30 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი.
14:30 ახალი ამბები.
15:00 ექსტრემალური სპორტი.
15:15 ახალი ამბები.
16:00 ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
17:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. VI ტური. ურავაკიოტო.
18:15 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:45 ახალი ამბები.
19:00 წყალბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. მლადოსტი (ხორვატია)-ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) (LIVE).
20:00 ახალი ამბები.
20:15 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი (LIVE).
22:15 ახალი ამბები.
22:30 წყალბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. იადრანი (ჩერნოგორია)-პრიმორაცი (ჩერნოგორია) (LIVE).
23:30 რესტილინგი.
00:00 პროფესიული კრივი. IBF-ის ვერსია. ნახევრადმძიმე წონა. ტ. ადამეკი (პოლონეთი)-ჯ. ბენქსი (აშშ). აშშ.
00:30 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. რეგულარული ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-მარუსი.
02:00 ახალი ამბები.

ფორმულა 1

# ყველაფერი თავდაყირა

ფორმულა 1-ის გულშემატკივარი ნელ-ნელა ეგუება ახალ სამყაროს, სადაც „მაკლარენისა“ და „ფერარის“ ნაცვლად, „ბრაუნ გრანპრი“ (ყოფილი „ჰონდა“) და „რედ ბული“ ბატონობენ. მართლაც, არც ისე იოლია გააცნობიერო ის, რომ კონსტრუქტორთა თასის მფლობელ „ფერარის“, მსოფლიოს ჩემპიონატში ჩატარებულ სამ რბოლაში ერთი ქულაც არ აქვს აღებული და ამ შედეგით ბოლო ორი სეზონის მთავარი აუტსაიდერის - „ფორს ინდიას“ გვერდით დგას.

ჩემპიონატის დაწყებიდან სამი რბოლა გავიდა და ალბათ, უკვე შეიძლება გარკვეულ დასკვნებსა და სეზონის ტენდენციებზე ლაპარაკი.

სეზონის პირველ ორ რბოლას **როს ბრაუნის** სასწაული უწოდეს. ავსტრალიასა და მალაიზიაში პირველ ადგილზე გავიდა გუნდი, რომლის არსებობის საკითხი ჩემპიონატის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ჰაერში ეკიდა და ბუნდოვანი პერსპექტივები გააჩნდა. თუმცა ისიც არავის ავიწყდებოდა, რომ გენიალურმა ინჟინერმა როს ბრაუნმა ამჟამინდელი ბოლიდის შექმნა ჯერ კიდევ 2007 წელს დაიწყო, ამ საქმეს შესწირა 2008 წლის სეზონი და „ჰონდა“ სწორედ 2009 წელს აპირებდა გასროლას. შემდეგ იაპონურმა ავტოგიგანტმა გუნდის გასხვისება გადაწყვიტა. მყიდველი დიდხანს არ ჩანდა, ბოლოს კი ბრაუნს დაენანა თავისი შრომის წყალში გადაყრა და თავად გახდა „ჰონდას“ ბაზაზე შექმნილი ბოლიდების პატრონი. ახლა „ფერარის“ ყოფილი სპორტული დირექტორი თავისი შრომის შედეგებს იმკის.

მელბურნსა და სეპანგში „ბრაუნ გრანპრი“ ძალიან სწრაფი იყო, რაც კონკურენტებმა ე. წ. ორმაგ დიფუზორს დააბრალეს და სასამართლოშიც უჩივლეს რეგლამენტით აკრძალული დეტალის გამოყენებისთვის, მაგრამ ფედერაციის სააპელაციო სასამართლომ „ბრაუნი“ გაამართლა და მოპოვებული ქულები შეუნარჩუნა.

■ ■ ■

ჩემპიონატის მესამე რბოლამ აჩვენა, რომ „ყველაფერში დამნაშავე“ ორმაგი დიფუზორი არ ყოფილა. ჩინეთის გრანპრიზე უსწრაფესი ბოლიდები ჰყავდა „რედ ბულს“, რომელსაც არც ორმაგი დიფუზორი აქვს და არც KERS-ის სისტემა გამოუყენებია. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ ეს ტექნიკური სიახლე ფულისა და ენერგიის ფუჭი ხარჯვა აღმოჩნდა? ალბათ, არა. ჩინეთში რბოლა წვიმის თანხლებით მიდიოდა, წვიმა კი „რედ ბულის“ სუპერნიჭიერი პილოტის **სებასტიან ფეტელის** სტიქიაა. კარიერაში თავისი პირველი რბოლა გერმანელმა ასევე წვიმაში მოიგო (2008 წელი, მონცა) და ახლაც, ერთადერთი პილოტი აღმოჩნდა, რომელმსაც შანხაიში ერთი შეცდომაც კი არ დაუშვია.

შეძლებდა თუ არა „რედ ბული“ ასეთივე სიჩქარის ჩვენებას მშრალ ამინდში? ამაზე პასუხს მომდევნო ეტაპებზე გავიგებთ. მაგრამ ის კი ცხადია, რომ „წითელი ხარები“ ჩემპიონატის ფავორიტებში თამამად უნდა ჩავწეროთ. კიდევ ერთმა გენიალურმა ინჟინერმა **ედრიან ნიუიმ** განაცხადა, რომ დიფუზორის ახალი ვერსია შეიმუშავა. თუ ჯადოსნური დიფუზორების გარეშე ეს გუნდი პირველი მიდის ფინიშთან, წარმოდგენაც კი ჭირს, ტექნიკური სიახლის გამოყენების შემდეგ, რა დონეზე გავა ეს საჯინიბო.

■ ■ ■

ამ სეზონის კიდევ ერთი მთავარი სიურპრიზი „ტოიოტა“ გახდა, რომელიც უკიდურესად მონდომებულია იმისთვის, რაც შეიძლება სწრაფად მოიგოს თავისი არსებობის ისტორიაში პირველი გრანპრი და დაამტკიცოს ფორმულა 1-ში მოღვაწეობის მიზაშეწონილობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, მეორე იაპონურმა საავტომობილო გიგანტმაც „ჰონდას“ გზა გაიმეოროს და „დიდი ცირკი“ დატოვოს.

მალაიზიაში „ბრაუნს“ ყველაზე დიდი კონკურენცია სწორედ „ტოიოტამ“ გაუწია. კვალიფიკაციაში **იარნო ტრული** თითქმის არაფრით ჩამორჩებოდა **ჯენსონ ბატონს**, რბოლის დროს კი, წითელი დროშების გამოფენამდე, **ტიმო გლოკი** ოდნავ უფრო იღბლიანი რომ ყოფილიყო, თავისუფლად შეეძლო გამარჯვება ცხვირწინ აეცალა ბატონისთვის.

ჩინეთში კი „ტოიოტას“ გულშემატკივრებს იმედგაცრუება ელოდათ. იაპონურ გუნდს ისევ რაღაც დააკლდა წარმატების მისაღწევად და პირველ ორ რბოლაში თავისივე დაწესებულ სტანდარტებზე უარესად იასპარეზა. ესპანეთის გრანპრიდან მოყოლებული, სეზონი ტექნიკური ბუმისა და სწრაფი პროგრესის ფაზაში შევა. სად აღმოჩნდება ამ დროს „ტოიოტა“? პერსპექტივა ჯერ კიდევ ბუნდოვანია.

■ ■ ■

ბრიტანული „უილიამსისთვის“ პირველი ორი ეტაპი ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების რბოლებად უნდა მოინათლოს. მიუხედავად იმისა, რომ „უილიამსს“ მართლაც სწრაფი ბოლიდები ჰყავს, გუნდი ვერ ახერხებს ქულათა სოლიდური მარაგის შექმნას.

როგორც ჩანს, ეს საჯინიბო გადაეჩვია უმაღლესი ადგილებისთვის ბრძოლას, მას აგრეთვე არ ჰყოფნის ექსტრემალურ სიტუაციაში მოქმედების გამოცდილება. ავსტრალიასა და ჩინეთში გუნდი საბურავების შერჩევისას შეცდა, მალაიზიაში წვიმის დროს არადამაჯერებლად მოქმედებდა. გარდა ამისა, ობიექტურად გუნდის სუსტი წერტილია იაპონელი **კაზუკი ნაკაჯიმა**, რომელიც ოფიციალურ ვარჯიშებზე კარგად გამოიყურება, მაგრამ კვალიფიკაციასა და რბოლების დროს შინაარსიანს ვერაფერს აჩვენებს.

■ ■ ■

„მაკლარენსა“ და „რენოში“ დაახლოებით ერთნაირი სიტუაციაა - ორივე საჯინიბოს ტოპპილოტი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია ჩართული და აშკარად სუსტი ბოლიდით მაინც ახერხებს ქულათა ზონაში შესვლას. პირველ რიგში ეს **ლუის ჰემილტონზე** ითქმის. „მაკლარენის“ პილოტი ნამდვილად საჩემპიონო ოსტატობას უჩვენებს, მაგრამ დღევანდელი მანქანის გადამკიდე, კუს ნაბიჯებით მიიწევს წინ. მის თანაგუნდელ **ჰეიკი კოვალაინენს** რაც შეეხება, მან მხოლოდ სეზონის მესამე რბოლაში შეძლო პირველი სრულფასოვანი წრის გავლა.

„რენოს“ ჩინეთში აეროდინამიკურად გაუმჯობესებული ბოლიდი ჰყავდა და ამან **ფერნანდო ალონსოს** კვალიფიკაციაში მეორე ადგილი მოუტანა, მაგრამ უშუალოდ რბოლისას, ფრანგული გუნდი ტაქტიკურად შეცდა. **ფლავიო ბრიატორე** შემდეგი ეტაპისთვის ორმაგი დიფუზორების გამოყენებას აპირებს, ასე რომ, „რენოს“ კიდევ აქვს სიჩქარის მომატების შანსი.

■ ■ ■

„ფერარი“ ბოლოსთვის შემოვინახეთ. ამ გუნდის პილოტების კლასში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ გუნდის მოქმედება სულ უფრო მეტად გვაგონებს 90-იანი წლების დასაწყისს, როცა **ჟან ალეზისა** და **გერჰარდ ბერგერის** ბრწყინვალე წყვილს დიდი წარმატების მიღწევა შეეძლო, მაგრამ არასაიმედო ტექნიკისა და გუნდის ტაქტიკური შეცდომების გამო, „უილიამსის“, „მაკლარენისა“ და „ბენეტონის“ უკან რჩებოდა.

იტალიელთა დღევანდელი გუნდი ძალიან ბევრ შეცდომას უშვებს, იქნება ეს საბურავების შერჩევა თუ რბოლისთვის მანქანის მომზადება. მოიკოჭლებს ბოლიდების საიმედოობაც.

რთული სათქმელია, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს კრიზისი. ისე კი ჯერ ნაადრევია შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება. აქამდე ჩატარებული სამი რბოლიდან ორში წვიმა ჩაერია საქმეში (მალაიზიაში პილოტებს ნახევარი დისტანციის გავლის შემდეგ შეაწყვეტინეს რბოლა), ამიტომაც გუნდების რეალური შესაძლებლობები ბოლომდე ვერ დავინახეთ. ბევრ რამეს ბაჰრეინში და განსაკუთრებით, ბარსელონაში მოეფინება ნათელი.



# ფოტოები ქველმოქმედებისთვის






შვეიცარიულმა ჟურნალმა Schweizer Illustrierte-მა **როჯერ ფედერერისა** და **მირკა ვავრინეცის** ქორწილის ფოტოების ექსკლუზიური გავრცელების უფლება მიიღო. როგორც შვეიცარიული პრესა წერს, ამაში ჟურნალმა საკმაოდ სოლიდური თანხა გადაიხადა, რომელიც ფედერერის ფონდში ჩაირიცხა და ის ქველმოქმედებაზე დაიხარჯება.

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა Schweizer Illustrierte-ს სხვა საინტერესო ინფორმაციაც მიაწოდა. კერძოდ, ცნობილი გახდა როჯერისა და მირკას პირველი შვილის სქესი. როგორც იცით, ფედერერები ოჯახში მატებას ზაფხულში ელიან.

*„ბიჭი გვეყოლება. მართალია, მისთვის ჯერ სახელი არ შეგვირჩევია, მაგრამ ამას მოვასწრებთ. წინ კიდევ ბევრი დრო გვაქვს“*, - ამბობს ფედერერი.



ანა ივანოვიჩი (მარცხნიდან მესამე) ოჯახთან ერთად

# ანამ ოჯახი გაგვაცნო

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ანა ივანოვიჩმა** საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე თაყვანისმცემლებს თავისი ოჯახის წევრები გააცნო.

ცნობილია, რომ ანას დედა - **დრაგანა ივანოვიჩი** პროფესიით იურისტია, მამა **მიროსლავი** - ეკონომისტი.

გარდა ამისა, როლან გაროსის ჩემპიონს უმცროსი ძმა ჰყავს, რომელსაც **მილოში** ჰქვია. მას ყველაზე მეტად არა ჩოგბურთი, არამედ კალათბურთი უყვარს და ხშირად თამაშობს დასთან ერთად, რომელიც მასზე სამი წლით არის უფროსი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

